

652
1975/3

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



1

,

7

5

5

ଅନେକାବସ୍ଥା

ଫିଲ୍ମଟ୍ରୀ

ଅମ୍ବାଖୀର, ପରିଚୟ

୧. ଶୋସତାଙ୍ଗରେ —	୦୯୦	କାହିଁବାସିଦୀରେ
ଲେଖିବି ତାରଗମାନ ଓର. ଶାଲ୍ମାଶିଳେ	3	
୨. ଶେଷବିନେମା —	୧୦୪	ବିଷ୍ଵାରଶିଳ୍ପରେ
ଧାରାଭିନ୍ଦିର ମନ୍ତ୍ରକରଂଦା . . .	5	
୩. ବାହାରେମା — ବାହାରେମା ମନ୍ତ୍ରକରଂଦା	10	
୪. ତାନ୍ତ୍ରନାମା — ଲେଖିବିଦି . . .	18	
୫. ବାନ୍ଦାରେମା — ବାନ୍ଦା ଧେଇଶ୍ଵରୀ-		
ଠିକ ଜାରିନ୍ଦିବିଦି . . .	21	
୬. କାଜିବିନ୍ଦାରେମା — ଲେଖିବିଦି . . .	44	
୭. ମନ୍ଦିରବାବା — ବିନଦି ମନ୍ଦିରରେ		
ମନ୍ତ୍ରକରଂଦା . . .	47	

୧୩/୧୬

ବିବରଣୀ ପରିଚୟକାବୀରୀ

୮. ଧୂରାମା — ଧୂରା ଆଶତିବାନୀସ		
ପରିଚୟବିନ୍ଦାରେମା ଉଚ୍ଚବିଲ୍ଲବି	62	

ପରିଚୟ ପାଇଁ

୯. କୁତ୍ତାଙ୍ଗାମା — କୁତ୍ତା ବିଜନ୍ଦ-		
ବାନ୍ଦା ଏବଂ ବିନଦି . . .	73	
୧୦. ବାନ୍ଦାମା — ବାନ୍ଦାକଲାରଶିଳ୍ପ ତରୁ-		
ଅବିଭବିତ କରିବାର ବିନଦି ବିନଦି- ବାନ୍ଦାମା	79	

ବିବରଣୀ ପରିଚୟକାବୀରୀ

୧୧. ଧରମରଜିବିନ୍ଦାରେମା — ସାଧନାଙ୍ଗ-		
ଧେଇବି ବାନ୍ଦାରମା ବିନଦିବିନ୍ଦାରେମା	90	

ଲୁହନ୍ତିରାତିଶିଳ୍ପ-ବିନଦିବିନ୍ଦାରେମା ଏବଂ
ବାନ୍ଦାକଲାରଶିଳ୍ପରେ-ବିନଦିବିନ୍ଦାରେମା
ଶିଳ୍ପରକାରୀ

ବାନ୍ଦାରମାର ବିନଦିବିନ୍ଦାରେମା
ବିନଦିବିନ୍ଦାରେମା ବିନଦିବିନ୍ଦାରେମା
ବିନଦିବିନ୍ଦାରେମା ବିନଦିବିନ୍ଦାରେମା
ବିନଦିବିନ୍ଦାରେମା

୧ ୧ ଟ ୩ ୮ ୦ — 1975

ସିରିଜିମ୍ବିନ୍ଦାରେମା — ବିନଦିବିନ୍ଦାରେମା

რედაქტორი ა. შონია

სარედაქტო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ. მდივანი),
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქტის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.X.75. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბაზი
შეკვეთის № 5757, ემ 01359, ქალალდის ზომა $60 \times 90\frac{1}{16}$, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 20).

მ ზ ე პ ა ვ პ ა ს ი ი ს

საბჭოთა ლიტერატურის დღეების მო-
ნაწილე მანსელმა პოეტმა ეს ლექსი
ჩვენს მხარეში ყოფნისას დაწერა, ივ-
ლისში.

რედ.

გავკასიის მზევ, გადო-მკურნალო,
სულის მკურნალო, ამოდი მალე,
ბერი კლდეებიც მალე გავახელთ
შენი ოქროთი ავსებულ თვალებს.

ო, მზევ მთებისა, მწუხრის მომრევო,
ჩაუქრობელო ცეცხლის ამბავო,
ჩემი ცოდვილი სულიც, სხეულიც
შენი ბორჯომის შეცემა განბანოს.

მზევ, იშვიათო, შენზე ვლოცულობ —
უცხო მხედარი შენი მერნისა
და სხვაც, რომელსაც შენი ცეცხლისგან
მხოლოდ და მხოლოდ კვამლი ეღირსა;

ისიც, რომელიც მუდამ დაეხებს
ამ ქვეყანაზე ბედს და ადგილსაც,
ისიც, რომელსაც ზოგჯერ დევნიდნენ
პირდაპირობის და სიმართლისგან.

ქართულო მზეო, გულთამხილველო,
შენი ნათელი სნეულს უხდება,
დაგვედე შუქად, გადაგვაშორე
იჭვი, შური და უბალრუკება.

ଏ ମତେବିଲେ ଶୁଣି ଶୁଣିଲାଭ ଶତାମଧ୍ୟେରେ,
ଦାମାସକେ ଅମ ଖଲ୍ବିଲେ ବୀଳାଭ ମଲ୍ଲଗାରୀ,
ମହେବ, କାରତୁଲାଭ, କେଲି ମନମେବୀ,
ମିମାଗରେ ଆଶୀର୍ବାଦ ଦା କେରନ୍ଦେମାଲୀ.

ମେଲି ହେମି ଫେରିଲିଶି ଗାନ୍ଧାରୀ
ଦା ତ୍ରୈ ବିନମ୍ରସଙ୍ଗାନ୍ ବିଗରଦନ୍ତ ଦାଢିଲାବ,
ମମାଙ୍ଗ, ସାହୀରତୁଵେଲାଭ ମହେବ ମଶ୍ଵରନୀରୀ,
କଳାବ ମିଦରୁଣ୍ବେଦଲେ କାପୁର କାପନ୍ଦାବ.

ତାରୁମନା ଘରିଦିନ କାଲଙ୍ଗାଶମା-

ერიზბარ ზეგინიძე

სიეპჩულის დიპლინა

თოლია ზღვისპირა სოფელში დაიბადა. გულლია და მიმნდობი, ლალი და ჰაეროვანი, ისეთი, თითქოს ზღვის ქაფისაგან გაჩნდაო. თვალები ლურჯად უბრწყინავს, რომ ჩახედოთ ნამდვილ ლაუვარდს დაინახავთ, ცის ლაუვარდს. როდესაც თოლია ზღვის პირას თმებჩამოშლილი დგას, თუ თავი ოდნავ გვერდზე გადახრილი აქვს და ხელები წინ გამართული, ზღვის ქალღმერთი გეგონებათ, ზღვათა მესაიდუმლე და მისივ ღვთაება.

ყოველ ცისმარე დილას გარბის თოლია ჩხრიალა კენჭებზე, ზღვის ნაპირზე ღვება და, თვითონ საოცნებო, ოცნებით გასცემის შორეულ სივრცეს. ცაზე ფერადი კოშკები იხატება ღრუბლებისა, შუქსინათლისა და სივრცეში მოციმციმე გამჭვირვალე ცვარნამისა. სიხარული დასთამაშებს სახეზე. თუ იალქნებს დაინახავს, რაც არ უნდა შორს იყოს იგი, აღტაცებით უქნევს ორივე ხელს. მაშინ მისი თეთრი ხელები ჰაერში აფრენილ მტრედებს ემსგავსება. იალქნები ზღვის სილურჯეში იკარგება, თოლია კი რჩება გულდაწყვეტილი, თითქოს ვინმეს ელოდა და შეხვედრის იმედი გადაუწყდაო. ამ დროს ცა იასამნისფრად იღებება, ცისკიდური ვარდისფრად, ზენიტისაკენ მიიწევს მზე და მისი ოქრო იღვრება ზღვაზე.

ერთ დილას იდგა ასე თოლია ზღვის ნაპირზე, გასცემროდა შორი ნაოსნობის გოლიათურ გემებს და ჩრდილებივით მოფართატე იალქნებს ხელს უქნევდა. უცებ მის წინ ნავი მოვარდა. მენავემ ნიჩები დაყარა და თოლიას ღიმილით მიმართა:

— გოგონი, თქვენ ხელს მიქნევდით, ასე მენიშნა, ჩემსკენ მოდიო. აი, მოვედი!

თოლიას ვაჟის მოღიმარ სახეზე კარგა ხანს შეუჩერდა თვალი, თოლიას ბავევებიც ღიმილმა მოქარგა.

- օր, հեմո նազո, թամուդո, ზլզուս նշանաւութիւնը պատագ գազուցածներու! ԱՌՈՅՆԵՐՈՒ
— նշանաւութիւնը?..
— էո, նշանաւութիւնը.
— յրտագ?..
— յրտագ.
— մերկ?..

— ՅԱՎԵԿԻՐՈՒԹ ՔԱԼԼԵՑՏ... ՅԱՎԵԿԻՐՈՒԹ ԸՐԱՋՑԼԼԵՑՏ... ՖՈՐԻՑՈՒԹԻՒՆ
միզուցետ. մես օյնուաց գալազուեցուու. օխոլսա და Մորեցու նաპորեցտ დաշա-
նաեցեց, առ ցոնդա?..

- յը հեմո ռընեցեա!..
— էոն და ռընեցեա ացուսիլլեցտ!..

Դռլուս նազո մուշակլուց առաջ կայութիւնը եղանակ և գործունակ նա-
քորութիւն նազու գալազուցան. նազո Մերկուր. տոլլուս Մերկուրու და սունեցուրաց
մուշկրա վայս. յրտու ֆուտու յրտմանետու Սլոնեցա Մերկուրու դա ռուզեն
մուշկրա սլու յրտու ֆուտու. ամ դրուս մատ յըմունաց մեռլուց Քալլեց-
տու նելու հիյացուն და տացուանտու ցուլուս ძշերա. մերկ յմաժուլմա ցորչուն
եղանակ Մերկուր და նոհեցտ մումարչու. մշցուու նշանաւութիւնը նշանաւութիւն
յմաժուլմա նազո Մերկուր. օւ տացուս ձարմարա նացու օւց մեսունեցտ մոյշիրու-
լեցտ, տուտեցու նացու და տացուանտու ցուրտեցտ մեսունեցտ օպանեն. ռո-
ւուցտ լումաց Մերկուրու და մատ սույս նաքորու գալլինարդա, յրտմանետու
քորութիւն დասեճնեց. ցայս նոհեցտ մումարչու գալլինարդա, տոլլուս կո տացու առ
սմորեցտ մեսունեցտ մումարչու մելուցուն Մերկուր մումարչու.

— հա ցիցու? — էուտես ցայսա.

— ացեր, Մերկուր! — ցորչուն եղանակ նշանաւութիւնը նշանաւութիւնը,
սացու տոլլուցտ դագրունացճնեց, — եցացտ?...

— տոլլուցտ?..

— լուսէ.

— մերկ հա?..

— տոլլուս միցուա. տյցեն?..

ցայսա մանունց առ սպասութիւն. յարցա եանս հումաց Մերկուրուց. ցանցու-
թիւն: „ներմա տու օպուս հոմ յը տոլլուս սինունց մշցունուրու!....“

— ձարմա առ մեսունեցտ տյցենս սակելս? — սամდուրաց ցանսմա տո-
լուս եմաშո.

— ութոնո. ռունու արցունացտու առ ցայսա. մյ մենաց ցար!.. հեմ նա-
ցսաց ութոնու էյցու. մյ մշցունուրու նշանաւութիւնը եալքս ցասեունեց. մերկու-
րու տյցենց ցասեունեցտ ցոնդունաց დա եղանակ լայնեցա ցամուց Մերկուր, տորեթ
ծեցրչը մոնակուսարտ, մացրամ մեռլուց Մորունաց մուցյերու, աելա
կո աց աելուս ցար ծեցնուրեցտան!..

— հոմել ծեցնուրեցտան? — տոլլուս օւց օյնուտես და օւց մո-
ւուցտ մուսեցտ տուտեցու ամ ծեցնուրեցտ դանաեցա սուրդաո.

— შეხედეთ, შეხედეთ! — უცებ ხმაბალლა დაიძახა თოლიფრაველა
იაზონმა მალლა აიხედა.

ფრინველების გუნდს ორი თოლია გამოეყო. ისინი ერთმანეთის დას-
წრებით კამარას ჰქონდნენ, ერთმანეთს თავს ევლებოდნენ. ხანდახან ერ-
თი მეორეს ფრთას გაჰქონდნენ, მერე ერთად დაბლა ეშვებოდნენ და
ზღვის ზედაპირზე მისრიალებდნენ. ერთმანეთს არ შორდებოდნენ. თუ
რომელიმე მათგანი ამობურცულ ტალღას ნისკარტს ჩაჰქონდა და ელვის
სისწრაფით რაიმეს მოინადირებდა, მაშინვე მეორეს აწვდიდა. ამ დროს
მათი თეთრი ღონიერი ფრთები ფართოდ იშლებოდა და თავიანთ ბრტყელ
თათებზე ერთად მიცურავდნენ, თანაც ერთი მათგანი ცალ ფრთას მეო-
რეს აფარებდა, თითქოს გადაცვევას ლამობდათ.

— მე ბევრჯერ მინახავს თოლიების თამაში. — ვჟვიდად მიუგო ია-
ზონმა, — შენ უცემირე.

მაგრამ თოლიებმა შორს გაინავარდეს და თვალთაგან დაიკარგნენ.

— საიო წავიდნენ? — იკითხა თოლიამ.

— ახალი პორიზონტისაკენ! — უპასუხა იაზონმა ლიმილით.

— ჩვეუც იქით მივდივართ?..

— ჩვენც. — დააყოვნა და ჰკითხა, — ჩქარობ?..

— ძალიან!..

— მაშ ჩემს გვერდით დაჭექი და დამეხმარე, ნავის მართვას გასწავლი.

თოლიამ ადგილი გადაინაცვლა, იაზონს გვერდით მიუგდა და ცალ
ჩიჩაბი გამოართვა.

— აი, ასე, რაც შეიძლება მარჯვედ მოზიდე ნიჩაბი, კარგად დააკვი-
რდი, ისე როგორც მე!

იაზონს თოლიას მკლავი ხელით ეჭირა და ისე ასწავლიდა ნიჩაბის მო-
სმას. თოლია გრძნობდა, რომ იაზონს ხელი უთართოდა, მაგრამ ეს მან ტა-
ლღების მღელვარებას დააბრალა.

კარგა ხანს მიცურავდნენ ასე ერთად და მდუმარედ.

იაზონმა მალლა აიხედა და ცაზე შავი ლრუბლის პატარა ნაფლეთი
შენიშნა.

— წვიმა მოვა! — სინანულით წარმოთქვა.

— რა იცი?..

— აგრე, იმ ლრუბელს ხედავ?..

— როგორ არა, შავი, პატარა!

— ხედავ რა სწრაფად მოიწევს ჩვენსკენ. შეხედე როგორ იზრდება!
— შეშფოთდა იაზონი.

რამდენიმე წუთიც და მთელი დასავლეთი მართლაც ბნელმა ნისლმა
დაჰფარა. პორიზონტი აღარ ჩანდა.

— საითოა მივდივართ? — გულნაკლულად იყითხა თოლიამ, — ჰო-
რიზონტი აღარ მოჩანს, გაქრა!..

— ჰოო, გაქრა. ნუ გეშინია, გამოიდარებს. ხომ ნახე, ის თოლიებიც
საღლაც გაქრნენ.

— ისინი ფრინველები არიან. ადვილად გავლენ სამშვილობოზე!..

— ბუნებისათვის, ჩემო თოლია, ჩვენც ფრინველები ვართ!..

უცაურად ჩაესმა თოლიას იაზონის სიტყვები: „ჩემო თოლია“. გუ-
ლი აუჩუყდა და რაღაც სითბო იგრძნო.

— უკან დავბრუნდეთ. ამ დროს ხომ ფრინველებიც ბუდეებისკენ
მიფრინავენ?.. ასე არ არის?

იაზონმა ნავი შემოაბრუნა. აღმოსავლეთისკენ გაემართა. მიწისაკენ
აქეთ კარგად მოჩანდა დედამიწის ნაპირი.

— მაშ ახალ ჰორიზონტს ველარ ვნახავთ?.. — ბავშვური გულუბრყ-
ვილობით წარმოთქვა თოლიამ.

— მაიც ვნახავთ!..

უკან გამოცურდნენ ნაპირისაკენ, დედამიწისკენ.

ზურგში მოსდევდათ შავი ღრუბელი, რომელიც ისე გაიშალა რომ
მთელი ცა დაპფარა. ელვამაც გადაისრიალა ცაზე. ელვას შემზარავი ქუ-
ნილი მოჰყვა. წვიმაც წამოვიდა. იაზონი საწვიმარს დასწვდა და თოლიას
წამოახურა. თოლია უმწეო ბეღურასავით გაეხვია საწვიმარში.

— არ შეგეშინდეს, გამოიდარებს. ჩვენი ნაპირი კარგად მოჩანს! —
ამშვიდებდა იაზონი.

რამდენიმე წუთის შემდეგ თოლია გონს მოვიდა და საწვიმრის ცალი
კალთა იაზონსაც გადააფარა.

საწვიმრის შიგნით სითბო დატრიალდა, სითბო და სიმყუდროვე.

იაზონმა თოლიას ხელი გადაპხვია და მკერდთან მიიკრა. თოლიაც ია-
ზონისკენ მიიწვედა და რაც უფრო ახლოს ეხუტებოდა, მით უფრო იმე-
დიანად გრძნობდა თავს.

ელავდა. ქუხდა. ღმუოდა ქარი. შფოთავდა ზღვა. იაზონი მთელი ძა-
ლლონით აწვებოდა ნიჩბებს. ბავშვივით შემკრთალი თოლია კი სასოებით
შესცეროდა მას.

დიდხანს იწრიალეს უკიდევანო ზღვაზე. და ბოლოს დამშვიდდა ცა.
ჰისწყდა ქუხილი. შეწყდა წვიმა. ჩადგა ქარი და ისევ მოფრინდნენ თე-
რი თოლიები. მზემ გამოანათა... .

იაზონმა და თოლიამ ერთმანეთს ღიმილით შეხედეს.

— ვერც ჰორიზონტან მივედით, ვერც ახალი ნაპირი ვნახეთ! — სა-
მდურავით წაიჩურჩულა თოლიამ.

— მე კი ვხედავ ახალ ჰორიზონტს! — უპასუხა იაზონმა და თოლია თავისკენ მიიზიდა.

მეორე დილას თოლია კვლავ ზღვის ნაპირთან იდგა და ზღვას გას-
ცემოდა. ის ალარავის არ უქნევდა მტრედის ფრთებივით თეთრსა და
მომხიბვლელ ხელებს. იაზონს ელოდა...

ისიც გამოჩნდა. იაზონი თავის თეთრად შეღებილ პატარა ნაქს მშვი-
დი ზღვის წყნარ ზეირთებში გედივით მოაცურებდა. თოლია სიხარულით
შეეგება მას. ისინი ახალ ჰორიზონტთან იდგნენ.

აღდეგ ჩაჩანიძე

გ ა ე ც ე ვ ა

მისტერ ჭონ სტივენსონი მაღალი, მოსული კაცი იყო. ტყავის გალი-
ფეს იცვამდა. ციც ამპარტავან სახეზე ხანდახან დამცინავი იერი გა-
დაპკრავდა ჭოლმე. პირში ყოველთვის ჩიბუტი ჰქონდა გაჩრილი.

— სერ, როგორც ვიცი, თქვენ აფრიკას არც თუ ისე კარგად იცნობთ,
— მითხრა მან და ნემსურა კბილებიდან კვამლი ბოლქვა-ბოლქვად გამო-
უშვა.

- სრული ჭეშმარიტებაა, სერ.
- არც ჭუნგლებზე გაქვთ წარმოდგენა?
- სამხრეთ ამერიკის ჭუნგლებში ვყოფილვარ.
- სამხრეთ ამერიკა მაინც სხვაა.
- სრული ჭეშმარიტებაა, იქ ბუშმეისტერია მეტად საშიში.

— ეგ არაფერი, ბუშმეისტერი მიწაზე დაცოცავს. აქ კი მიღიხარ,
თითქოს სიმშვიდეა, საფრთხე არ ჩანს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედ-
ვით. აი, ატყდა ბუშქებში ლაშალუწი, მარტორქა გამორბის, თუ მარჯვედ
არ იყავო, ყველაფერი თვალის დახამხამებაში დამთავრდება. მერე სპილო,
ლომი, ვეფხვი და კიდევ ათასი ძალი და მამაძალლი.

სტივენსონმა ფხვიერ მიწაზე გააპურშეყა.

— ერთხელ მე და ერთი მასაი ტრიალ მინდორზე მივდიოდათ. ანაზ-
დად ქარივით მოვარდა ანტილოპების უზარმაზარი ჭოგი. ველზე მხოლოდ
ერთადერთი პალმა იდგა, როგორც მამაღმერთის მიერ ჩემთვის ნაბორები
დიდი საჩუქარი. რაღაც სასწაულით მე მოვასწარი პალმასთან მირბენაც
და ზედ აბობლებაც. მასამ ეს ვერ შესძლო და ანტილოპების ჭოგმა ისე
გადათელა, რომ შემდევ ზმელი ბალახიდან მისი აფხეკა მე ვეღარ შევ-
ძელი. ეს ასე იყო, სერ!

— მჯერა.

ჩვენ მივდიოდით გაუვალ ჭავნარში. სამი მასაი გვიკვალავდა, მაღალი, მოსული ზანგები იყვნენ. ისე ჩუმალ მიდიოდნენ, ორშე სამარტინო გვრჩნობდით მათ არსებობას. ხანდახან ორიოდე სიტყვას წარმოსთქვამდნენ სუახილის ენაზე და მერე ისევ დუმღვნენ.

სამაგიეროდ მისტერ სტივენსონი ლაპარაკობდა ძალიან ბევრს. თანაც უსაშველოდ ეშეოდა. თამბაქო საოცრად მყრალი ჰქონდა და მის უკან სიარული მზარავდა. რამდენჯერმე ვცადე გადამესწრო, მაგრამ ჭონმა ამის უფლება არ მომცა.

სქელი ხაკის შარვალი მეცვა. შარვალი სინესტისაგან მთლად გაიჟღინთა და ახლა მისი ტოტები მუხლის თავებს მხეხვდნენ. ბანაკიდან აღოვ დაიღით გამოვედით. ახლა კი მზე დასავლეთისაკენ იწყებდა გადახრას, ჩვენ საკმაოდ დავიღალეთ და ძლივს მივჩილაზუნებდით ნოტიო მიწაზე.

როგორც იყო, ჭავნარი დამთვრდა. პატარა მინდოორზე გამოვედით. მინდოოს იქით გაუვალი ლიანებით დაფარული ბორცვების გრძელი რიგი ჩანდა.

— აქ გავჩერდებით, საკაა ღალამდება, ღავისვენოთ, დილით კი გზას გაგაგრძელებთ. საკანემდე 20 მილამდე დარჩა.

მასაელებმა სჭრაფად აღმართეს სამი კარავი. ერთი ჩემთვის, ერთი შისტერ სტივენსონისათვის, ერთიც კიდევ მათთვის.

ძალზე მეჩქარებოდა სავანესთან შეხვედრა, თოფის პირველი გასროლა, ამიტომ ყოველგვარი შესვენდა მაღიზიანებდა, მაგრამ ახლა ისე დალლილი ვიყავი, რომ კარავში შევძვერი და მაშინვე ჩავთვლიმე. მალე ვეხე მასაის ცივი ხელი შემეხო.

— ბვანა, ვახშამი შზადაა, მობრძანდით.

თვალების ფშვენეტით ავდექი, კარვებს შორის მოზრდილი კოცონი გიზვიზებდა, მთვარე და ვარსკველავებით გაჩახჩახებული ცა დაგვყურებდა. ამ ფონზე კოცონთან კუნძულზე წამომჯდარი ჭონ სტივენსონი ცოტა მელანქოლიური ჩანდა. ჩიბუხს გულდაგულ ტენიდა, თანაც მასაელებს ეჭიჭლინებოდა.

— ხომ არ მოსწევთ, სერ? — მითხა მან, როცა მის გვერდით ჩამოვგეხი.

— არა, გმადლობთ.

მასაელებმა ალუმინის გასაშლელ მაგიდაზე ძროხის დაკონსერვებული ხორცი, შებოლილი თევზი და ცელოფანის პარკებში ჩაწყობილი პური დაყარეს.

შებოლილი თევზი ავიღე.

— ვიყვართ თევზი? — მკითხა ჭონმა.

— ღიახ, სერ, თევზის ხორცი დიდებული რამაა.

— ოკეანის თევზი ბევრი არაფერი შვილია, მდინარის თევზი კი, ერთ რამედ ღირს.

— რატომ, ოკეანეშიც იცის კარგი თევზი. შავ კარასსა და ხმალთვევზე
ზას რაიმე სჭობიან. სხვათაშორის ზვიგენსაც არაუშავს, თუ ჯულ ფარგად
მოხარშავ და შემდეგ შეწვავ.

ჯონმა გააძურჲყა.

— რას ამბობთ, რა შედარებაა.

ნავაჭმევს მასაელებმა ნაღვერდალი გადაქექეს. მერე ზედ ბლომად
დააყარეს შეშა. სანამ კოცონი კვლავ აბრიალდებოდა. მე გასასეირნებლად
წამოვდექი. თოფი ხელში ავიღე და ნელა შევყევი პატარა ბორცვისაკენ
მიმავალ ბილიკს. წინ მაღალი, გამზღარი მასაი გადამიდგა.

— ბგანა, იქით ნუ წახვალთ. იქით ბოროტი სულები ცხოვრობენ, —
მითხრა მან.

— არა უშავს, მე სწორედ მათთან შესახვედრად მივდივარ.

— არ გირჩევთ, ბგანა. ბოროტი სული, ბოროტი სულია და მეტი
არაფერი...

მასაის ხელი შხარზე მეგობრულად დავკარი, ცოტათი გვერდზე მივ-
წიე და ლიანებს შორის გავძვერი.

— ბგანა! ბგანა!

მესმირდა შეშინებული მასაის ხმა, მაგრამ ამ ხმისათვის ყური აღარ
მიგდია.

ძალიან ნათელი ღამე იყო, მეჩხერ ლიანებში მთვარისა და ვარსკვ-
ლავების შუქი სწორ ნათელ სვეტებად ატანდა. მიწა თბილი და ნოტიო
იყო, დამპალ მცენარეთა უსიამოვნო მწაყე სუნი იღდა.

ნელა, ფრთხილად მივძრებოდი ლიანებს შორის. ჯუნგლის საეჭვო
იდუშალება, ამ იდუშალებაში ჩაკარგული სუსტი, უნიათო ჟმები, რომლე-
ბსაც ხეები და მწერები გამოსცემდნენ, კიდეც მაკრთობდა და კიდეც მი-
ზიდავდა.

ერთბაშად ნამეწყერალს წავაშუდი. მეწყერს მთლად ჩამოეტანა ყვი-
თელი პატარა გორაკის ფერდობი და ასწლოვან ხეებისათვის მიწის ყვი-
თელი მძიმე საბანი გადაეხურა. ეს საბანი დიდრონ ხეებს შორის ნაღირის
ტყავის ნაგლეჭივით ევდო.

შევჩერდი. თოფს დავეყრდნე, მიღამოს გავხედე. ყველაფერი, ცაცა
და მიწაც ლამაზ ფერებში ჩაკარგულიყო. ყველაფერი ძლიერ მომხიბლა-
ვი და ჯაღოსნური გახლდათ.

ერთბაშად ვიგრძენი, რომ ვიღაც მითვალთვალებდა. არც ფეხის ხმა,
არც საეჭვო ფაჩუნი არ მომისმენია, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ ვიღაც
მითვალთვალებდა. ადამიანი რაღაც უხილვი ძაფებით დაკვშირებულია
ბუნებასთან, როცა ამ ძაფებს უხეში ძალა წყვეტს, ყოველთვის გრძნობს
გაწყვეტილი სიმის გაურუოლებას. გრძნობ და უსიამოვნო შეგრძნობა გუ-
ლში გჭვალავს. ეს განსაკუთრებით აშკარად ჯუნგლებში ჩანს. ჯუნგლები
ადამიანს გულუხვად ხვევს უხილვი ძაფების ქსელში.

თოფის ლულა ხელში შემაყინდა. შუბლი ციგმა ოფლმა დამრღვაც აქა
ახლა საჭირო იყო მხოლოდ იმის შეტყობა საიდან მელოდა საფრთხე. ერთ
გაუთვალისწინებელ მოძრაობას შეიძლებოდა დავეღუპე.

სიგარეტი ამოვიღე. ხელის კანკალი რომ დამეოკებინა, იდაყვი სხეულს
ამოგაყოლე. სანთებელას ძლიერ ჩამოვკარი, მოვუკიდე და ჩავცუცედი.
მთვარის შუქის სწორი, განიერი სვეტი პირდაპირ მცემდა და მშვენიერი
სანიშნო გახლდით. როცა შუქის მხრიდან რაღაც არსების გრძელი, მანინ-
ჯი აჩრდილი დამეცა, თავიც არ ამიშევია.

არ ღირდა...

ყველაფერი ამაო იყო...

კვამლი ღრმად შევისუნთქე. ბოლქვა-ბოლქვად გამოვუშვი და ირი-
ბად ავიხედე...

ჭერ ვერაფერი გავარჩიე, გარდა მიწაზე გართხმული მახინჯი აჩრდი-
ლისა. მერე თვალი შევავლე ბანჯვლიან ფეხებს ჩემს წინ მრუდე სვეტი-
ბივით რომ აღმართულიყვნენ და შემდეგ მკერდამდე წვერდაფენილი კა-
ცის ფიგურაც დავინახე. იგი თითქმის მთლად შიშველი იყო. დიდ, მძიმე
კომბალს ეყრდნობოდა და თავს საშინელ მოჩვენებასავით მაღვა.

სიგარეტი კვლავ მოვქაჩე, ყრუდ ჩავახველე.

— მომეცი სიგარეტი! — მითხრა მოჩვენებამ ფრანგულად.

— როგორ! თქვენ ლაპარაკობთ ფრანგულად?

მომეცი სიგარეტი, — გაიმეორა გაბრაზებით.

მაშინვე ამოვიღე მთელი კოლოფი და გავუწოდე.

ჩამომართვა და მხოლოდ ერთი ამოილო. კოლოფი ისევ უკან დამი-
ბრუნა. მერე დაიხარა და ჩემს სიგარეტზე მოუკიდა. როცა კვამლი ჩაი-
სუნთქა, მივხვდი, რომ საქმე მქონდა კაცთან, რომელმაც კარგად იცოდა
სიგარეტის ყადრი და გემო. იგი ჩემს გვერდით დაჯდა. მთვარის შუქზე
ვხედავდი მის დაღლილ, დაღარულ სახეს, ჭალარაშეფენილ წვერს და გა-
მხდარ ბეჭებს.

ეწეოდა მალიმალ, ზარბად და დიდი ნაფაზებით. ისე იჯდა თითქოს
და მე ვერც კი მამჩნევდა. სულ ბოლო ნაფაზამდე დასწვა სიგარეტი. მერე
გაკვირვებული მჩერა მომაყრო, თითქოს და ახლა შემამჩნიაო.

— მესიე, იქნებ კიდევ მომაწევინოთ?

მაშინვე გავუწოდე კოლოფი და სანთებელასაც ჩამოვკარი თითო.

მოუკიდა. მოქაჩა და სწრაფად წამოხტა.

— წამოხვალთ ჩემთან?

არც კი დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე.

— დიახ, მესიე, სიამოვნებით.

იგი წინ გამიძღვა, მსხვილ კომბალზე დაურდნობილი, ოდნავ მოხრი-
ლი მიძუნდულებდა და უნებლიერ გამოქვაბულიდან მოსულ ქვის ხანის
ადამიანს მაგონებდა.

გადავიარეთ ნამეშურალი, ავზევით ლიანებს შორის გაკვალულ ვიწოდ
ჰილიყს. როცა თავს დავაღწევდი ლიანების უსაზღვრო გვირაბს, ნათელი
ცის შუქი გვიკაფავდა გზეს. ბოლოს ლიანები თანდათან შეთხელდა.
ვგრძნობდი, რომ ჩვენ ბორცვზე ავდიოდით. ფეხსაცმელი ნესტიან ნიადა-
გში მეფლობოდა. დავილალე და ქოშინი ამიტყდა. მაინც გულდაგულ მი-
ვაბიჯებდი.

ტყე გამეჩხერდა, მიწაც მტკიცე და მყარი გახდა. ჩვენ სალ კლდეს
მივადექით. კლდის ძირში კი, ჭილოფისოდენა მინდორზე ხელით გადახუ-
რული პატარა კარავი იდგა. კარავთან იქვე მიწაყრილი, რომელიც ძალი-
ან გავდა საფლავს.

უცნობი კარავის შესასვლელთან დაჯდა — მეც ჩავჭექი და მაშინვე
სიგარეტის კოლოფი ამოვილე. უცხო კაცმაც დაითრია ერთი სიგარეტი.

გავაბოლეთ.

იგი მოშვებული, მოთენთილი იჯდა. გრძელი, ბანლიანი ფეხები მოც-
ვეთილივით გაეყარა წინ. თავი ჩაექინდრა და სულ ერთთავად მიწას ჩა-
ჰყურებდა.

შე ზურგით რომელილაც გუჩა წეს მივეყრდნე, თავი ავწიე და იმ
უცნაურ კაცს შეეხედე. იგი ცას გაჰყურებდა. მეც გავედევნე მის მშერას.

— მთვარეს სისხლი აცხია, — თქვა მან.

— არა, მთვარე შორს არს სისხლისაგან.

— მთვარეს სისხლი აცხია, — ჯიუტად გაიმეორა მან.

— ეს მხოლოდ მოჩვენებაა, უბრალოდ ღრუბელის ნაგლეჭი გაღაე-
ფარა და მთვარემ სისხლისფრად შეღება.

— სისხლი აცხია, — ისე მაგრად დაიყვირა, რომ შევკრთი.

— ჰო, აგრეა, მესიყ.

— მთვარესაც უყვარს სისხლი, კაცსაც უყვარს, შენ? — ცივი, ბეცი
თვალებით შემომხედა.

— მე არ მიყვარს, ჭერ ქათამიც კი არ დამიკლავს.

— შენც გიყვარს, თოფს ხომ ატარებ, თოფი სისხლია. დიახ, სისხ-
ლია.

ამ გადაშუვეტილების გაპროტესტება გადავწყვიტე, მაგრამ ტუჩებზე
თითი დამაფარა.

— მოიცა, ანრიმ არ გაიღვიძოს.

— განა იქ, კარავში ვინმეს ძინავს?

— კარავში არა, აი, იქ მიწაში ძინავს. გუშინწინ მოკვდა. — მოწიწე-
ბით გავხედე მიწაყრილს.

— თქვენი შვილი იყო, თუ ძმა?

— არა, ანრი მეგობარი იყო.

— მეგობარი სულის ნაწილია.

— გუშინწერი მოკვდა, ამდენი კი ვიცხოვრეთ ერთად აქ, ჯუნგლების მიერ ანრის უყვარდა სისხლი.

— ფრანგი იყო?

— დიახ, ანრიც, მეც და პოლიც ფრანგები ვიყავით, სამოცდასამი წლის უკან ფრანგები ვიყავით. ახლა ღმერთმა უშეის ისინი რანი არიან და მე რა ვარ... და, საერთოდ, ჩვენ რა ვართ.

პოლი ჩემი უფროსი ძმა იყო... მოიცათ, ერთს კიდევ მოგწევ, დიდი-ხანია არ მომიწევია

სიგარეტი გავუშოდე.

— „აღმირალ გრაფ შპე“ გაგიგიათ, მესიე.

— დიახ, მესიე, „აღმირალ გრაფ შპეეც“ გამიგია და „შარლჰოლს-ტიც“, კიდევ „გნეიზენაუ“. თუ მესიერება არ მღალატობს, ასე ჰქვიოდა ფაშისტების სახაზო გემებს.

— მე ვებრძოდი „შპეს“, საფრანგეთის ფლოტის მთელი მესამედი ებრძოდა.

— დიდი უცუვა იქნებოდა.

— როგორ თქვით?

— დიდი ხოცვა იქნებოდა.

— არა, წეხან სხვანაირად თქვით.

— ხოცვა და უცუვა სინონიმები არიან, მესიე.

— აღუღებული ლითონის წვიმა მოდიოდა, ისინც მაგრად დაგვიდგნენ. ჰერში ცვივოდა სისხლიანი, ყვითელი ტელები, თვები, ფეხები. უკეთეს ჯოჯოხეთს კაცი კი არა, თვით ეშმაკიც ვერ მოიგონებს. პოლი ჩემი უფროსი ძმა იყო. არა, მარტო ძმა კი არა, მამაც, დედაც. პოლი ჩემთვის ყველაფერი იყო. ყუმბარამ თავი წაგლიგა. გალურებულ-გასიებულ ტუჩებიანი თავი ცალკე გორავდა. სხეული კი ცალკე ხტოდა.

თავწაწყვეტილი ქათამი ხომ გინახავთ მესიე, როგორ ბურთივით ხტის ჩვენს ცოდვილ მიწაზე. პოლის სხეულიც ზუსტად ასე ხტოდა. სიკვდილი ერთნაირად მოდის თურმე. კაციც ისევე კვდება, როგორც ქათამი. ისევე ხტის, სისხლის შადრევანს აფრქვევს. ასე მარტო პოლი როდი მოკვდა. ასე დაიხტა უამრავი კაცი, წავიდა და ცხოვრებაში დატოვა თავისი ცარიელი ადგილი, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ ვერ შეავსებს. ეს ხომ საშინელებაა, მესიე.

— დიახ, ადამიანი უხმაუროდ მოდის და მიდის. როცა მიდის, მართლაც ახლობელთა გულში დიდ, ნაღვლიან სიცარიელეს ტოვებს. ეს სიცარიელე, შემზარავია.

— მოდი, კიდევ მოგწიოთ. აი, მთვარემ სისხლის ლაქა ჩამოირეცხა. ახლა ლამაზია მთვარე. ნახე, ქალწულივით კოპწია და ფერმკრთალია.

მე მიყვარდა მთვარე, ვარსკვლავები, ღამის იღუმალი ხმები, სისხლ-
მა ყველაფერი შემაძლა. სისხლი და სიკვდილი ქმები არიან. უღვრება
სისხლი და მოაბიჯებს სიკვდილი, ღმერთო, გვიშველე.

მე და ანრიმ ვერ ავიტანეთ სისხლი და ოცა ჩვენი გემი დაკარში
შემოვიდა საწვავის ასაღებად, ორივემ ჯუნგლებისაკენ მოვცოცხეთ. გავ-
რბოდით დღისით და ღამით, მივრბოდით დასაკარგავში. ვეძებდით აღ-
გილს, საღაც ვერასოდეს ვერავინ გვიპოვიდა. ჩვენ გავეჭეცით სისხლსა
და სიკვდილს.

ბოლოს ვიპოვეთ ეს მყუდრო ადგილი და აქ ჩავაგდეთ ღუზა. აქ გავ-
ლიეთ წლები დროისა და საათის გარეშე, ადამიანთა გარეშე, ყველასა და
ყველაფრის გარეშე.

ალბათ ბევრი წელი გავიდა, არა, მესიე?

ყურადღებით შემომხედა. ხმა ახლა ძალიან რბილი და ნაღვლიანი
გაუზღა.

— დიახ, მესიე, სულ ცოტა ალბათ ოცდასამი წელი მაინც გავიდა.

— ოცდასამი! — შეკრთა, — უცბად კი გასულა... რამოდენა დროა!

— დრო, როგორც მეზღვაურები იტყვიან, ღუზაზე არ დგება.

— ჩინებული ნათქვამია, მესიე. და განა არსებობს ისეთი ღუზა, რომ
ცხოვრება შეაჩეროს. არა, ასეთი ღუზა არსად არაა.

ანრი მოკვდა... გუშინწინ მოკვდა. თუ; მანდ მარხია. ახლა სულ მარტო
ვარ. აღარავინ დამრჩა. ხომ საშინელებაა მირტოობა, მესიე?

— უკველად საშინელებაა, — მაშინევ დავეთანხმე.

მან თავი ასწია.

— მარტოობა სიბნელეს ჰგავს. მიდიხარ და გზას ვერ იკვლევ. მეგო-
ბარი ლამპარია.

— სწორედ რომ აგრეა, მესიე. ამდენად თქვენ მოგიშევთ დატოვოთ
ჯუნგლი. იქ საფრანგეთში ალბათ კიდევ გელიან ახლობლები, მეგობრები.

— არავინაც არ მელის. მე პოლისა და ანრის მეტი არავინ მყავდა
ქვეყანაზე. ისინი იყვნენ ჩემი ძმებიც, მეგობრებიც, შვილებიცა და გზის
გამნათებლებიც.

— საბედნიეროდ ასეთი აღამიანები არც თუ ისე ცოტაა ჩვენს პლა-
ნეტაზე.

ისევ ამომხედა, ღიღხანს მიყურებდა, ცივი, ნაღვლიანი თვალებით.

— მე არ წამოვალ. ჩემი აღსასრული აქაა.

მთვარე ნელნელა იხრებოდა, ვგრძნობდი ღიღი დრო გავიდა. ამ კაცის
მიტოვებას კი ვერ ვბედავდი, გამიგო.

— მალე გათენდება. თქვენ უნდა წახვიდეთ, მესიე. გაგაცილება.

ავდექით. ის წინ მიმიძლოდა. მიდიოდა დაღლილი, მარტობის გადაც უდი
მოტეხილი. მიდიოდა გრძელი, არეული ნაბიჯებით. ხანგარან შეჩერდული
და .სულს მოითქვამდა და ცას შეპყურებდა.


გავიარეთ ის ნამეშეყრალი ადგილიც და... იგი ერთბაშად გაქრა. რა-
ლაც სასწაულით მოჩვენებასავით გაქრა.

მე არ დამიშეია ძებნა. ნელა მიგყევი ლიანებს და ხილულ ბილიჭზე
ჩამოვედი. წინ სამი მასაი და ჭონ სტივენსონი იდგა.

— სერ, — თქვა სტივენსონმა, — თქვენ დაარღვიეთ კონტრაქტი.
შემიძლია დღესვე ნაირობში დაგაბრუნოთ. მაგრამ მე ჯენტლმენი ვარ და
ამას არ ვაკეთებ. შავიდეთ.

მე სტივენსონის უკან დავდექი. ნელა ავითრიეთ ფეხი. ვხედავდი სტი-
ვენსონის ოფლიან ბეჭებს და გული სავანისაკენ მიმიშევდა.

13/16



ନେ ଗୋଟିଏ, ଏହି ବିଷୟରେ ଆପଣଙ୍କ କଥା!

ହାତାବରଦା ଫର୍ରେନା,
ମେ ମିଛାସ ବାଲ୍ମୀକି, ବାଲ୍ମୀକି ଓ ବାଲ୍ମୀକି,
ଏ ଏହି ହେଠି ପିନାପରେବୀରି କ୍ଵାଳି ଓ କୋରି,
ଏ ଏହି ହେଠି ଗମତବାରି ଶୁଲୀର ଫାଳ ଓ ମାଫଳ,
ହାତାବରଦାରଙ୍କ ପ୍ରେଇଲା ଶ୍ଵାଲି ଶାଲିପାଇ ଏହି ଗିଲି,
ହାତାବରଦାରଙ୍କ ପ୍ରେଇଲା.
ବିଶାଚ ଉପବାରି ପିନାପରେବୀରି ଲାନଦି,
ବିନ୍ଦୁ ସାନତେଲି ଉନତେବୀ,
ଶ୍ଵାଲିପାଇ ସାନତେଲି, ଲାମିବୀ କରିଛାନିଲିଲି,
ବିନ୍ଦୁ ପ୍ରାତିନ୍ଦିଶାବିତ ଶୁଲୀ ଅନ୍ଧେବୀ ଦିନେବୀ ଗୁଲିଲିଲି,
ବିଶାଚ ଘୁଲି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି...
ମେ କି ମେହାକି ପିନାପରେବୀରି:
ନେ ଗେହିନିଆ,
ହେତୁ କଥି ଗ୍ରୌପାରଦା ସାଖାରିତତ୍ତ୍ଵରେ ତାଗଦାବିଷ୍ଟ୍ୟରେବୀତ,
ଯେବୀ ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି,
ନେ ଗେହିନିଆ, ଏହି ହେତୁ ଏହି ଏହି ଏହି.

* * *

ହାତାବରଦା,
ଶ୍ଵାଲିପାଇ,
ଶାଲାମର,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହେଠି କଥା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,

ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,
ହାତାବରଦା ହାତାବରଦା,

ვ ი ს ფ ე რ ი გ ზ ე ბ ი

ჩვენ არ გვაშინებს სიმძიმე წლების,
 დასაწყისია ჭერ ყოველივე,
 ცისფერი გზებით, ცისფერი გზებით
 დასასრულამდე ვივლით ორივე.
 არ ვიცი ახლა რად მომაგონდა
 ფარაონი და პირამიდები,
 სამგზავრო ჩანთით ვდგავართ გემბანზე
 და მრავალ ქვეყნის ნახვას გპირდები.
 ცისფერი გზები,
 ცისფერი გზები...
 და ჩვენ ვტრიალებთ მნათის გარშემო,
 სხვა სიხარული, სხვაგვარი განცდა,
 ო, აღარ მჯერა თუ კი არსებობს.
 ასე უვლიათ ალბათ ჩვენამდე,
 და ჩვენს შემდეგაც ასე იარონ,
 ცისფერი გზებით, ცისფერი გზებით
 ცისფერ სიხარულს რომ ეზიარონ.

* * *

ახლა კი დროა, დრო საღი განსჯის,
 გადავლილია წვიმა და ოქეში,
 მე საკუთარი სინდისი დამსჯის
 და არაფერი მოხდება შენში.
 ან იგრძნობ ამას ისე უბრალოდ,
 როგორც შიშველ ქალს გრძნობს საჭურისი,
 თოვლიც არ ქრება ხელში უკვალოდ,
 ქვალს ტოვებს კარგი, ტოვებს ულირსიც...
 რადგან ასეა, მე ვარქმევ სახელს
 დღეებს შენთან რომ მაჟავშირებდა
 და ოცნებებში — მუყაოს სახლში
 შემყავს მშიერი რემა ირემთა.
 სურვილი ჩნდება და მერე მიდის
 ვიღაცების ან რაღაცის გამო,
 არ იყო წარღვნა, საღ გაქრა ხიდი?

და მაინც წარლვნა უნდა იშამო,
 რაღაც შედეგით სჭიან ყოველთვის.
 ღიღ საქმეს არა, პატარა საქმეს
 უყვარს შფოთი და უყვარს ხმაური,
 მე მახსოვს ბალი და შენი სახე,
 საყველურები მარადქალური.
 რა უნდა მეთქვა, რასაც ვაპირებ
 არ გეხატება და შენ არ უსმენ,
 შენი ცხოვრება კი არ მაკვირვებს,
 მაგონებს მხოლოდ ლამაზ კარუსელს,
 რომელიც უნდა გაცვდეს ტრიალში
 და გულუბრყვილო ბავშვი გაართოს.
 ასე მგონია შენ ხარ წერილი
 გადაგდებული უმისამართოდ.
 მოგონებები ცახცახებს, როგორც
 ფართო ფოთლები ქარში ჭადრების,
 ჭვეულად სიკვდილი ადრეა მხოლოდ,
 სხვა ყველათერი სჯობს ნაადრევი.
 ველარ გამიგე და ეს არც მიკვირს.
 შენთვის ციხეა გრემიც, ბაგრატიც...
 ისე ძუნში გაქვს სული და გრძნობა,
 ვით ორი რიცხვის ჯამის კვადრატი.
 მე ყველაფერში ვეძებ სიცოცხლეს,
 ვეძებ დიადს და ვეძებ გასაკვირს,
 დავიმორჩილე ურა კვიცივით
 და ცერზე მიზის ჩემი ასაკი.
 როცა სიგიჯის ზარი დარეკავს
 აიზლაზნება საწუთრო შფოთით
 ავსილი ჩემი ფიქრის ჩარექა
 აგდია, როგორც მოჭრილი ტოტი.
 და ტირის დამჭერარ ფოთლების სევდით,
 არ ელის ნიავს, არ ელის წვიმას
 და თუ ოდესმე იყივლებს ბელი,
 რა დამავიწყებს რაც იყო წინათ.
 რაღაც ასეა, მე ვარქმევ სახელს
 დღლებს, შენთან რომ მაკაგშირებდა
 და ოცნებებში — მუყაოს სახლში
 შემყავს მშიერი რემა ირემთა.

მამია ვაჩანიძე

ჩვითი და უფლებითი

დედულეთი, ჩემი დედულეთი...

მივყვები ძეველ ნაცნობ გზას. მარჯვნივ მღინარე მოჩხრიალებს, ალაგ-ალაგ მორევს ქმნის. აი, აე მორევში ვჰყუმპალაობდით ცეროდენა გოგო-ბიჭები. ამ მღინარეში ვისწავლე ცურვა. მერე ამ ცურვამ მიშველა ფრონ-ტზე, მღინარები რომ გადავლახეთ. ო, ჩემო სიყრმის მღინარევ. თითქოს ჩემი სული შენი ვრილი წვეთებით სავსეა. მე მთლიანად გაუღენთილი ვარ შენი ჩუხჩუხა წყლით!

აი, გორები... მთები... ტყეები..., მაღალი წიფლები. აი, იქ, მაღალი წიფლები რომ ჩანს, „სკების მარანს“ ეძახიან. იქ სკებია. თაფლიც იცის გემრიელი. რამდენჯერ ბიძახემს ვახლდი. თვითონ ბაშრით აფრიალდებოდა წიფლის წვეროში, საღაც სკა იყო შემოღმული. მერე კვამლს შეუფუ-ტებდა და ნელ-ნელა, სიმღერ-სიმღერით მოიხილავდა სკას. მე მაფრთხილებდა ფუტკრებისთვის ხელი არ მომექნია, არ გამებრაზებია, თორემ... ჩამოუშვებდა სავსე ჭურჭელს და მერე თვითონ დაეშვებოდა დაბლა. თაფლის ჭამის ნებას არ მაძლევდა, მაწყენარა არ იყოსო, ამ მთებში იელი იზრდება და ფუტკარი მის ყვავილსაც ეტანებაო, და თუ ასეთი საშიში მცენარის ყვავილი თაფლში შეერია, მოგჭამა ჭირი... გზაშივე დაგვაძინებს და იქნებ არ ღლეს ჭკუაზეც ვერ მოვიდეთ, და ვინ იცის კიდევ რა ფათერაკი გველისო. შეშინებული თითს არ ვაკარებდი ფიჭას, თუმცა ისე მინდოდა, ნერწყვი მომდინდა. სახლში რომ ჩავიღოდით იქაც მიშლიდნენ, გიდრე უფროსები არ დაცდიდნენ თაფლს, მაწყენარი იყო თუ არა... ან და „ალმახასს“ შეამზადებდნენ. „ალმახასს“ კარგად მოღულებულ თაფლს ეძახიან. უწყინარია, რამდენიც გინდა მიირთვი...

დედულეთი.. ჩემი დედულეთი...

ჩემი დედა! აი, იქ, იქ მარხია საბრალო ჩემი დედა. სულ აწყლობზე როგორ
აყო, ასე, 33-34 წლისა. ცოდო არ იყო, როგორ გაიმეტა ღმერთმა მიწისა-
თვის ანგელოზივით ქალი! ახ, ღმერთო, ღმერთო, რა ცოდვიანი, რა შეუბ-
რალებელი ვინე ხარ! ეს ისე ვამბობ, თორემ.. შენ სადა ხარ, სადა! შენ
არსად არ ხარ, შენ მოტყუებულთა გულსა და გონებაში ჩამჯდარხარ და
შეუბრალებლად ჰკორტნი აღამიანის სულსა და გულს. ჩემს გულში შენ
ვერ იძოვი ბინას, ვერა და ვერა. ეს ბავშვიბაში მატყუებლენ... მის შემ-
დეგ ბევრი კბილი მოვიცვალე...

მივდივარ, მივდივარ და ფიქრები გულს მიმძიმებენ.

მივდივარ, სტუმრად მივდივარ, დეიდა ხატიჯე უნდა ვნახო. ეს იშდენ
სიხარულს მანიქებს, რომ ყოველი ტკივილი მავიწყდება, ყოველი ჭრი-
ლობა პირს იქრავს და ცისკრის ლიმილი დამთამაშებს.

დეიდა ხატიჯე, ჩემი საყვარელი დეიდა. ო, შენ გენაცეალე, შენ გე-
ყურბანე, მომახახებს და ყველაფერს დამავიწყებს. ის ჩემთვის ყველაფე-
რია. მე კი? მე კი რას ვუკეთებ მას? არაფერს, ერთი უბრალო საკაბე
მიღევს პორტფელში და ეს არის. მაგრამ მისი დედური სიყვარული
მიმაქვს, სიყვარული პირველქმნილი, მარადი, უფრჩქვნელი, ღვთიური...
და ის, რომ სიყვარულით გულს მომაჯახებს... ო, ის არის მშობლიური
სიყვარული, დედური სიყვარული! ვერაცვალე მე შენს გულს დეიდა
ხატიჯე, ჩემო სიხარულო და ლამაზი ოცნებების ანგელოზი!

ვზად შემხვდა ბიცოლა მერიეში. ვერ მიცნო. მიყურა, მიყურა და
მერე ერთი გულიანად გაიცინა.

— ბიჭო, შენ ჯემალი ხარ?

— ჰო, ქალბატონო მერიებ!

— არსად რომ არ ჩანხარ, სადა ხარ? ბათუმში სახლობ? მერე სოფე-
ლში მალ-მალე ვერ ამოიჩენ? მომეხუტე ბიჭო, მომეხუტე! — მკოცნის,
მეჩვევა, ხელს მკიდებს ყურის ბიბილოზე, უნდა აგაბლიხოო. აბა, აქამდე
რატომ არ ვგნახეო. სიცილ-სიცილით ბიბილო ასწი-გასწია, ცოტა მეტკინა
კიდეც, მაგრამ არაფერი ვთქვი, თავი მის ნებაზე მივუშვი, ვიცი მესიყვა-
რულებოდა და რატომ შევიმჩნევდი ტკივილს? რატომ ვეტყოდი საყვე-
დურს ქალბატონ მერიემს.

— ჰო, სად ხარ-მეთქი? — გაიმეორა ქალბატონმა მერიემმა.

— თბილისში ვმსახურობ, ქალბატონო მერიემ.

— რას აკეთებ იქ? — მკითხა გაოცებით.

— წიგნებს წერ. ვმუშაობ. ერთი სიტყვით, სამშობლოს და ხალხს
ვემსახურები.

— ჰაუ, უყურე ერთი ამას! მამაშენმა წერა-კითხვაც არ იცოდა და
შენ წიგნებს წერ?! ყოჩალ! მაჩვენე ერთი შენი დაწერილი წიგნი, — შე-
მომაჩერდა მერიემი, ალბათ თუ ეგონა მატყუებსო. „ნუთუ არ იცის ქალბა-

ტონმა მერიემმა წიგნებს რომ ვწერ? თუმცა რა გაემტყუნება, წერა-კითხვა „არ იცის, მოხუცია და ვერ ისწავლა ქართული წერა-კითხვა“, პატივული რობ მე.

პორტფელი გავხსენი... და ვაჩუქე ის წიგნი, რომლის მესამე გვერდზე ჩემი სურათი იყო აღბეჭდილი. წიგნს ასე წავაწერე: „სახსოვრად დედა-ჩემის სიყრმის მეგობარს, ჩემი დედულეთის სინდის და ნამუსს, ქალბა-ტონ მერიემს დღიდი პატივისცემით და სიყვარულით“. მთხოვა წამიგითხეო. იტირა, დედაშენი კარგი ქალი იყო, როგორ გვიყვარდა ერთმანეთიო. წიგნი გულში ჩაიხუტა და დამლოცა.

— შენი ჭირიმე, შენი. ამას ფურცელ-ფურცელ ბაღიშებს წავაკითხვინებ... და განა ერთხელ! ეს ჩემი საყვარელი წიგნი იქნება. ღმერთით პირველი კაცი იქნები საქართველოში.

გზაჯვარედინზე შეჩერდა.

— ახლა მე ამ გზით წავალ. ნახვამდის! ხომ მესტუმრები?

— როგორ არა. ესე იგი თქვენ აშ აქეთ სახლობთ არა?

— ჩემი ქმარის სიკვდილის შემდეგ შვილებმა აქეთ გადმოსახლება არჩიეს. ალბათ არ უძლებდათ გული ძველ ადგილზე, სადაც მამის სული ტრიალებდა... ნახვამდის!

და მან კიდევ მაგრად ჩამკოცნა და გაუდგა თავის გზას. ფართხუნა კაბის შრიალი ერთხანს მესმოლდა და უამდაუამ გავუხედავდი ხოლმე. ისიც ასე, ვიღრე მაღალ წიფლებს არ მიეფარა.

ნელ-ნელა მივაბიჭებდი და ფიქრთა ბურუსში ისე ვიყავი განვეული, როგორც შემოდგომით ან ზამთრობით ბურუსში გაეხვევიან ხოლმე ჩემი დედულეთის მთები და გორები. მე ბურუსმოხვეული მთაც მიყვარს ჩემი... და მიყვარს, როცა ცისკარი თავს დაადგება, მზე ამოაწითლებს ცის გულმკერდს.

მე მაგიუჟებენ ეს მთები, როცა მზე ჩადის. ნარინჯისფერი დაედება ყოველს და კაშკაშებს, თითქოს ოქროს ფქვილს იპნევს თავზე და თან იცინის ნეფესავით. მაგრამ დედოფალი სად არის?! ალბათ, მისი დედოფალი თეთრი წისლია და მის მოლოდინში იღიმება.

აღმართ-აღმართ მივდივარ და გულში აკაკის ლექსს ვმღერი:

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,

სერზე შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა.

მზემან სხივი მომაფინა მაშინა,

სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.

მივდივარ აღმართ-აღმართ და თანდათან ვუახლოვდები ჩემს საყვარელ კორტოხს. აი, სულ მალე გამოჩნდება გაშლილი აივანი, ლურჯად რომ იყო შეღებილი. მის წინ ალვის ხე, ყოველთვის სასიყვარულოდ რომ ირწევა. უკან — ვეება თხმელის ხე ადესა რომ შემოხვევია ყელზე და

მერე გატოტებულა, ახლა ბლები ჰყვავიან. არა, ბლები უკვე მოუდიულა ქო, ნააღრევი ბლები რახანია მოილია და ნაგვიანევიც აფრიკულებისა სამაგიეროდ უურძენი მწიფს, ჩემი საყვარელი ადესა უურძენი. იქნებ მაჭარიც დუღს. ახლა ხომ დროა მაჭრისა. კარგ დროს მივდივარ. დეღდა ხატიჯე არაფერს დამაკლებს, არც მაჭარს, არც შემოდგომურ ხილ-ბოსტნეულს, არც დედურ სიყვარულს. ეჭ, ამხელა კაცი ვარ და კიდევ ბავშვი-ვით ვნატრობ დედის ალერს. ვერავინ გამოთქვამს იმას, რაცაა დედა. დედა ანგელოზია, ღმერთია, სიცოცხლეა კაცისა, დედა პოეზიაა..

აღმართ-აღმართ მივდივარ და ვუახლოვდები დეიდა ხატიჯეს სახლ-კარს, ვუახლოვდები ჩემი სულის სავანეს.

* * *

ჩემი პატარა ლელე, ჩუხ-ჩუხ, ჩუხ-ჩუხ! — მოდის და მოჩუხჩუხებს. ო, ამ ლელეში ტიტლიკანები დაგხტოდით ქვიდან ქვაზე. ერთხელ ბულ-ბულს სიბ ქვაზე ფეხი დაუსხლტა და წყალში ჩავარდა. შეშინდა, იყვირა, მარა რა იყვირა. მე მივარდი მაშინვე და ზეზე წამოვაყენე. რა გაყვირებდა-მეთქი, გოგოს ვუსაყველურე. როგორ რა მაყვირებდაო, აგერ ერთ ფეხის ნაბიჯზე ლელე კლდეზე გადადის ჩანჩქერად. მე მეგონა, ჩემი თავი ლელეს მიჰქონდა. ჰოდა, კლდიდან გადამაგდებს-მეთქი.

— ტყუილად შეგშინებია ბულბულა, — ვუთხარი მე. — არც ლელეს და არც არაფერს მიჰქონდი. ნათქვამია, ქალის ჭკუა ბარღზე სწერია და ისიც წყალს მიჰქონდაო. შეხელე, ბარღის ფოთლები ჰყრია წყალში და წყალს მიაქვს. მაშასადამე, შენი ჭკუაც მიაქვს. ჰოდა, ჭკუა საითაც მიდის, იქით წახვალ-მეთქი, ვეუბნები და ვიცინი, ასე გამიგონია უფროსებისაგან და ახლა გამოვაჩავრე ბულბულა. ბულბულა ჭკუანი გოგო იყო და და-ცინებას მიმიხვდა და გამებუტა. მერე ძლივს შევირიგე. უიმისოდ თითქოს ვერ ვძლებდი, გაგიუებით მიყვარდა. ყველას უყვარდა ბულბულა. ეს მისი ზეღმეტი სახელი იყო. ჩიტის გალობას მოისმენდა და მერე თვითონაც ჩიტივით გალობდა. კარგად ბაძავდა ბულბულს, ჩეიკვს, შაშვს, გუგულს, სკვინჩას. ერთი სიტყვით, ბულბულა ამ სოფლის ბულბულიც იყო და გუგულიც. ახლა სად არის ნეტავ?

* * *

ერთხანს გზამ დამაშორა ჩემი პატარა ლელე. მაგრამ იქ, საღაც დიდი კაცლის ხე შრიალებს, კვლავ შევხვდით. აქ პატარა ტყეცაა. ტყის შუაგულიდან გამოდის ჩემი ლელე და სადაც ჩანჩქერს ქმნის, იქ პატარა წისქვილი ჩაუდგამთ. ეს წისქვილი ახლაც სამსახურს უწევს რამდენიმე მოსახლეს. ო, რა დღეები მაქვს მოსაგონარი წისქვილო! ამ წისქვილში უყვარდა სიარული დეღაჩემს, ბიცოლებს, ბიძაშვილებს.

ამ წისქვილში ახვედრებდა ჩემი ბიძაშვილი თენტილე შეყვარებუ-

ლებს — ხუსეინს და ულვიეს — ქაზიმ მეჩონგურის ქალიშვილს ერთხელ
ბავშვები წისქვილთან ვთამაშობდით. შევხედე და წისქვილში მოვიდათ
ნზილე, მერე ულვიე. ცოტა ხნის შემდეგ შემოიპარა ხუსეინი. რაღაც ჩხუ-
ბისმაგვარი ლაპარაკი მომესმა. ულვიე უყვიროდა, რატომ მაკოცე, ბალ-
ნებმა რომ დამინახონ და სახლში თქვან, თავი მომეჭრებაო. თენზილე აშო-
შმინებდა, გაბუტულები დაშორდნენ ერთმანეთს მიჯნურნი.

ეჭ, როგორ ვუყვარდი ულვიეს. ხუსეინიც მეფეებოდა. მეც ვუნახა-
ვდი მათ ხევშიადს. განა ერთხელ და ორხელ შევფეხებულვარ ხის ქვეშ
შეფარებულებს, განა ერთხელ და ორხელ მინახავს ვაჟმა რომ გოგოს აკო-
ცა და მოეხვია. ალბათ ამიტომაც ვუყვარდი ორივეს. მივდიგარ ალმართ-
ალმართ და თან თვალს ვერ ვაშორებ წისქვილს, ჩემი სიყრმის მოვონებე-
ბის „შაშვის ბუდეს“. ასე ეძახდნენ ამ წისქვილს. წინ დიდი თხმელა იდგა
სუროთი გაბარჯლული. სუროს ზამთრობით სულ შაშვები ესეოდნენ. გიყ-
ვარდეს მონადირეების ბათქა-ბუთქიც, რამდენჯერ დაუგუგუნებიათ აქ
თოვთი. შაშვი ფრთხიალ-ფრთხიალით წამოვიდოდა ძირს, ბავშვები მივ-
ცივდებოდით, მონადირე მაშინვე თავს წააცლიდა და ჩვენ გადმოგვიგ-
დებდა, ხოლო ტანს თვითონ იტოვებდა. ჩვენც იქვე ცეცხლს გავაჩალებ-
დით და შაშვის თავს სახელდახელოდ შევბრაწავდით და მაღიანად
შევექცეოდით.

რამდენი რამ მაქვს მოსაგონარი ჩემო წისქვილო, რამდენი!

* * *

ვამოვიარე მეზღაპრე უსუფის სახლიც. მისი სახლიდან ვიღაცამ გა-
მომიჭვრიტა. მეუღლეს თურმე დღესაც შავები აცვია — ქმარი ომში
დაეღუპა. ეჭ, ჩვენო მეზღაპრევ!

იი, ესეც ბალი. დავით ძიას ბალი! ეს ადგილი სულ ტიტველი იყო.
დავით ბიძია ერთხანს მუშაობდა თურმე „პოპოვის მამულში“. იქ უსწავ-
ლია მებალება. მერე თავი მიანება იქ მუშაობას, აშ ახალგაზრდა აღარ
ვარ, სჯობია ოჯახს შივხედოო. პოლა, ეს ტიტლიკანა ადგილი ბალად აქცია,
ნაირნაირი ხეხილი და ყვავილები დარგო. ისეთი ბალი დაღგა, ყველას
თვალს სტაცებდა, გზად მიმავალი გაჩერდებოდი და ცქერით ვერ გაძლე-
ბოდი, დავითმა ბალის შუა მაგიდა და სკამძელები გამართა. ყვავილები
როცა ჰყვაოდნენ, აქ გავლა-გამოვლას არაფერი სჯობდა. ბალი სურნელს
აქმევდა საამოს და ბავშვებს თავისკენ ძალუმად გვიზიდავდა. მე და ბულ-
ბულა ძალიან კი შევეჩიეთ ბალს და კიდეც ჩუმჩუმად ყვავილებს ვიპარა-
ვდით. მებაღეს ეს არ გამოპარვია, ერთ დღეს დაგვიღარაჯა და დაგვიჭირა
კადეც. წკეპლათი გაგვლახა, ჩემს თავს არა ვჩიოდი, ბულბულა მებრალე-
ბოდა, ჩემი ლამაზი ბულბულა!

ეჭ, სიყრმის დღეებო ლამაზო! სადა ჩარ ახლა ჩემო სიყრმის შეგვისა
რო ბულბულა?

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ უცებ ვიღაც შემომეფეთა. შევცბი და ოვა-
ლები გავახილე. მაყვალა გამომეცხადა, მაყვალა! ცხადი იყო თუ სიზმარი?!
ვაშე, რა გოგო იყო! ახლა?! თითქმის დაბერებულა. თმაში ჭალარა უხვად
შერევია. კბილებიც შეთხელებია. მას „ფალჯის“ გოგოს ვეძახდით, მაღა-
ლი, შავთვალება, გრძელ ნაწნავებიანი გოგო იყო, თითქოს ვარდთა სურ-
ნელი ასდიოდა, როგორც ვთქვით, დედამისი განთქმული „ფალჯი“, ანუ
მარჩიელი იყო, პატარა ტანის ქალი. სოფლური მკურნალობაც იცოდა;
ჯაჭვში გატარება, ნუსხა, სიყვარულის წამალი და ვინ იცის კიდევ რა!
ისეთი მშევრმეტყველი ვინმე იყო, რომ ყველას აჭერებდა ტყუილსა და
მართალს, ყველა პატივს სცემდა მას. მოგეხსენებათ მაშინდელი ჩამორჩე-
ნილი სოფელი... როცა მე პატარა ვიყავი, აქ ჯამე ჯამობდა, ხოჯა ხოჯობდა.
მორშეუნენი გაჭირვების უამს ცას შეჰდოლადებდნენ ხოლმე და ალლახის
იმედი ჰქონდათ და მხოლოდ ალლახის. ისლამს ისე დაეპყრო მათი სული
და გული, რომ როგორც „ლმერთს სურდა“, ისე აბარბაცებდა კაცთა მო-
დგმას.

— მაყვალა, დედა თქვენი როგორაა? ხომ კარგად არის? — ვკითხ
მე.

მაყვალას დედას კარგა ხანია თურმე თქვენი ჭირი წაულია. მაყვალა
ატირდა, ასლუკუნდა.

— არ გაგიგია, თორემ ვიცი მის დასაფლავებას დაესწრებოდი. რა
დედა მომიკვდა, რა დედა!.. — ცრემლები ღაბაღუპით სცვიოდა.

მე ვიცი მაყვალას ერთი ხვაშიადი. მას უყვარდა ერთი ბიჭი — ჩემი
ნათესავი. ეს იყო დედა ხატიჯეს ვაჟი რამაზი, მაღალ-მაღალი ყმაშვილი,
შავთვალება და შავქოჩორა, ენაშვლიანი, მაგრამ უიღბლო იყო ქალიშვი-
ლის სიყვარული, რამაზს სხვა უყვარდა — სოფლის ექიმის გოგო მურა-
ამ სიყვარულმა იმსხვერპლა კიდეც ვაჟი.

მაყვალას რაღაც უნდოდა ეთქვა, შაგრამ ამ დროს ვიღაცამ დამიძახა:
— ჯემალ, ჯემალ!

მივიხედე და დავინახე დეიდა ხატიჯეს ასული გულო. იგი გათხოვი-
ლია ზემო აჭარაში. ახლა ალბათ სტუმრად ჩამოსულა. რა კარგია, რომ
ისიც აქ არის. ამეღამ ალბათ ბავშვობისა და ყმაშვილკაცობის დღეთა
მოგონებით გავძლებით, გავიხარებოთ, მიცნო და მეძახის ჩემი გულო. ჩვენ-
სკენ მოდიზარ თუ არაო, მომძახის იგი, მაგრამ მდინარის ხმაურში თითქ-
მის არაფერი მესმის, გუმანით ვხვდები გულოს სიტყვებს, დამიცალე,
მოვდივარ-მეთქი მივაძახე. ისიც ჩაყუნცდა ხესთან და მიცდის, მე მაყვა-
ლას დავემშვიდობე და ფეხჩარა გავყევი გზას.

ეზოში შევდგით ფეხი თუ არა, ძაღლმა იყეფა. გულო იცნო, მე მი-
უეფდა. ფანჯრიდან გამოიხედა გულოს ძმამ... და ატყდა ჩოჩქოლი, ხმაუ-
რი. ფაცი-ფუცით გამორბოლნენ გარეთ — სტუმრები, სტუმრებიო. გუ-
ლოც სტუმარი იყო და მეც. დეიდა ხატიჯე ბალჩაში ჩასულიყო. ხმაური,
რომ გაიგონა, ამინდა — რა ამბავია, ვინ არისო, როცა უთხრეს გულო
და ჯემალი გვესტუმრაო, დეიდა ხატიჯემ უმალვე ჩვენთან ამოირბინა.
ჯერ შვილს გადაეხვია და მერე მე; თან მისაყველურა:

— ასე უნდა, რამდენი წელია, ჩემსას არ ყოფილხარ, სადა ხარ ბიჭო,
საღ? აგერ არაა ბათუმი!

— მე თბილისში გცხოვრობ დეიდა ხატიჯე — ვუპასუხე და თან
მოვეხვიერ, შაგრად ჩამკოცნა, თან ცრემლები სცვიოდა ღაპალუბით, ალბათ
ჩვენს დანახვაზე ბევრი რამ გულსატყენი მოაგონდა.

— თბილისში?! — გაიკირვა მან. — რამ წაგიყვანა იმ სიშორეზე?
ბათუმში არ იყო შენთვის ყდგილი. თუ უფრო დიდი კაცობა გინდა? უცებ-
რომ მოვკედე, რაფერ ჩამოხვალ, შენი არც მისამართი ვიცით.

— ჩემი მისამართი გულოსაც აქვს და სხვასაც. ესეც არ იყოს, ჩადი
ბათუმში მწერალთა კავშირში და იქიდან ხელად დამირეკავენ. იციან ჩემი
ტელეფონიც, მისამართიც. ჰოდა, ერთ წუთში მომნახავენ. მე გეტუვი და
ბევრი ცდა უნდა ტაქსაფონს! ერთ წუთში მოსკოვში დარეკავ...

— რა არის ტაქსაფონი? — გაოცებით მეკითხება დეიდა ხატიჯე. მე
განვუმარტე. ეს კი კარგი ყოფილაო, მაგრამ ჩემისთანა უსწავლელი ქალი
რას გამოიყენებსო.

ასე ერთმანეთზე გადახვეულნი შევედით სახლში. კარებამდე კულის-
ქიცინით მოგვაცილა თეთრმა, ბამბურა ძაღლმა, რომელიც არც ისე მრის-
ხანე გამოდგა, როგორიც სტუმარს ეგონა. — აბა, ახლა დატრიალდით
ყველამ, სტუმრებს პატივისცემა უნდა, — ბრძანა დეიდა ხატიჯემ და ვინ-
და გაბედავდა უქმად დგომას. დეიდა ხატიჯე კეთილშობილი ადამიანი
იყო, მაგრამ მკაცრიც, განსაკუთრებით სტუმრიანობის ღრის. ქალი თუ
სტუმართან ვერ გამოჩედება და თავს შეირცხვენს, ის რა ქალიაო, ასეთი
ქალი კაცმა არც უნდა შეინახოსო, იტყოდა დეიდა ხატიჯე. თუმცა ჩვენ
რომელი უცხო სტუმრები ვიყავით, მაგრამ დეიდა ხატიჯე მაინც თავს
გვევლებოდა, როგორც იშვიათ სტუმრებს, ილიმებოდა, გვეალერსებოდა
და ხან თავისთავად აფორისტულ სიტყვებს გამოაფრქვევდა ხოლმე.

ერთმა ქათამი დაკლა, მეორემ წყალი აადუღა და ქათამი გაბუტი,
მესამემ ჭყინტით და ხაპით სავსე კარდლები შეკიდა ცეცხლზე. ვინ ჩილი
დაკრიფა... კარგი მაჭარი მაქვსო, ამბობდა დეიდა ხატიჯე, მე დავწურეო.
გამიკვირდა, ასე აღრე რომ დაუშურავს მაჭარი. ჰო, ეზოში აქვთ სამი
ძველისძველი ქვევრი, ალბათ სამას წელს ითვლიან ეს ქვევრები, დეიდა

ხატიფეს მეუღლემ დიდს ცოლის სახელი „ხატიფე“ შეარქვა, შუათანას „გულო“, მათ შორის სულ პატარას კი „ზამბახი“ — ბადიშის ჟაჭელი. ოდესალაც ჩვენი წინაპარი ამ ქვევრებში ინახავდა ლვინოს და მწყურებალედ სვამდა კიდევ. ისლამმა კი დაუვსო თვალები ქვევრებს, მაგრამ მთლად უქმდა არ ყოფილა — ამ ქვევრებში საზამთროდ ხეჭეჭურა მსხალს ინახავდნენ. ახლა კი კვლავაც ყურძნის წვენით ავსებდენ. შუშხუნებს ლალისფერი წვენი. მოდი და ნუ დალევ. სამასი წლის უამიანობით მოწყურებულ ჩვენს სულს რა ლვინო გააძლება!

არ გასულა დიდი ხანი და სუფრა გაშალეს, რა არ დაალაგეს სუფრაზე — მოხარშული ხაპი, ჭყინტი, ბია, ყურქენი, ლეღვი, ატამი, მსხალი, ვაშლი, ხაჭაპურები, მოხარშული ქათამი, ქათამი ნიგოზში, ბაქლავა... და რაც მთავარია — სურით საგეს მაჭარი. ო, როგორ მიყვარს დეიდა ხატიფეს დაწურული მაჭარი!

— ეჭ, ნეტავ, ასეთი ბარაქიანი რთველი იმათაც მოსწრებოდათ ომში, რომ ტყვიამ თვალები სამარადისოდ დაუბნელათ და აღარ ელირსათ დედის ნაცრის კვერის გატეხა, — ნაღვლიანად თქვა დეიდა ხატიფემ და თვალზე ცრემლი მოიხოცა. მას ორი ვაჟი სამამულო ომში დაეღუპა. დაღუპული შვილების სურათები სულ მკერდზე აკერია, და სულ ტირის და ტირის საბრალო მოხუცი დედა.

მინაწერი: ერთი შეილი, რაშაზი სადღაც გადაიკარგა. თუ რამ მოგლივა მამულ-დედულს ეს ყმაწვილი კაცი, ამის შესახებ მკითხველს ქვემოთ ვუამბობ. დაკარგულ შვილსაც მეტად ჯავრობდა დეიდა ხატიფე. კაცმა როგორ უნდა დატოვოს თავისი სამშობლო, რაც არ უნდა თავს გასაჭირი ადგესო, და ტუქსავდა შვილს დეიდა ხატიფე, მაგრამ რამაზის შორს გადახვეწაშიც მასაც ჰქონდა ბრალი და რაღა ეთქმოდა...

თამაღად მე დამასახელეს, ცოტ-ცოტა რამე ენაწყლიანად გვითხარიო. მეც ნელ-ნელა მიყვევი და ვინ არ ვადღეგრძელე. ნელ-ნელა გემრიელად ვწრუპავდი მაჭარს. დეიდა ხატიფეც შეპარვით სევამდა. მახსოვს, ოდეს დეიდა ხატიფე ქართულ წიგნს ხელში არ აიღებდა, ლვინოს თითს არ დააკარებდა, ცოდვააო, ღმერთი გამიწყრებაო, ისლამი გვიკრძალავს ასეთ რამესო.

მე მინდოდა აღრე დამემთავრებინა სადღეგრძელოები და მოკლედ ვამბობდი. სხვა საქმე მქონდა, სხვა იყო ჩემი გუმანი... ბოლოს დეიდა ხატიფე ვადღეგრძელე.

— დეიდა ხატიფე, შენ ჩემი დედის მაგიერო, შენ ამ სოფლის თვალი ხარ, ხატი ხარ და ანგელოზი. იმედი ხარ ჩვენი, სიხარული და სიყვარული ხარ ჩვენი...

მისმერდა ყველა ვინ არ იყო აქ — ახალგაზრდები, მოხუცები. სულ ჩემი ნათესავები. ერთ ჩემს ბიძაშვილს მარცხენა ფეხი დაუკარგავს ომში. ბერლინის აღების შემდეგ მოსვლია ეს უბედურება. შეორე მისი ძმა —

ოდერის გადალახვისას მძიმედ დაიჭრა და მარჯვენა ხელს ვეღარ არ მიასახულა... იმ ჭალარას, ორი ორდენი რომ ჰკილია ბერლინი მისი აღებულის...

— მე განვაგრძობ სადღეგრძელოს.

— დეიდა ხატიჯე, ჩემი დედაა, შენიც დედაა, იმისიც დედაა, თქვენი დედაა, სოფლის დედაა, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. შენი ჟადეგრძელო იყოს დეიდა ხატიჯე!

ყველამ დასცალა სასმისები.

— დეიდა ხატიჯე, ჩემო მეგობრებო, ერთი რამ მინდა გაგიმუდავნოთ. მე ამ სოფელზე, ე. ი. ჩემს დედულეთზე წიგნი დავშერე. მას ჰქევია „ჩემი დედულეთი“. ამ წიგნში მთავარია დეიდა ხატიჯე.

— არა, აქ მთავარია ჭერ საბჭოს თავმჯდომარე, მერე კოლექტივის თავმჯდომარე. მე ვინ მკითხავს ხვალ რა დღეა, — თითქოს გაჯავრებით ამბობს დეიდა ხატიჯე.

— წიგნი გაისად დაიბეჭდება. პოდა, წინასწარ მინდა წატუკითხო დეიდა ხატიჯეს, თქვენ... იქნებ ისეთი რამე გამომრჩა, მერე ვინანო. რაჯი თქვენც აქა ხართ შეკრებილნი, ბარემ ეს თხოვნა აღმისრულეთ. როცა მოგწყინდებათ, კითხვას შევწყვეტ. დავილლებით, ხვალ განვაგრძოთ. თუ-მცა არც ისე დიდი დრო იქნება საჭირო ამის წასაკითხად, — ვთქვი და ჩემი პორტფელი მოვითხოვე. მომიტანეს. ამოვილე ჩემი ხელნაწერი წიგნი, რომელიც ჭერ კიდევ რემენგტონზე არ მქონდა გადაბეჭდილი, და და-ვიდე წინ.

— დავიწყო თუ არა კითხვა, ძვირფასებო? მე ხომ ამიტომ ჩამოვედი თქვენთან.

— ჰო, აბა, ჩვენს სანახავად კი არ ჩამოხვიდოდი, — ვიღაცამ ნისკარტი ჩამკრა.

— როგორ არ ჩამოვიდოდი ჩემო ნიკო... მე თქვენთვის ამერიკაში წავალ, კი არა აქ, სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი.

— აბა, დავიწყოთ, — ბრძანების კილოთი თქვა მოხუცმა ალიმ.

...მე წიგნი გადავშალე და კითხვას შევუდექი.

„მი შენა თაფლისცემა თვალებმა აჯ მომიზვანა“...

ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, რომლებმაც ჩემი გული შესძრა და ამ ამბავში პატარა სარქმელი გამოჰყეთა? ჭერ მეც არ ვიცი. მოდი, ჭერ გიამბობდეთ ერთი ქალ-ვაჟის სიყვარულის ამბავს... და მერე იქნებ თვითონვე ამოიცნოთ...

ვთქვათ, ამ სოფლის — „ნამარნევის“ თავში ცხოვრობდა შევქოჩირა ვაჟი, ვთქვათ იმ სოფლის — „მარანის“ შუაგულში ცხოვრობდა თაფლის-ფერთვალება გოგონა.



ნამარწევის და მარანის გასაყარს ქმნიდა საკმაოდ მოზრდილი ტემინა ზე. აქვე იყო საცურავი მორევი, რომელსაც „საცურავოს“ ეძახდნენ. ზაფხულში სიცხე-პაპანაქებაში ორივე სოფლის გოგო-ბიჭები თავს იყრი-დნენ ამ მორევთან. ცალ-ცალკე იყო გოგონების და ვაეების „საცურაო“.

...და ყოველდღე ჰყუმბალაობდნენ გოგო-ბიჭები.

აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს შავქოჩირა და თაფლისფერთვალება.

ერთმანეთის თვალდათვალ იზრდებოდნენ, ბოლოს ისეთ ეშხში შე-ვიდნენ, გამვლელ-გამომვლელი თვალს ატანდნენ, „რა ნაზი და ეშხიანი გოგო!“ „რა შავქოჩირა და შავთვალება ბიჭია!“ ამბობდნენ ისინი და ზოგი ვაჟის სიძობას ნატრობდა, ზოგი კი გოგოს პატარბლობას... მათ რა იცოდნენ, რომ ამ ყმაშვილთა გულში ნაპერშეკალი ენთო, ნაპერშეკალი სიყ-ვარულისა, ფარული და მარალიული. უნებურად სიყვარული დაპატრონე-ბოდა ნორჩთა სულს და უხმობდა ქორშინების ანგელოზს, თუმცა ჯერ აღრე იყო.

გული გოგოს ვაჟისკენ მიელტვოდა ისე ძალუმად, რომ თავშეკავება უჭირდა. ვაჟის გულიც სულ სატრფოს დაეძებდა, ნახულობდა და შორ-დებოდა, კიდევ დაეძებდა თვალებით, გულით.. კიდევ ნახულობდა.

გოგოს უნდოდა რაიმე ეთქვა ვაჟს.

ვაჟს უნდოდა რაიმე ეთქვა გოგონას.

— მომწონს შენი თვალები თაფლისფერი. — უთხრა ერთ დღეს ვაჟმა.

— მართალს ამბობ? არ ცრუობ? — დაიმორცხვა გოგონამ.

— ჰო, მართლა, გაგიუებით მიყვარს შენი თვალები, — უთხრა ბიჭმა და უცებ თვალები დაუკოცნა.

— მომშორდი, დაგვინახავენ, გავიღანძლები, — აყვირდა გოგონა.

ვაჟმა პირველად იგემა გოგონას ლოყების სიტკბოება და იმ დღიდან უფრო შეუყვარდა იგი.

მერე მოვარიან ღამითაც ხვდებოდნენ ერთმანეთს. გოგონას სახლთან ახლოს დიდი მუხა იღვა. იმ მუხის ტანს ამოეფარებოდნენ და ჩურჩულებ-დნენ.

— ნუ მკოცნი. — ჩურჩულებდა გოგო.

— ტკბილია ეს ოხერი და რა ვქნა! — ამბობდა ვაჟი.

— მაშინ ერთხელ კიდევ მაკოცე და გავიქცევი, დედა მეძახის.

— მოიშიე ახლოს, ისე მაგრად მინდა გაკოცო, ორ დღეს შაქარი მაღნებოდეს ტუჩებზე, — ეხვეშება ვაჟი.

...და პკოცნის... პკოცნის... დედა ეძახის გოგოს... ის გარბის, გარბის... და ხვალ საღამოს კიდევ შეხვდებიან აქ ან ჩინართან, წყაროსთვალთან რომ დგას და ნარნარად ირწევა. და მეორე საღამოს ისინი ჩინართან შე-

ჰვლნენ ერთმანეთს, გვერდიგვერდ დადგნენ. ერთმანეთის სუნთქვა ესტოცენი დათ, ერთმანეთის სითბოს გრძნობდნენ. ბოლოს ვაუმა თმებზე ჟემბლაფენი არ უთხრა:

— რა სურნელოვანი თმები გაქვს! რატომ მე არ მდის ასეთი სურნელი?!

— ღმერთმა გოგო და ბიჭი ამითაც გაარჩია, აბა ჩემი ბრალი ხომ არაა, — უთხრა გოგონამ. ვაუმა თითები თმებში შეუყო და თმები პირსახეზე გადაიფანტა. სუნთქვდა ღრმად, რომ თმის სურნელებით გამძლანიყო.

— სულო! — ნელად თქვა ვაუის სახელი გოგოში.

— რა იყო ხატიჯე! — უპასუხა ვაუმა.

— მომეხვიდე.

— გეხვევი... გკოცნი, შენც მომეხვიე; მაკოცე... ო, ჩვენია ეს ცა და ქვეყანა, ჩვენი!

* * *

— ეს რა ამბავია, რა დაგიწერია. ჩემი სახელი მოშალე, მოშალე ჩქარა! — აყვირდა დეიდა ხატიჯე.

— მაცალე დეიდა, მაცალე. მერე, მერე ამოვშლი შენს სახელს. სულიკოსაც მოვშლი. მაგრამ თქვენს ყმაწვილქაცობის სიყვარულს, რომელიც, ვიცი, ახლა შენს გულში კოცონად ანთია, პატივი არ დავდო, არ მოვიგონო, თქვენი გულის ამბები სხვას მივაწერო? ეს არ შეიძლება, არა. მომისმინე დეიდა ხატიჯე, მომისმინე. — ვაწყნარებ მე დეიდა ხატიჯეს. თუმცა მაინც და მაინც გულით, მრისხანედ კი არ მიწყრება, მაგრამ ქალს ხვაშიადთა გამზელა არ უყვარს, თითქოს ერცხვინება.

მე განვაგრძობ თხრობას.

ასე იზრდებოდნენ ისინი ერთმანეთის გვერდით და ვერ მიხვდნენ, რომ მათ გულს რაღაც უცნაური რამ შეეპარა და მოსვენებას არ აძლევდა.

ერთმანეთის ნახვა უხაროდათ. ერთმანეთს ეალერსებოდნენ თვალებით, ტუჩებით, ხელებით. ერთმანეთან ხშირ-ხშირად სტუმრობა უწლოდათ, მაგრამ მათი შეხვებრის ადგილი მხოლოდ სამი იყო: მუხა, ჩინარი და „საცურაო“ და ხვდებოდნენ კიდევ აქ... იზრდებოდნენ... და იზრდებოდა სიყვარულიც. მწიფდებოდნენ და მწიფდებოდა სიყვარულიც.

საცაა მამალი შემოაყივლებდათ — დროა, იქორწინეთო. უკვე მითქმა-მოთქმაც იყო. ჭერ გოგოს დედამ გაიგო, მერე მამამ, ვაუის მშობლებმაც შეიტყვეს. ვინ იცის როგორ დატრიალდებოდა მათი ბედი, გული უფანცქალებდათ... მაგრამ უცებ სოფელს წყალი შეუდგა. სოფელმა დენა იწყო... ხალხი მიდიოდა მუჰაჯირად... რატომ? რისთვის? ადამიანის სული რაღაც შიშმა შეიძყრო. ყველა რაღაც ფაცი-ფუცობდა. შიში, ჭორები, შიმშილი მჭრელი ცელივით ტრიალებდა ქალაქსა და სოფლად, კარდაკარ.



— დედა მშია. — ტიროდნენ ბავშვები.

— ვაიმე შვილებო, ვაიმე შვილებო, როგორ შიშილით მცენარების მიერთოდა.

— გოდებდა დედა.

ჰელენების მამა.

ჰელენების სოფელი.

ზოგმა რა თქვადა ზოგმა რა. ისიც თქვეს, აქაურობა დავტოვოთ თუ არა, სახრჩობელები არ აგცცდებათ. დატრიალდნენ ფაშების აგენტები, მოწამელეს ხალის სული — რუსები არაქრისტიანებს ყველას გაანადგურებენ, ჩამოახრჩობენ, დაპატიმრებენ, ციმბირში გადასახლებენ. ხოჭები გაიძახიან — ჩეკენ გვიშველის მხოლოდ სულთანი. თუ გინდა სიცოცხლე, აიკარი გუდანაბადი და გასწიე ტრაპიზონისკენ, სამსონისკენ, სტამბოლისკენ. მიაშურე სულთანს, ემთხვიე მის კვერთხს, რადგან ის არის შენი მშველელიო.

ჭორები... ჭორები... ჭორები წამლავენ ჰაერს, წყალს, ადამიანის სულს.

და მოსკდა მუჰაჯირთა ნაკადი.

მიღიან.. მიღიან.. მიღიან..

ვახ, ბედო ჩემი თანამემამულისა! ღიდი ილიას გულის შემძვრელი სიტყვები ახლაც ისმოდა ძალუმად და უკან დაბრუნდითო შთააგონებდა მამულიშვილთ. მაგრამ ვინც გზად ჩადგა, მას აღარაფერი ეტმოდა, მდინარესავით უკონიდ მიეღინებოდა.

ვინ სამსონში დაიღო ბინა.

ვინ ტრაპიზონში.

ვინ ბორჩხაში.

ვინ შავშეთში.

ვინ ტაო-კლარჯეთში.

ვინ იზმითში.

ვინ ბურსაში.

ვინ სტამბოლში.

ვინ კიდევ სად ვინ იცის.

მიღიოდნენ ზემო აჭარიდან.

მიღიოდნენ ქვემო აჭარიდან.

მიღიოდნენ ქობულეთიდან.

და წავიდა სულოს მამაც.

იმ დღეს თაფლისთვერთვალება ხატიჯემ ბევრი იტირა, რადგან მას შორდებოდა საყვარელი ვაჟი სულო.

— არა, არ მიტირია სულო, მე ვტიროდი, რადგან მეზობლები სამუდამოდ მშორდებოდნენ. ვტიროდი, რადგან ჩვენი სოფელი კინაღამ დაცარიელდა, — გულდათუთქულად თქვა დეიდა ხატიჯემ.

— მაცალე, დეიდა ხატიჯე, მაცალე. ეს შენ კი არა ხარ და ის — სუ-

ლო, შენი ქმარი. სულ სხვა გოგო და ბიჭია. თქვენი სახელები შეცარტები თორებ სხვა გოგო და ბიჭია, — ვარწმუნებდი დედა ხატიჯეს, ჰაგრაზ არა სჯეროდა მას. რატომღაც ერიდებოდა წარსულის გახსენება, თუმცა ეტყობოდა, თანაც სიმოვნებდა.

მე განვაგრძობ ამბავს.

ბევრი წავიდა ყურბეთს მუპაჭირად. აქ დარჩენ ხატიჯეს მშობლები, მაშასადამე აქ დარჩა თაფლისფერთვალება გოგონა.

წავიდა სულო და თან წაიღო დარღები. ეტირებოდა ყმაწვილს. ბოლმა ახრჩობდა. რა ადარდებდა? ის, რომ დაშორდა გულის ტოლს, დაშორდა საყვარელ თაფლისფერთვალება გოგონას. უშისოდ არ შემიძლია სიცოცლეო, ამბობდა გულში. ხატიჯეს გულიც ამსავე იმეორებდა.

სულომ წასკლის დღეს იტირა კიდეც, გუმანს მიუხვდა დედა, მაგრამ რას უშველიდა, მამამ გადაწყვიტა მუპაჭირად წასვლა და ვეღარავინ შთააგონებდა მამულში დარჩენას.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს მიჯნურნი...

— მიჯნური რას ჰქვია? — შემეცითხა ერთი.

— გავიჟებულს, შეყვარებულს ჰქვია.

— ან გავიჟებული დავარქვათ ან შეყვარებული.

— მიჯნური ჰქვია სულით და გულით შეყვარებულს, — ვეუბნები მე მას... და მერე განვაგრძობ..

რა მოუვიდა თაფლისფერთვალება გოგონას ან შავქოჩორა ბიჭს? — მკითხავთ მე ჩემთ ძვირფასებო. მომისმინეთ და ყველაფერს გაიგებთ...

მახსოვს ერთ დღეს აი, წაბლნარაში. რომ წიფელაა, იქ ისვენებდონ გლეხები.

სულო ბიძია სიცილ-სიცილით ჰყვებოდა ამბავს. აი. რა მოვისმინე სულოსაგან..

— ეჭ, ძნელია ძიავ მუპაჭირობა. მამაჩემს დიდი გაჭირვება ეცა ყელში. დედა კვნესოდა. შიმშილი გვახრჩობდა. ჩემი დაიკონა ლოგინად ჩავარდა და ერთ დღეს უბედურება დაგვატყდა თავს — ჩემი დაიკონი მიიცვალა“.

სულო ბიძიამ ორთავე თვალზე ცრემლი მოიწმინდა და მერე განაგრძო:

— ღმერთმა აღარც დედა შემარჩინა და აღარც მამა. ბოლოს მეზობლების ამარა დაგრჩი. მათაც გაჭირვებაში სული ხდებოდათ, ერთმა აღამ ამიყვანა მოჭამაგირედ. ამ აღას ჰქრიმ აღას ეძახდნენ და დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, კეთილი კაცი იყო. მას სამსონში მაღაზიები ჰქონდა და ქირას ბლომადაც ღებულობდა. ჰყავდა მხოლოდ ერთი გოგონა. დედა-მისმა ჩემზე დაიჭირა თვალი. გუმანი ქმარსაც გაუმხილა. ეს ცოლ-ქმარი კარგი თვალით მიყურებდა, შევუყვარდი, მეფერებოდნენ, მშობლებს ნუ იდარდებ, ჩვენ გაგიწევთ მაგიერობასო. უკვე მოწიფული ბიჭი ვიყავი და გული გოგოებისკენ მიწევდა, ერთ დღეს გოგოს დედა გამომიტყდა:

— შვილო, მე და ჩემს ქმარს ძალიან გვიყვარხარ. ხომ ხელავ რცხული წების პატრიონი ვართ და მხოლოდ ერთი შვილი გვყავს. ისიც გვიყვარხარ კარგი იქნება ოქვენ რომ ერთმანეთი შეიყვაროთ, დარჩები ჩვენთან და იცხოვრებ ისე, შენს შავბედსა და სევდას დაივიწყებ. ან და რა გინდა ბათუში. შენს ვათანში ვინდა იქნება, ყველა აქეთ წამოსულა მუჰაჯირად. შენიანებს აქ უფრო ბლომად ნახავ, ვიდრე შენს ვათანში, რომელიც შეიძლება ისე გავერანდა, კატაბალახმა დაფარა მისი მინდორ-ველი, ხოლო გორები — გაუვალმა ეკალ-ბარდებმა. ჰოდა, ახლა შენი ვათანი ესაა. მოდი, შეგრთავთ ჩემს გოგონს, ვერ ხედავ, რა ლამაზი გოგონა მყავს! ოქვენ შვილები და ჩვენ მშობლები. რას იტყვი?

— ნერიმე ხანუმ, ოქვენ ჭკუიანი და კეთილი ადამიანი ბრძანდებით. ოქვენი რჩევა ფადიშაჲსაც მოეწონება, მაგრამ ჩემი ვათანი, ჩემი მამულ-დედული ისე მაქვს გულში ჯავრად მოდებული და ისე მკორტნის გულს ეს ჯავრი, თუ ვერ ვნახე ჩემი ქვეყანა, მე ნამდვილად მოვკვდები. ამიტომ, არ შემიძლია არ წავიდე. ჩვენებურები უკვე ბრუნდებიან სამშობლოში, და მე მინდა მათ გავყვე, წავალ, ვინახულებ ჩემს ქვეყანას, ნატვრის ავის-რულებ და ისევ დავბრუნდები კეთილო ადამიანო. — ეს ვუთხარი და თვალზე ცრემლი მომერია — ეს, რომ შემნიშნა, ატირდა ნერიმე ხანუმი და გულში ჩამიკრა:

— ნუ სტირი შვილო, ნუ სტირი. განა შენი დაძაბუნება და სიკვდილი გვინდა. ამდენი ჯავრი ხომ მოკლავს ადამიანს. როგორც გენებოს შვილო. წადი, ინახულე შენი ქვეყანა, და თუ გულმა აქეთ გამოგწიოს, წამოდი ჩვენთან. ჩვენ სამ წელიწადს მოგიცდით და ჩვენს ქალიშვილს არავის მივათხოვებთ.

მეხვეოდა და მეალერსებოდა ნერიმე ხანუმი. ჩემს თვალზე ცრემლს რომ ხედავდა ისიც სლუკუნებდა...

ჩემი წიფლები მენატრებოდა.

ჩემი ცივი წყაროები მენატრებოდა.

ჩემი მეზობლები მენატრებოდა.

ჩემი მდინარე მენატრებოდა.

ჩემი ხატიჯეს თაფლისფერი თვალები მენატრებოდა.. და იქ რაღა გამაჩურებდა.

ერთ დღეს მე ჩემს იმ მეზობლებს გამოვყევი, რომლებმაც გზა სამშობლოსაკენ დაიდეს. რა ვიცოდით, რომ მალე ომი დაიწყებოდა. ბევრი ისევ მუჰაჯირად ატყდებოდა და სამუდამოდ დატოვებდა თავის მამულ-დედულს, თავის ქვეყანას...

ჩამოვედი აქ და რას ნახავ... თურმე ხატიჯეს ათხოვებენ. შუაში ჩავიყენე ერთი კაი ქალი და ჩუმად შეგხედი ხატიჯეს.

— ეიდა, მღალატობ გოგოვ? — გაბრაზებული ხმით ვკითხე.



— მე არ გდალატობ მარა... შენ კი მიღალატე და წალი.

— ვინ თქვა გილალატეო, მე შენმა თაფლისფერშა თვალებმა უკარისი უკანა და ან წაგიყვან, ან შენს თვალებში დავიმარხები. შენს იქით გზა არა მაქვს. ან სიკვდილი ან სიცოცხლე. უარს იტყვი, თოფი გავარდება.

— მერე იმ კაცის თოფი არ ვარდება თუ რა!

— ჩემი თოფი სხვაა, მას ბაბუაჩემის მაჭახელა ჰქვია და უზარმაზარ წიფელას შუაზე ხვრეტავს.

— მე რა ვჭნა, ქალი ვარ და ძალა არ შემწევს.

— ის ხომ მაინც შეგიძლია, ღამით გამოეპარო მშობლებს და ერთმანეთს შევხვდეთ „ჯამბაზის ხესთან“. მე იქ ჩემი ამხანაგებით დაგზვდები და მოვიტაცებ.

კარგიო, მითხრა. თავის დროზეც მოვიდა. ჩვენ სამნი დაგხვდით. მერე ტყეს შევაფარეთ თავი. სამ წელიწადს ბიძასთან ვიმალებოდით ცხმორის-ში, მერე შუაკაცები ჩავაყენეთ და შემირიგდა სიმამრი. აბა, რა უნდა ექნა, უკვე ბალანაც გვყავდა და ხატიჯე აკვანს უჯდა“.

ეს უაბბო მეზობლებს სულო ბიძიამ და მე თითო-თითოდ ავკრიფე. ავკრიფე და ახლა ეს მარგალიტები ძაფზე ავასხი.

ჰა, ეს მარგალიტები შენთვის მომირთმევია ძვირფასო დეიდა ხატიჯე, ეს შენი ამბავია!

„სიყვარულო ქალსა შენსა...“

ეს პატარ-პატარა ამბები რომ ხდებოდა, მაშინ დეიდა ხატიჯე ახალ-გაზრდა დედა იყო. სოფელში ახლად დაბაბიჯებდა ის, რასაც „სიახლეებს“ ეძახიან, და რომ აღამიანებს ახალი ქრუანტელი უვლიდა. ბევრი ვერ ხვდებოდა რა იყო ეს, ხვალ რას მოუტანდა სოფელს, რა ბედი ელოდა კაცს. მაგრამ საბეღნიეროდ დეიდა ხატიჯე გონებანათელი ქალი იყო და ყველაფერს ფხიზლად და ფრთხილად ეკიდებოდა.. თავი ისე მოქონდა, თითქოს და არაფერია, ასე უნდა იყოს, ასეა საჭირო, სოფელს ასე სჭირდებათ.

დეიდა ხატიჯე ნელა, აუჩქარებლად, დინჯად კვალდაკვალ მიჰყვებოდა ახალი ცხოვრების ანგელოზს.

ჩვენც მას მივყვეთ კვალდაკვალ.

* * *

დეიდა ხატიჯე მეღრესეს რომ მიუახლოვდა, ერთი აურჩაური მოესმა, „რა ამბავია, ვინ ბლავის?! ნუთუ კუზიანი ხოჭა გაგიყდა და ბავშვებს ჯო-ხით დაერია?!“ ჯერ კიდევ ასწავლიდნენ ისლამურ მოძღვრებებს, ლოცვებს... და ამის მესვეური ხოჭა გახლდათ. მერე აქ ოთხლასიანი სკოლა

გახსნეს.. ეს მერე.. ამჟამად ეს ამბავი რომ ხდებოდა, ხოგა შეუფებლები და მას უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემდა.

დეიდა ხატიჯემ ფეხს აუჩქარა, იმ ბილიკს დაადგა ზედ მედრესესთან რომ მიიყვანდა. ამ დროს კივილით უცებ გამოვარდა მაყვალა, მას გამოჰყვა ხოგა ჯოხით ხელში... ეს იყო ნორჩი თხილის წნელი, გრძელი, რომ თავისი საჯდომიდან ყველას მისწვდებოდა ხოგა.

კუზიანი ხოგა სცემს და სცემს მაყვალას, გოგონა კი კივის და კივის, დეიდა ხატიჯემ შეუტია, რას შვრები, ბავშვი არ მოჰკლა, მერე მის პატ-რონს რას ეტყვიო, მაგრამ ხოგას არაფერი ესმოდა, სცემდა და სცემდა მაყვალას, გოგონა კი ჰქიოდა და ჰქიოდა. ის იყო გოგონა სიმწრისაგან ჩაიკეცა, რომ დეიდა ხატიჯეს სარი ზურგში მოხვდა ხოგას. ხოგა დაბარ-ბაცდა და მოულოდნელად დეიდა ხატიჯეს მოუქნია ჭოხი და სახეში სთხლიშა. ქალს ცხვირიდან სისხლი წასკდა.. და მაშინ საბრალო ქალმა, რომელსაც სიმწრისაგან თვალთაგან ნაპერშექლები დასცვივდა და კინაღამ თვალთ დაუბნელდა, უკანასკნელად მოიკრიბა ღონე და ერთი მაგრად სთხლიშა სახეში სარი... და ხოგა იქვე განერთხო. ჩამდენიმე წუთს არ გა-ნძრეულა, გონს ვერ მოეგო... და ამ დროს საიდანღაც სულდალოცვილი სულო ბიძიაც გამოჩნდა. მივარდა მათთან, მეულლეს ხელი სტაცა, გაფი-თრებული რომ ნახა შეშინდა და ხოგას შეუყვირა: — ქალის გალავისათ-ვის სამართალში მიგცემ, ახლა კი მიიღე ჩემგანაცო — და ერთი ისეთი სილა გააწნა, რომ ხოგას რა მოხდა მეტი აღარ ახსოვს. როცა მოსულიერ-და, იქ არავინ იყო, არც დეიდა ხატიჯე, არც სულო ბიძია, არც მაყვალა და არც ბავშვები — სისხლში მოთხვრილი ხოგა ალქსლასდა და ცხვირსახო-ცით სისხლი მოიხოცა. მაგრად სტკიოდა ცხვირი. ოჯახაშენებულ დეიდა ხატიჯეს სარის „ნაკვალევი“ იყო თუ სულო ბიძიას ხელის მტევნისა? ვე-რაფერს მიხვდა. ძლიერ ალასლასდა ქამეში, სარე მონახა და შეამოწმა თვავისი თავი. მეტისმეტად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. ხოგა რომ გალახეს, ასეთი რამ მას არასოდეს გაუგონია. „დღესვე გავასაჩივრებ, დღესვე და მაგ მუდრებ ქალს ციხეში ჩავსვამ“, ამბობდა გაბრაზებით და გულზე ხელს იბაგუნებდა. სულო ბიძია მას თურმე სრულებით არ შეუმ-ჩნევია, თვალებზე ნისლი ჰქინია გადაფარებული.

იმუქრებოდა კუზიანი. აბა, ერთი მოესმინა მაყვალას პატრონისათვის რას ამბობდა: მოვკლავ, ცოცხალს არ გავუშვებ მაგ კუზიან ხოგას. კუზს გაუსწორებო. ვიღაცამ კი შენიშნა — კუზს თუ გაუსწორებ, ოქროს მოგცემსო და თვითონვე იცინოდა. მაგრამ მაყვალას მამას გულს არ ეკარებოდა ეს ხუმრობა. თოფს დაავლო ხელი და ხოგას მოსაკლავად მიდიოდა. მეტისმეტად გული გახურებოდა და გონებაც აღარ ემორჩილებოდა. აკი დიდი შოთა ამბობს: გული და გონება ერთმანეთზე ჰქილიან. ცოლი აკავებდა, შვილიც აკავებდა, მართლაც არ მოჰკლასო. გაგიჟდა კაცი და ის არის. მაცნე ჩუმად ხოგასთან აფრინეს, უთხარი საქმე ასეა.

მაყვალას მამა თოფით მოდის, უცილოდ მოგკლავს და ახლავე შექედან
აიბარგეო. როცა მაცნემ ეს შეატყობინა ხოჯას, უმალვე მოცოცხა და
საღლაც მიიმალა.

რა მოხდა, რატომ სცემდათ მაყვალას ხოჯა-ეფენდი, კითხულობდნენ
ცნობისმოყვარენი, მაყვალას თურმე გავვეთილი არ სცოდნოდა.

— რატომ არ ისწავლე, — უჩხავლა ხოჯამ.

— თავი მტკიოდა, — უპასუხა მაყვალამ.

— რა აღვილას გტკიოდა? — ეკითხება ხოჯა.

— ამ აღვილას, — უჩვენა თითით მაყვალამ.

„და ხოჯამ ჯოხი იმ აღვილას ზედიზედ სამჯერ უთაქა. შეშინებული
და ტკივილისაგან გმწარებული მაყვალა შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ
ხოჯამ იგი დააკავა და ახლა წიხლებით დაუწყო ცემა. შენ პატივს არ სცემ
ალასს და მიტომ არ სწავლობ. ალბათ ქრისტიანული სწავლა გირჩევნიაო.

შეშინდნენ ბავშვები და აზუზუნდნენ... წამოცვივლნენ, აგუგუნდნენ...
ერთი ხოჯასთან მივარდა და შეევედრა, ნუ სცემო. ახლა მას მიუბრუნდა
ნერვებაშლილი ხოჯა... და მაყვალამ მაშინ იხელთა დრო და გარეთ გამო-
ვარდა. მაგრამ ხოჯა წამოწუა.. და ის მოხდა, რისი მოწამეც სულო ბიძია
გახდა. „ღმერთმა შენი ჩელები დაგილოცოს სულო ბიძია!“ ამბობდა ქაზიმ
მეჩინგურე და თან იცინოდა. რა კარგად მოქცეულა ხატიჯე ხანუმი! მე მას
ლექსი გამოვუთქვიო და მღეროდა მეჩინგურე:

საყვარელი ქალია ხატიჯე-ხანუმი,

კუზიან ხოჯას კუზი გაუსწორა. ,

საყვარელი ქალია ხატიჯე-ხანუმი,

ხოჯას — ცოდვა და მადლი აუწონა.

ღმერთმანი, საყვარელი ქალია ხატიჯე-ხანუმი.

მღეროდა მეჩინგურე ქაზიმი და თან მაგრად ჩამოჰკრავდა სიმებს:
თრინგ, თრანგ, თრინგ, თრინგ!

მის შემდეგ კუზიანი ხოჯა სოფელში აღარ უნახავთ, საღლაც გადაი-
კარგა...

* * *

ამ აშბავმა უფრო დააახლოვა სულო ბიძიას და მაყვალას ოჯახი. მაყ-
ვალას შშობლებს ძალიან მოსწონდათ დეიდა ხატიჯეს რამაზი — შავ-
თვალწარბა, ტანწერწეტა ყმაწვილი და გულში ჩამოვრების
ფიქრი. ჯერ ერთმანეთს შორის სახლში ითქვა: „რა კარგი იქნებაო, რომ
მაყვალას შეერთავდეთ რამაზსონ“. მერე ხმამაღლაც ითქვა. მე გეტყვი და
მაყვალა ცუდი გოგო იყო თუ. ესეც ტანწერწეტა, როგორც იტყვიან, ლე-
რწამივით აშოლტილი გოგო იყო და როცა მიდიოდა, ისე ქრისტულებოდა,
როგორც ნელ ქარში ლერწამი ან ჩინარი. ასეთ გოგოზე ხელმწიფის შვი-



ლიც არ იტყვის უახსო, ამბობდნენ.. და რატომ იტყოდნენ უახსო მშობლები. სოფელში იციან ქსეთი ამბავი ორგორ გაავრცელონ, ვინდ როგორ მიიტანონ ვაჟის მშობლების ყურამდე.. და ერთი ქალის მეშვეობით ამ ამბავმა გაანათა დეიდა ხატიჯეს გულშიც, სულო ბიძიამ თქვა, ავრ არ გვეთქმის, მაგრამ ჯერ ბავშვებია და ნუ ვიჩქარებთო. წინასწარ დანიშვნამდეც მივიდა საქმე, მაგრამ სულო ბიძიამ ძალიან წინდახედულობა გამოიჩინა — ჩემი ვაჟი ქალაქში მიღის სასწავლებელში, და ხომ შეიძლება იქ ვინმე შეუყვარდეს? მერე მე რა ვქნა, როგორ მოვუშალო თვითონ რომ არ მოიშალოს? ამიტომ, ცოტა ვაცალოთ ყმაშვილებს, თვითონ შეიყვარონ ერთმანეთით.

სულო ბიძიას ეს ნათქვამი გონიერ სიტყვად ჩათვალეს მაყვალის მშობლებმა. იმ დღიდან კი ცდილობდნენ როგორმე შეხვედროდა გოგო და ბიჭი ერთმანეთს. მერე და ისეთი კაბები შეუკერეს (თუმცა ყველა ჩითისა, რადგან „ხელის ჭუჭყის“ შოვნა უჭირდათ), რომ ზოგიერთი მისატოლი გოგონა ამბობდა: — რა არის ეს, ვის ეპრანჭება! გაგიგონია, გოგო ასე იქცეოდეს!

დიახაც, რომ მაყვალა ეპრანჭებოდა ერთ ვინმეს. ეს იყო რამაზი. არც ბიჭი იყო უგულო. მასაც მოსწონდა გოგონა. რამაზიც „ეპრანჭებოდა“. ერთმანეთისაკენ თვალი მიუდიოდათ. ამას ამჩნევდნენ მშობლები — ერთნიც და მეორენიც, და უხაროდათ. ნეტავ, ეს გატაცება იყო თუ სიყვარული? ამას გვეტყვის გული გოგონასი, ამას გვეტყვის გული ვაჟისა. მათი გულები კი ერთს გვეუბნებიან: ჩვენ ერთმანეთთან ახლო გვინდა, ჩვენ ერთმანეთის სითბო გვინდა.. ვინ იცის რა ძალისაა ეს ლტოლვა! ვინ იცის გულს რა ძალა შეცვლის, გულს ყმაშვილთა!

...და იმ დღეებში სოფლად მოვიდა ექიმი. ეს იყო პირველი ექიმი. ზას ბინა მიუჩინეს სასოფლო საბჭოსთან, მობინაღის ოჯახში, ამ ადგილს „დუქნებს“ ეძახოდნენ. აქ იყო კერძო დუქნები, მერე გაბატონდა კი კო-ობერატივი და მან ფართოდ გაშალა მხერები და „დუქნები“ თანდათან გადნენ; იმ ადგილს კი სახელი იგივე შერჩა — „დუქნები“, ამიტომ ამ ადგილს ჩვენ მოვიხსენებთ ძველი სახელწოდებით — „დუქნები“.

ექიმს კატია ერქვა. საკმაოდ ახალგაზრდა ქალი უქმარო იყო, სულ მცინარ-მცინარა. თითქოს ყველაფერს გებულობდა ქართულად. მიგიხვდებოდა კი.. მას მოპყვა ასული — მურა. ეს ზღვისფერთვალება გოგონა, მაღალი, თეთრ სახოვანი, ხმელ-ხმელი. ისიც მცინარ-მცინარა. ქართული ენის შესწავლა უნდოდა. ცდილობდა ელაპარაკა ადგილობრივ მკვიდრებთან და ენა გაემართა. გოგონა ნიჭიერი ჩანდა, ბლოკნოტში იწერდა სიტყვებს ქართულად და რუსულად. „დუქნების“ ბინადარი ყარამანი რუსეთში ნავალი კაცი იყო და რუსულად არა უჭირს ლაპარაკობდა. რუსეთში რუსი ქალი ითხოვა და ჩამოიყვანა, ახლა ცოლი — ტონია არა უჭირს ლაპარა-

კობს ქართულად, პოდა, ყარაშინის დახმარებით იწერდა მურა ჭილაძე სიტყვებს რუსული თარგმანებით.

ერთ დღეს დეიდა ხატიჯე უცებ აფად გახდა. რაღაც მუცლის გვრემა დაემართა. ლოგინად ჩავარდა. ეს უხმო ქალი სტიროდა და კვნესოდა. საჩაროდ ამოიყვანეს ექიმი კატია, რომელსაც თან მოჰყვა მურა. მურა პირველად ნახა რამაზმა და ისე მოხვდა გულში მისი თვალთა ისარი, რომ ჭრილობად ექცა. მერე ეს ჭრილობა არ განკურნებია, უფრო და უფრო გალრმავდა. ეს არ გამოპარვია მაყვალის თვალს. როცა მარტოდ რჩებოდა შინ ჩაიკეტავდა ოთახის კარებს და სტიროდა მაყვალა, სლუკუნებდა.

რა ექნა გაუს — გული რუსი გოგონასაკენ ელტვოდა და ისე ძალუმად, რომ ბარბაცებდა, თავის შეკავება აღარ შეეძლო. რა ქნას ბიჭმა? გული მას ხომ არ ემორჩილება! მას ძალა არ შესწევს შეაჩეროს გული. თითქოს ებრალებოდა კიდეც მაყვალა. მაგრამ რა ქნას რამაზმა; მას ხომ ერთხელაც არ უთქვამს — მიყვარხარ, ცოლად უნდა შევირთოო, ყველაფერი მშობლების ბრალია. მათ წამოტეხეს ეს ამბავი... და რამაზიც თითქოს მშობელთა ნებას დაჲყვა, მაგრამ მამამ ხომ თქვა — ჯერ ყმაწვილებია, რა დროს ეს არისო. რამაზი ქალაქში მიდის სასწავლებელში და იქნებ იქ ვინმე შეუყვარდეს, მაშინ რა ვქნათო, ჩვენ ხომ ვერ ვუბრძანებთ მის გულს — არ შეიყვარო სხვაო. ასე ფიქრობდა რამაზი... და მურას ხატებას რომ გაიხსენებდა, გააქრუოლებდა, მისი ნახვა უნდოდა, გულთან გულის, ტუჩთან ტუჩის მიტანა უნდოდა...

რამაზს მიუხვდნენ მშობლები... და რომ რუსი გოგონა გადაევიწყებინათ, სასწრაფოდ ქალაქში პანსიონატში მოაწყვეს... სახლში ყოველ კვირას ამოდიოდა. ყოველდღე იზრდებოდა და ვაკეაცლებოდა რამაზი... ყოველდღიურად მისი გულიც რეკავდა ზარივით. ეს მურას სახელი რეკავდა გულში და ებახდა მას — ამოდი, ამოდი ჩემთანო. აბა, ქალაქში რაღა გააჩერებდა ბიჭს. ისიც ყოველ დასვენების დღეს ამოდიოდა სახლში. პირველად ხომ „დუქნებთან“ უნდა გამოევლო. იქვე ცხოვრობდა ექიმი. მურა მუდაშ აივანზე იჯდა. რატომლაც გოგო ამ ყმაწვილს ღიმილით, თბილად ხვდებოდა. იქნებ მასაც მოსწონდა ვაჟი. მაგრამ გოგო არ იმჩნევდა არაფერს. რამაზი კი თავს ვერ იკავებდა. „ამ ბიჭს ჩემი გოგო მოსწონს, იქნებ უყვარს კიდეც“ გაივლო ერთხელ გულში კატიამ, ექიმი ალერსით ხვდებოდა რამაზს, ეპატიუებოდა სახლში, უნდოდა მისი გულის კარგად ამოკითხვა. კატიას გულთბილობა კი ბანგივით შოქმედებდა ვაჟზე. განა იცოდა ეს კატია! რომ სცოდნოდა, იქნებ უფრო სხვაგარად დაიჭირდა თავს, მაგრამ ბუნებით ტკბილი ქალი იყო და მას არ ეხერხებოდა გულცივობა და სიმკაცრე. კატიას ამ ღვთიურმა აღამიანურმა თვისებამ კი ვაჟს გზა გაუხსნა ქალის გულისაკენ, გოგონას გულიც ხომ რაღაც სიაშით აძგერდა თანდათან.

ასე მიღიოდნენ დღეები... ასე გავიდა ერთი წელი... და ერთ დღეს უკანასკნენ მურამ ბარათი მიართვა. გახსნა — ქართულად ძიუდის ტერიტორია და გაუჭირდა წყიოთხვა. დედას არ დაუმალა — რამაზის ბარათია, მაგრამ რას მშერს, ვერ ამოვიკითხეო. დედამ ჩუმად ყარამანს უხმო და თხოვა — ეს ბარათი წყიოთხვეო.

აი, რას სურდა რამაზი გოგონას:

„— ჩემო ზღვისფერთვალება, ჩემო სიცოცხლე, მურა!

რომ იცოდე როგორ მიყვარხარ, შეგვიცოდები. დღე მზეს ვერ ვენახვები და ლამით მთვარეს, სულ შენი სურათი მიდგას თვალშინ. შენი ნაწნავების სურნელით ერთხელ რომ დავთვერი, ახლაც ვბარბაცებ. გულიდან ვერ ამოგილე, რა ვენა, რა ვიღონო არ ვიცი, შენ იქნებ არც კი შემიყვარებ, რაღან მე რუსი არა ვარ. მე რომ ასე უკულმართად მეფიქრა, არც მე შეგიყვარებდი. მაგრამ სიყვარულმა ეს რა იცის, მისთვის სულ ერთია ქართველი და რუსი, შენ ქრისტიანი ხარ, მე კი მუსლიმანი. მაგრამ სიყვარულისთვის ერთია ქრისტიანიც და მუსლიმანიც. მე მიყვარხარ... და არ ვფიქრობ იმაზე ვინ ხარ შენ. შენც თუ გიყვარვარ ნურც შენ იჯიქრებ ამაზე. შენ დედა გყავს ექიმი, ჩემმა დედამ წერა-კითხვა არ იცის. რა ვუყოთ, ასეთი ბედი არგუნა ცხოვრებამ. შენ ნასწარლი ხარ... მე კი ახლა დავიწყე სწავლა, მაგრამ გვეროდეს, მეც ვიქნები ისეთი, რომ დედაშენმა შემიყვაროს. ახლა მე რაც ვარ, ხვალ ის არ ვიქნები; დღეს ჩაქურა მაცვია, ხვალ კარგ კოსტუმს ჩავიცამ და ჰალსტუქს გავიკეთებ. აქ უკვე თანდათან თვალი ამხეილა და ბევრი რამ ახალი და ახალი გავიგონე. თუ კი შენი გული შემიყვარებს, მე ბეღნიერი ვიქნები და შენც. ჩვენში ღმერთის დალოცვილი სიყვარული იციან... და ასეთი სიყვარულით მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ ჩემო მურიკო! შენ რას მეტყვი ჩემო ძვირფასო?!"

— ბედნი მალჩი! — თქვა კატიამ და თვალებზე მოწოლილი ცრემლი მოიხოცა, როცა ყარამანმა მას უთარგვნა.

— ასე მაგრად თუ უყვარს, ძნელი საქმეა ქალბატონო, — თქვა ყარამანმა. მურა სდუმდა და უფროსებს უსმენდა.

— მერე მე რა ვქნა. მე ჩემი გოგონა მოსკოვში მინდა გავათხოვო, იქ ხელი მთხოვა ერთმა ოფიცერმა და უარი არ მითქვამს, ვნახოთ-მეთქივუთხარი. — თქვა კატიამ.

— ქალბატონო, ჩანს, რომ თქვენ არ იცნობთ აჭარლებს, ისანი ძალით მოგზაურებენ გოგონას. — თქვა ყარამანმა და კატიას შეაცქერდა, აბა, რას იტყვისო.

— ძალით, ეს როგორ შეიძლება, ველურები ხომ არ არიან. რაზვე ზღეს დიკი ნაროდ?! — გაცხარდა ეს ცხვარივით წყნარი ქალი. მერე დაუმატა: — ერთი ეს მითხარი ჩემო ყარამან, აჭარლები რუსს, ისიც ქრისტიან გოგონს, რძლად წაიყვანენ? — ჰკითხა კატიამ ყარამანს.

— როგორ არა ქალბატონი. აკი ვაჟი სწერს, სულ ერთიან, ხულიანის ხელს ვერ შეგვიშლისო, მაგრამ აქ ერთი რამ მაფიქრებს — თქვენ ყარამიანია და ჩაფიქრდა. „ვუთხრა თუ არა, რომ ვაჟს მაყვალა ეძლეოდა. მშობლებს შორის დიდი ხანია რაც ლაპარაკია ამაზე, პოდა, ახლა როგორ გინდა შენ ამ საქმეს თავი მოაბა გინდ ასე გინდ ისე!“

ქალი დაუინებით ეკითხებოდა რატომ თქვი „ერთი რამე მაფიქრებსო“.

— არაფერი ქალბატონი, არაფერი. — უთხრა ყარამანმა და ჩიბუხი გააბოლა.

* * *

ამაზე თანდათან ისე შეისწავლა რუსული, რომ უკვე მურას რუსულად სწერდა წერილებს. გოგონა დედას უკითხავდა: „უთხარი თქვენს ძვირფესს დედას, შეგვიბრალოს ჩვენ შეყვარებული და არ დაგვაშოროს“. ეს რომ წაიკითხა კატიამ იტირა.

მურასაც ეცრემლებოდა თვალები.

რას ნიშნავდა ეს? სიყვარულს თუ თანაგრძნობას? იქნებ ორთავეს...

საზაფხულო არდადეგებზე არამაზი შინ რომ ამოვიდა, სულ „დუშნებზე“ დადიოდა, ცდილობდა როგორმე შეხვედროდა გოგონას.

ერთხელ აი, ამ ტირიფთან შეხვდნენ ერთმანეთს და ასეთი საუბარი ჰქონდათ.

— მე როგორ მიყვარხარ, იცი მურა?

— არა.

— ჩემს თავს მირჩევნიხარ.

— კარგია. გმადლობთ.

— მადლობა არ კმარა.

— აბა რა ვქნა?

— უნდა წამომყვე ცოლად.

— შენიანები არ მიმიღებენ, შენ ხომ მუსლიმანი ხარ, მე კი ქრისტიანი.

— გზას ვერავინ გადამიჭრის. გული ისე მწარედ მეძახის შენსკენ, რომ ვერც დედას დავუჭერებ და ვერც მამას, ვერც რჯულს. უნდა აღსრულდეს ჩემი გულის ნება. — ეს ისე თქვა. არამაზია, გოგომაც კი იგრძნო მისი გულის ძერა. და რაღაც იდუმალი ხმაც ჩაესმა: „ყმაწვილნო, გიყვარდეთ ერთმანეთი!“

— ეს აღვილი როდია. თქვენ თქვენი ადათ-წესები გქონიათ და ადვილი არაა გადაახტე მათ.

— გადავახტები, გავგლევ იმ ბადეს, რომელიც წინ გადამეღობება.

— ვნახოთ... მოიცა... ნუ ჩეარობ...

— გული არ იცდის, სული არ იცდის...

— გერ ისწავლე ჩემო კარგო და გნახოთ.
 — გულს ნუ მომიკლავ მურა, გულს, თორემ...
 — თორემ რა?
 — მოგიტაცებ... მოგელავ...

— ხა, ხა, ხა... — გაიცინა მურამ და ხელი მოხვია ვაჟს. ვაჟი უნებუ-
 რად მიეკრა გოგონას... და აკოცა. ისე ტკბილი იყო კოცნა და ქალის თმე-
 ბზე ხელის შეხება, რომ ვაჟი თრთოდა და ნერვებს ვერ იშენარებდა.

ასე იყვნენ დიდხანს...

მზე ჩადიოდა და მურას ლედა უძახოდა შინ.

დიდევ აკოცა ვაჟმა...

და გაიყარა მათი გზები...

* * *

ასე გავიდა ერთი... ორი წელი...
 ყველამ გაიგო, რომ რამაზს მურა უყვარდა.
 სოფელი ალაპარაკდა.
 შაყვალა ატირდა.

დეიდა ხატიჯე გახავრდა — როგორ თუ მაყვალას ღალატობს და
 ვიღაც რუსი უნდა შემოიყვანოს სახლშიო. სასტიკი წინააღმდეგი იყო
 მურას რძლად მოყვანისა. ორი დიდი მიზეზი მაქვს, ამბობდა ის: ვერ
 ერთი, რამაზი მაყვალაზე დანიშნულია. სიტყვა დაგვითქვამს და ვერ გავ-
 ტეხ. მეორეც, მე რუსული არ ვიცი და რუს რძალს რას გავუგებო. რომ
 უთხრეს, მურა ნიჭიერი გოგონაა და ქართულს მალე ისწავლისო, მანიც
 ქვა ააგდო ზევით და თავი შეუშვირა: — სანამ ცოცხალი ვარ, მურას
 ჩემს სახლში ვერ შემოვუშვებ, ჩენ სხვა რჯულის ვართ ის კი სხვა რჯუ-
 ლისაო. მერე რამაზმა დაუყვავა დედას:

— დედი, მიყვარს და რა ვქნა.
 — უნდა დაივიწყო. მაყვალს ხათრისათვის უნდა დაივიწყო.
 — ან შევირთავ მურას ან და არავის, მაყვალა არ მიყვარს.
 — არ თქვა შვილო ასეთი სიტყვა, არ თქვა. გული არ მომიკლა.
 — თავს მოვიკლავ...
 — ნუ იტყვი მაგას შვილო. — გულზე მოხვდა დედას ეს სიტყვები.
 დეიდა ხატიჯე თავისას ამბობდა, შვილი კი თავისას.
 ვერ გაუგო დედამ შვილს, შვილმა დედას... და გულმოკლულად, და-
 შორდნენ ერთმანეთს.

* * *

ნეტავ ვინ იყო, რომ მუქარის წერილებს უგზავნიდა კატიას? შენ
 შვილს მოგრილავ თუ აქედან არ გააქრეო.

ნეტავ ვინ იყო, ღამით კატიას კარები კინაღამ შეამტვრია?

ნეტავ ვინ იყო, აივანზე კატა შემოაგდო და ისეთი ბრაგვანი გაადინა, რომ... ყველას გაეღვიძა. რა უნდა ექნათ, ეს ქვრივის ოჯახი იყო, მამაკაცი ამ ოჯახში არ იყო და ორგულნი იმიტომ გაუთამამდნენ...

კატიამ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს განუცხადა — აქ აღარ და-გვედგომებაო.

მილიკიასაც აცნობდა.

მაგრამ ყოველღამე ხომ ვერ დაუდგებოდნენ გუშაგად სახლს. ამი-ტომ კატიას ურჩიეს გოგონა გაეხიზნა რუსეთში მშობლებთან... და ერთ დღეს მურა სოფლიდან გაპერა...

ეს რომ გაყვო რამაზმა, კინაღმე სოფელი დააკცია... მაგრამ რას იღონებდა... კატია მას ამშვიდებდა, ისევ ჩამოვიყვან, ბიძამისმა წაიყვანაო, მაგრამ მისამართი არ მისცა. კატიამ ზაფხულში შვებულება რომ აიღო, უზუმრად წავიდა... წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ყველაფერი ეს ტრა-გედია იყო რამაზისათვის, განუკურნელი ტრაგედია. „ახ, სიყვარულის ისარი ვის არ მოხვედრია გულზე, მაგრამ მერე გვავიშვდება... გვავიშვდება ხანდაზმულთ და ახალგაზრდების სიყვარულს აინუნშიაც არ ვაგდებთ. აბა, ჰკითხეთ რამაზის გულს! იშვის, იღაგება, ეძებს გზას, გაბრუებულია, გონებაც და გულიც სადღაც მიუდის.

საღ? საღ? საღ?“ — ბუზლუნებდა ყარამანი.

„და ერთ დღეს რამაზი სადღაც გადაიკარგა.

ვერავინ მიაკვლია მის კვალს...

ჰგოდებდა დედა.

ჰგოდებდა მამა.

ჰგოდებდა გულ...

ნანობდა დეიდა ხატივე.

ნანობდა სულო ბიძია.

ნანობდა გულ...

რატომ გავუბზარეთ გული ყმაშვილს, მოეყვანაო ცოლად მურა.

„— ახ, სიყვარულო ძალას შენსა რა არ ძალუქს“, — იმეორებდა ყარამანი და სინანულით გულზე ხელს იბაგუნებდა, რა ბიჭი დაგვარგეთო.

(გაგრძელება იქნება)

Ըստի ազգություն ծեցրու, პոյտու — օ՛վասու. յև պատճառ քուուտ.

Ցուլուացնելու Տօնարուսու ցամակա Վահակա Վազրուկյուլու ցոշոնա Շոշունա Տա-
շուշունու Տորուելու ամերուկյունա հայուլու.

Իւբու Տօնարուսու դա հիմենա ամ համարունու Ըստի դա, Ցուտեցելու-
մաց ցամարուն.

Տեղաղանձնա Պոյտս յու ցչա Ժավուլուուտ դա Վասուրուուտ նըոնա դա
միշու ցացումահուլու!

Ցուլուացն Տալաչու.

* * *

Ալլուծլու հիմունք Շեմոչճա հիմու,
Ըստուլու մոխիճա ատասու Վայու,
Ըստուլու մոխու դա Վայու մոխու,
Եյ հաս միանրու ներացու ծեզու?

Նուացու Յուրու, Պոյտլու տրուան
դա յահու յուրու Պոյտու Պոյտու,
Եյ հացու հեմնեյ հոշոր օթպարան
հիմու Ակովրու մոխու Ըստու?

Ալլուատ յև Վայու Վայու Վայու Վայու
հիմու Ըստի մոխու մահու լանջան,
Եյ հացու Վոննեյ տու ցամակա Վայու
մե Պոյտու հոշոր մոխու Վայու?

ნ ე ტ ა ვ ი !

ნეტავი შენი გული მაჩვენა,
 მაგ ღიმილივით წმინდა, ხალასი. —
 ნეტავი შენი გული მაჩვენა,
 მერე მაცხოვრა ამ ქვეყანაზე.

ნეტავი შენი ფიქრი მაჩვენა,
 რით გავახარე და რით მემდურის.
 ნეტავი შენი ცოლი მაჩვენა,
 ბედნიერია თუ უბედური.

ნეტავი შენი შვილი მაჩვენა.
 რომ გყვარებია სულით ძლიერით,
 ნეტავი შენი შვილი მაჩვენა,
 ოლნავ თუ დაპკრაგს მამის იერი...

ნეტავი ტრფობის ღმერთი მაჩვენა,
 გავუზიარო დარღი გულისა.
 ნეტავი ვინმე მომხრე მაჩვენა,
 ჩემი უღმერთო სიყვარულისა.

პ პ რ ი ლ ი ს ო ც ი ბ ...

ქარმა ყვავილები დანაღმა,
 და მწვანე მინდორზე დაყარა.
 ხედავ?! იმ ბილიკის გადაღმა!..
 — ფრინავს ყვავილების თაკარა.

ო... ცაო, გეყოფა ავობა,
 შენი მზე ბავშვივით მორცხვია.
 მომწყინდა თოვლობა, ქარობა...
 ხომ ხედავ, აპრილის ოცია?!

პ რ დ ბ ი ჯ ე რ ო !

და თუ შემასწარ უეცრად თვალი,
გაღამალული შიშით და თრთოლვით...
ჰატარა სევდა... ჩამქრალი ალის
გაღნება ბაგეთ, როგორაც თოვლი.

...ნუთუ, სიყვარულს, უმანქოს, ფარულს,
ამდენი თვალი დასდევს ბოროტი,
ნუთუ, — ცრემლები ღიმილს მოპარულს,
და უსასრულო სევდა — მოლოდინს!

ნუთუ ცხოვრებას ავი გული აქვს,
ბავშვს რად მასწავლა უცხო მონება.
ნუთუ ყველაფერს დასასრული აქვს,
და ოღარაფერს განმეორება?!

ნორა მოღვაწე

შორგელი ლექსი

აივანზე ვზივარ. ორი დღეა აღერლილ გუნებაზე ვარ, ხელს არაფერს არ ვკიდებ. მიკვირს, რატომ უყვართ ადამიანებს ბევრი ლაპარაკი, რას ითხოვენ!... საერთო ენას ვერავისთან ვერ ვნახულობ, არც მათი დანახვა მწარია, მათში გაორებულ პიროვნებებს ვხედავ, თუმცა თავადაც ვერ აუხსნიათ ამ გაორების მიზეზი. მე მინდა ვიყო ჩემთვის, მაქვს საკუთარი სამყარო, შეხედულებები. არასოდეს არ მიფიქრია ცუდი გავაკეთო, საზოგადოებას ვაგნო, მაგრამ არც ის შემიძლია, თითს საითკენ მიჩვენებენ, იქითკენ წავიდე. რაც მე მახარებს თუ მწყინს, არაა სავალდებულო იგი სხვას უხაროდეს და სწყინდეს! ეს ხომ მტკარი სისულელეა?!.. აი თუნდაც — აივანზე ვზივარ, ეზოში დგას ბებერი რცხილა, ტოტებს ქვემოთ ბურთის ოდენა კორდი დადებია. ეს კორდი რომ არა, ხე სწორი და მაღალი იქნებოდა. რატომ არ შეიძლებოდა, კორდი თავიდანვე მოეშორებინათ?.. რა თქმა უნდა, ეს ადამიანის შესაძლებლობას აღემატება, ბუნებას საკუთარი ხელგარებილობა გააჩნია, მაგრამ ხომ კარგი იქნება?!.. ადამიანებს გრძელი ცხვირის ნაცვლად... ანდა ზოგიერთი თავკომბალას არ წააგვდეს?!.. აი რაზე ვფიქრობ მე.

მე, მაგალითად, საშუალოზე მაღალი ვარ, კეხიანი ცხვირი, ჭრელი, შეტყველი თვალები, განიერი შუბლი და წინ წამოწეული მკერდი მაქვს. სახელად თამაზი მქვია. არ მომწონს არც ჩემი გარეგნობა და არც სახელი. მე მსურს ვიყო ათი სანტიმეტრით კიდევ უფრო მაღალი, მქონდეს სწორი, მოყვანილი ცხვირი, შავი, ფართო თვალები და მქვიოდეს რობერტი. სახელი შერქმეულია, კაცმა რომ თქვეს, ადვილად შეიცვლება, მაგრამ რა ვუყო ჩემს ცხვირს, თვალებს, შუბლს?.. მიუხედავად სიამაყისა, თავს მაინც მორიდებულად, დაჩაგრულად ვგრძნობ, რაკი არ ვარ ისეთი, რო-

გორიც მინდა ვიყო. ბოლო დროს ვგრძნობ, ჩემი ასეთი ხასიათი გააქციებული მყაროსთან შორით მაყენებს და მაიძულებს, შორიდან ვჭვრიტო.

მამაჩემი მეუბნება: შენ მთლად გამოიცვალეო. სრული ჭეშმარიტებაა — გამოვიცვალე, თავად ვხედავ, ჩემში წარმოუდგენელი ცვლილებებია. საშუალო სკოლა ამ ერთი თვის წინათ დავამთავრე, უმაღლეს სასწავლებელში ვაპირებ გამოცდების ჩაბარებას, უნდა მოვამზადო საგნები... ჯერ კიდევ სკოლის მერჩხე შევნიშნე — ვიზუთხავთ იმის, რაც უკვე კარგადაა ცნობილი. მასწავლებელმა გაკვეთილი აგვიხსნა, გასაგებია, მეორე დღეს ის გაკვეთილი უნდა მოვამზადოთ და ნიშანს დაგვიწერს. ვსწავლობ გაკვეთილს, მერე ვისწავლე ისიც, რაც მომავალ კვირაში მასწავლებელს უნდა აეხსნა და მოვყევი. მასწავლებელი ორს მიწერს. რატომ? მე ხომ იმაზე მეტი ვიცოდი, ვიდრე ჩემმა ამხანაგებმა, რომლებმაც კარგი ნიშნები მიიღეს?! მაგრამ — გადაუხევი მასწავლებლის სიტყვას და დავისახ... ახლა გამოცდები უნდა ჩავაბარო, თუ ყველა საკითხი ისე ზუსტად არ განვმარტე, როგორც წერია... მეცინება! მაგალითად: „მაღალი ხე“, თუ ვთქვი: „ხე მაღალი“, უკვე ჩემს უცოდინარობაზე მიუთითებს, თუმცა ამ გამოთქმას მხოლოდ პოეტებს აპატიებენ, რადგან ისინი არტახებს ვერ ეთვისებიან!

ერთხელ ბაბუაჩემშა მითხრა:

— ადამიინები თავს იტყუებენ, შვილო, უფრო სწორად, მათ ჰერი-ათ, ერთმანეთს არ გვანან, არ ბაძავენ, აქვთ დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებები და, რაც მთავარია, გემოვნება, მაგრამ... რა მქაცრი საიდუმლოებაა... აქვთ ორი ფეხი, ორი თვალი, ერთი ცხვირი... თუ ერთი ამ-ბობს განსხვავებულ აზრს, ან არ იცის რას ლაპარაკობს, ან იცის და ცდილობს არ გაიმეოროს იგი... მეტი არაფერი! მიზეზი? — უბრალოდ, ადა-მიანები თავს იტყუებენ!

თავს მეც ვიტყუებ, მაგრამ... ვიცი!

ჩვენი სახლი შუა ეზოში დგას. ორსართულიანი ქვის შენობა ახლად-აშენებულია. განა ვინჩეს აზრად მოუცილოდა ასეთი სახლის აშენება?! არა, არავითარ შემთხვევაში არა! ჩვენს გვერდით მეზობელმა წამოჭიმა ახალი სახლი, როგორიც მას გალმა სოფელში მოკეთისას უნახავს. ოდნავადაც არაფერი არ შეუცვლია, წამოჭიმა ზუსტად ისეთი სახლი. მაგრამ, როცა მამაჩემი ჩვენს სახლს აშენებდა, მე ვუთხარი: რაკი ქვაა, ბარემ ყველაფერი ქვისა იყოს-მეთქი. მართლაც, აივანიც ქვისა გავაკეთეთ, დასავლეთის მხრიდან, საიდანაც წვიმა ასხამს, ამოვაშენეთ და... გამოვიდა სრულიად განსხვავებული სახლი. მამაჩემს თავი მოსწონდა, მეზობლები გაკვირვებას ვერ მალავდნენ... იყო კი რაიმე ორიგინალური? — არაფერს მათ არ ენახათ მსგავსი, არ იცოდნენ, და რაკი არ იცოდნენ, ნახული სიახლე იყო. მაშინ მივჭვდი, სრულებით არაა საჭირო საოცრების მოხდენა, რომ ცნო-

ბილი გახდე, როგორმე უნდა მოახერხო, იყო ოდნავ მაინც განსხვავებული
და ამ განსხვავებულობაში დაარწმუნო სხვები...

და იშევება დაუსრულებელი წინააღმდეგობები და ბრძოლა.

ვზივარ აივანზე, მაცვია წელზე შემოტმასნული, ფართოტორტებიანი
შარვალი, ჭრელი, ბრტყელსაყელოანი პერანგი, რომელიც ამას წინათ,
როცა ინსტიტუტში საბუთები შევიტანე, ქალაქში ვიყიდე. ჩვენთან, სო-
ფელში კაცები (მათ შორის მამაჩემიც) ატარებენ ოდნავ ვიწროტოტებიან
შარვალს, კალთაგანიერ ბლუზებს და სიცხეში ჭილის ჭუდებს. მამაჩემს
ჩემი ჩაცმულობა არ ენახა, ეზოდან გასვლას ვერ ვბედავდი — იმიტომ კი
არა, მეშინოდა, ან ყურს ვათხოვებდი, რას იტყოდნენ, არა! არაფერი ისე
არ მეგავრება, როცა ადამიანი ადამიანს ირონიით შეხედავს. ასე მგონია,
იმ თვალებში ბუზანკალები სხედან და იყბინებია!

კარები ღია იყო, მამაჩემი იქეთა ოთაბში შევნიშნე, წელზე ქაშარს
ისწორებდა. თავზე კახური ჭუდი მოიგდო. შემობრუნდა. მე დავლანდე,
რომ დამინახა. კარებს მოადგა, ორივე ხელით კარის ამყოლზე მოეყრდნო
და მკერდი წინ წამოსწია. ამხელ-დამხედა, ჩაეღიმა, მაგრამ არავითარი
ირონია — სიბრაზე მოაწვა თვალებში.

— რა არის ეს, ბიჭო!

შევხედე, თითქოს ვერ გავიგე, რას მეკითხებოდა.

— რა არის-მეთქი!

ნახევრად წამოწოლილი ვიზექი, ფეხი ფეხზე გადადებული, არ შევ-
რხეულვარ, წარბიც არ შემტკიცებია. კარგა ხანია ვცდილობ, ყოველგვარ
შენიშვნას ისე შევხდე, თითქოს მე არ მექება. მამაჩემი აივანზე გამოვი-
და და თავზე დამადგა. ჩემმა დუმილმა გააცეცხლა, კინაღამ ხელი დამავ-
ლო. მე ფეხი გავასწორე და აივნის მოაჯირს მელავებით ჩამოვეყრდენი —
ეზოში ვიხედებოდი. თვალი კორძიან რცხილისაკენ გამექცა — გავიფიქ-
რე, რატომ არ შეიძლება ის კორძი მოვაცილოთ ხის ტანს, ბევრად ხომ
უკაოესი იქნება?!

— ვის ველაპარაკები?! — დაიყვირა მამაჩემია.

თავი მივაბრუნე.

— რა არის, რას ჰგავხარ, ვის დაემსგავსე! — ხმამაღლა დამძახოდა
იგი. — არკ თავმოყვარეობა გაქნს და არც შენიანების პატივისცემა!

— შამა, ასეთი რა გავაკეთე?

— რა გაცვია ეს, რა არის?!

ძალზე ძნელია, რა უნდა აუხსნა, როცა ისედაც ყველაფერი ნათელია.
განა ვერ ხედავს, რა მაცვია.

— მთელ სოფელში თავი მომჭერი და ეგ არის!

— ცუდი არაფერი გამიკეოებია!

— არაფრის არ გრცხვენია!

— მამაჩემო, — წამოვდექი, წონასწორობა დავკარგე. — მე როგორც
მინდა ისე ჩავიცვაძე! სრულებით არ მაინტერესებს, ვის რა მოსწოდს და
ვინ რას იტყვის . აავი დამანებეთ!

— მეგონა, შვილი გავზარდე, კაცი გამოვა ცხოვრებაში-მეთქი, ამას
რას ხედავს ჩემი თვალები, რას?

— რა არის აქ სასირცო?

— მგონი, გავიწყდება, სად ცხოვრობ! კაცს სინდის-ნამუსი უნდა
გქონდეს... შენს გამო მე რატომ უნდა ვწითლდებოდე... რა ვუთხრა
ხალხს? არც დედა გეცოდება... შვილო, — ნაღველი გაერია ხმაში, — ნუ
იზამ, შვილო, მამა ვარ, მომისმინე, ხალხი გაგვინდებს! შენც ისე ჩაიცვი
და დაიხურე, როგორც სხვები იცვამენ და იხურავენ! ხალხს ნუ გაერიყე-
ბი, შეგიძლებენ, დაგცინებენ...

მაინც ვერ მიგხვდი, რატომ უნდა შემიძლოს ხალხმა, ბოლოსდაბო-
ლოს, რას ვაკეთებ ასეთს? ჩემი შარვლის ტოტი თუ ოცდახუთი სანტიმუ-
ტრი იყო, ხოლო ახლა ოცდაათზე მეტია, შარვლის ტოტის შვილ სანტი-
მეტრშია მოქცეული აღამიანის ლირსება-პატივისცემა?! მაგრამ რაკი არ-
სებობს! შემუშავებული შეხედულებები, იგივე უნდა არსებობდეს ჩემთ-
ვისაც... ხომ სასაცილოა?! რატომ ვარ მე მამის შემარცხვენელი, იმიტომ
რომ მაცვია ფართოტოტებიანი შარვალი?! ავდეჭი, აიგანზე გავიარ-გამო-
ვიარე, მამაჩემმა თვალი დამატანა, ვეცოდები, რომ ვარ ბრიყვი, საკუთა-
რი თავი სძაბს, რომ ჩემისთანა შვილი გაზარდა. ვიცი, მეზობლებთან
შეხვედრა მოერიდება. აი საოცრება, კაცმა კიდეც უნდა იცინო და კი-
დეც უნდა იტირო!

— შენი წინაპრების ძვლებს ნუ შეურაცხყოფ საფლავში, შვილო!..

მამაჩემის ამ სიტყვებმა გული შემიქანა, მე უნდა შევრაცხჰკყო ჩემი
წინაპრების ძვლები საფლავში?! კიბეზე დავეშვი, მივაფართხუნებდი შა-
რვლის ტოტებს და მივდიოდი, თითქოს ძლიერ ქარს დაებეროს, ისე წვე-
ბოდა ჩემს გარშემო ხასხასა მოლი. იქნებ მართლაც არაა ჩემი ჩაცმულო-
ბა ლამაზი და სასაცილოდაც გამოვიყურები, მაგრამ მე ასე მინდა, თუნ-
დაც იმიტომ, რომ მამაჩემივით სოფლელს არ ვგავდე!

— ყანაში წადი! — სხვა ველარაფერი მითხრა მამაჩემმა.

— წავალ!

ორი დღეა გვიან ღამით ვბრუნდები ყანიდან. ვმუშაობ თავაულებ-
ლივ, მინდა მალე მოვტჩე სიმინდის თოხნას, რომ ვიმეცადინო. სწორედ
გუშინ იყო, რომ ვფიქრობდი, თუ სიმინდს მიწა არ შემოუწმინდე, არ
შემოაყარე, ყანა სარეველისაგან არ გაწმინდე, ტაროს არ გამოიღებს. ეს
ხომ სრული შეჭმარიტებაა. არსებობს წესი, თუ ამ წესს დაარღვევე, მოსა-
ვალს ვერ მიიღებ, მშეგრი მოკვდები... მოკვდები... აი, სიცოცხლე რო-
გორ გვაიძულებს, ვესურს თუ არ გვსურს, მაინც ის ვაკეთოთ, რასაც
სიცოცხლის წყურვილი გვიკარნახებს. ერთი საათი კიდევ და მზე დაა-

შერს, ამ გრძელ შარვალში დამცხება, გავიჩაღო?! გიუიაო, მომტკიცი უთ-
ფელი... რა ხდება? მცირეოდენად თუ განასხვავებ შენს თავს ჰათგაზ და
გაგიგებენ, ბრძენს დაგიძახებენ, ხოლო თუ ვერ გაგიგეს, გიუიაო, იტყვი-
ან. ი, ორი უკიდურესობა... თოხი მხარზე გავიდევი. მამაჩემს არ ეგონა,
თუ ასეთი ტანსაცმლით ყანაში წავიდოდი, უიმედოდ ხელი ჩაიქნია და
ოთახში შევიდა. მას სამუდამოდ გაუტყდა ჩემშე გული.

დედაჩემი სხვა შეხედულების ქალია. სრულებით არ ვარ მისთვის
შემარტვენელი შვილი. ვატყობ, თავი მოსწონს კიდეც, რომ მე ახალ მო-
დაზე მაცვია, თითქოს კიდეც ცდილობს, სხვებსაც აჩვენას, თუ რა კოხ-
ტად ჩატყული ბიჭი ჰყავს. იქნებ ეს ქალური ინსტინქტია? მე მოვნია, ახ-
ლისაკენ სწრაფვა ქალში უფრო მეტია, ვიზრე მამაკაცში! ჩემს ახალ შარ-
ვალს იგი ხელში ატრიალებდა, აღფრთოვანებას ვერ მალავდა, რა უცნაუ-
რი შეკერილიაო. მახსოვს, მეხუთე კლასში ვიყავი, როცა პირველად სარ-
კეში თმა დავიგარცხნე, თანაც ცოტა არ იყოს, უცნაურადაც — ორივე
მხრიდან გვერდზე გავყევი, ხოლო შუა თმის ნაშილი უკან გადავივარცხ-
ნე. მამაჩემს მაშინვე არ მოეშონა ჩემი თმის ვარცხნილობა, დედაჩემს ჩა-
ელიმა კმაყოფილებით, უნდოდა კიდეც ეთქვა: უჲ, როგორ გიხდებაო...
ასეა, რაც არ უნდა გავაკეთო, დედაჩემს მოსწონს! ერთხელ მამაჩემს შე-
ედავა, რა მოხდა, ბავშვია, შენსავით დინჯი ხომ არ იქნება, ღმერთმა ნუ
ქნას, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ბავშვი ბავშვობაში ბავშვი არ იყოს. გახ-
სოვს, — მოაგონა მამაჩემს, — ოცი წლის ყმაშვილი ფეხდაფეხ დამსდე-
ვდი, უარი რომ მეთქვა, თავს მოიკლავდი. ახლა, ახლა რას იზამ?! ადამი-
ანი ასაკისძამიხდვით უნდა ცხოვრობდესო. მამაჩემს ჩაელიმა და თავი
ჩაქინდრა. ასეა, ახალგაზრდა კაცის ყველაფერი გვიკვირს, გვავივწყდება,
ჩვენ რა ვიყავით მის ასაკშიო. მამაჩემმა უპასუხა: ჰოდა, მეც იმიტომ
ვწუხვარ, რაც მე სისულელები გამიკეთებია, ჩემმა შვილმა არ გააკეთო-
სო.

ჰო, არავის არ უნდა, ვინმე ვინმეს ჰგავდეს, მაგრამ... ახალგაზრდო-
ბაში მამაჩემს რა ჰქონდა? — არაფერი! წელიწადში ერთ შარვალს ვერ
გამოიცვლიდა, დაუთოვებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. მე ხუთი-ექვსი
შარვალი მაქეს, თუ იგი ჩვეულებრივ მუხლებზე გამოხრილ, ოდნავ ვი-
წროტოტებიან შარვალს ატარებს, მე ხან ვიწროტოტებიანი, ხანაც ფარ-
თოტოტებიანი შარვალი მაცვია. ხომ სხვაობაა ჩემს ჩატყულობაში. მერე?
მას უნდა, რომ არ დავემსგავსო, მაგრამ როცა ხედავს, რომ მას არ ვგა-
ვარ, ვეღარ იტანს!

თორმეტი წლიდან მამაჩემს ყანის თოხნაში ვერმარები. მასწავლა, რო-
გორ დავიჭირო თოხი ხელში, როგორ მოვიქნიო, ბალახი მოვჭრა, სიმინ-
დის ძირს მიწა შემოგაყაჩო, როგორ გავიტანო ნაპირი. მაგრამ თუ ასე არ
გავაკეთო... უღირსი შვილი ვარ, ჩემგან არასოდეს კაცი არ დაღვება... გა-
ნა მამაჩემი?.. არა! ერთი მეზობელი გვყავს, ბიძა — ამბროსი, სამამულ

ომში ოფიცერი იყო, თითქოს ცოტა რამ უნახავს ამქვეყნად (ეს მისი ტელი ტყვებია). როგორც ვიცი, პატარა, სოფლის პირობაზე ბიბლიოთის აქვს, დიდი მეწუნიე ვინმეა, არავინ და არაფერი არ მოსწონს, რომ თავისი მაღალი შეხედულებები და გემოვნება, ყოვლისმცოდნეობა წარმოაჩინოს. თავი მწიგნობარ კაცად მოაქვს. იცის ხოლმე, ამა თუ იქ წიგნიდან ამა თუ იმ ფრაზას იტყვის, რომ მსმენელზე არგავნილი ეფექტი მოახდინოს. არა მგონია, იყი ესოდენ ბევრ წიგნს კითხულობდეს, მაგრამ იცის, სად რა, როგორ თქვას. მეტად ცეტი, მოუსვენარი ტიპია, რომ მიუსაჭო, სკამზე ერთ საათს ვერ დააჭერ. და ვითომ იგი სქელტანიან წიგნებს კითხულობს? ეჭ, ტყუილია! ალაგ-ალაგ გადაიკითხავს წიგნს, გაეცნობა შესავალ წერილს და გათვალისწინებული ილაპარაკოს. ესეც თავისებურა ნიშია... ვერ იტანს სხვების ფრთიან გამონათქვამს, ან რაიმე ახლებურ აზრს. თუ შეატყო, ვინმემ აზალი აზრი გამოოთვა, მაშინვე გააქიაქებს, დასცინებს კიდეც. მთავარია, როცა რაიმეს ამბობს, თავისი აზრი გაიტანოს, ხოლო შემდეგ რა მოჰყება მის ნათქვამს, მნიშვნელობა არა აქვს. ასე მოიპოვა მან სოფელში განათლებული კაცის სახელი. ბევრი მის შეხედულებებს იზიარებს. პირდაპირ რომ ვთქვა, მე ამ ჩვენმა მეზობელმა დამტკიცება... მაშინ მეათე კლასში ვსწავლობდი, შემოდგომა იდგა, ზაჟები ეზოში ვთამაშობდით. ჭიშკარს სიმინდით დატვირთული ურემი მოაღვა.

— აბა, ბავშვებო, მოუსვით აქედან! — შეუყვირა მათ მამაჩემშა.

მე გავკარნიერდი.

— ბიძია მიხეილ, ურმის დაცლაში წაგერმარებით! — უთხრა ერთმა. — ყოჩალ, აბა, ვნახოთ, რა შეგიძლიათ!

ურემი ოდასთან დააყენეს. ახლადმოტეხილ სიმინდს ოდის ქვეშ ვყრიდით. ერთი ურემზე შეხტა, მეორე ხარებს ამოუღება ვეერდით. ბიძია ამბროსი სტუმრად ყოფილიყო მოკეთესთან და ჩვენს ეზოში ამოიარა. შუა ეზოში გაჩერდა შეზარხოშებული, ჩამოხლეჩილ ტოტივით ქანაობდა და ენასაკვიმატოდ იყო შემართული. ასეთ დროს კისერი წაუგრძელდება, თვალებში ირონია გამოეხატება და ოდნავ წიწუამოწეულ ქვედა კბილებისგან ტუჩებს ისე მოკუმავს, მიხვდები, დასაგესლავადა განშირული ვიღაც. ურემთან ვიდექი. აივნიდან ჩამოვარდნილი წიგნი შეაზე გაჭეცილი ჯიბეში მედო. შემომხედა.

— ეჭ, ჩემო მიხეილ, — უთხრა მამაჩემს, — ზოგს ის რაც თავში უნდა ედოს, ჯიბეში უდევს! ახალგაზრდებმა დღეს რა იციან წიგნის ფასი... რესტორანი, დროსტარება, ქალები, სხვა არაფერი აინტერესებთ. შვილი საკუთარ მამას ალარ უჯერებს.

მამაჩემშა მე შემომხედა იჭვნეულად.

— კონსტანტინე გამსახურდიას უთქვამს, — დასძინა ბიძია ამბროსიმ, — კონსტანტინე გამსახურდიას: „ვეზო, ეგ ცხოვრება ბავშვის ნიფხავსა ჰგავს, მასავით დასვრილია და მოკლე!“. რას იზამ, ცხოვრება თავი-

სას ითხოვს. ღმერთია თუ რაღაც, რასაც შუბლზე დაგაწერს, გვარდს კურთავს აუვლი! კაცს ეხვეწები, ჭყას ასწავლი, არა, თავს იყლავს, ფეხს მაინც სიბინძურები კრავს. არა, არაფერი არ შველის!

მამაჩემი ღუმილით შეაჩერდა. ის დღე იყო და ჩემზე გული გადაუბრუნდა, რაც არ უნდა გამეკეთებინა და მეოქვა, არაფერი არ მოსწონდა. მეტყოდა ხოლმე, ჩენი ამბროსის დონეთი განათლება კაცს მაინც უნდა გქონდესო. დღესაც ვერ მივმხდარვარ, რა განათლებაზეა ლაპარაკი, როცა კაცს არ შეუძლია ლოგიკური მსჯელობა, მაგრამ რა, ხალხს აჯერებს... კი არ გაურბის, პირიქით, ცდილობს ხალხს მოახვიოს საკუთარი შეხედულებები. მე კი, სწორედ ის არ მინდა გავაკეთო, რასაც სხვები მასწავლიან. მამაჩემმა მეათე კლასში სამეცადინოდ საათები დამინიშნა, დრო განმისაზღვრა. მე სწორედ მაშინ გვადიოდი ეზოში სათამაშოდ, ან ოჯახურ საქმეს მოვიმიზეზებდი. იყვირებდა მამაჩემი, დედაჩემი წინ აღუდგებოდა და, ბევრჯერ მოვსწრებივარ მათ ჩხუბს. სიბრაზე მახრჩობდა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჭყას მასწავლიდნენ. ერთხელ ბიძია ამბროსიმ დამცინა: იმაზე ცუდი არაფერია, როცა კაცს ჰგონია, რაღაც უნდა და არ იცის, რა უნდაო. არ შევდავებივარ. ბოლო დროს ასე დამჩემდა, თუ ვინმეს შევატყობ, ჭყა უნდა მასწავლის, ენაუთქმელი გავეცლები...

მზე მთაზე იყო წამომჯდარი, როცა ყანაში ჩავედი. რა გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ახლა სიმინდი თოხნოს. წამოვწეედი ჩრდილში, ფეხი ფეხზე გადავიდევი და მაღლა აწეულ ფეხსაცმლის ჭვინტს მივაჩერდი. ასე მევონა, ცა იმ ფეხსაცმლის ჭვინტს ეყრდნობოდა და თუ ჭვემოთ დავსწევდი, ცაც ჩამოიწეოდა... ხომ უცანაური განცლა? რა იქნება. რომ ამ საოცარ სამყაროში მცირეოდენი ცვლილება მაინც მოვახდინო... მზე იქნებოდა მუდამ ცაში გამოკიდული, სიმინდს გავზრდილი გაშლის ხესავით და თითოეული ტარო იქნებოდა თითო ფუთით... ჰა, ჰა, ჰა... რა სასაცილოა! წამოვხტი, თოხის ყუას ხელი გავკარი. ტარი თავში მომხვდა და ხელი შუბლზე ვიტაცე.

სხვა გზა არაა, ნაპირს უნდა ჩაგუდგე, დღეს უნდა გაითოხნოს სიმინდის ყანა. ჩვალ, ალბათ, ეზოში ვენახი მექნება შესაღუყავი, მასზეგ უნდა ვიმეცადინო. ან სხვა საქმე გამოჩენდება. ყველაფერი ისე უნდა გავაკეთო, როგორც აკეთებენ სხვები. არ მინდა მე ეს თოხი... მაღლა აგსწიე, რატომ არ შეიძლება ისეთი თოხი გავაკეთო, რომელიც არ ემსგავსება თავის წინამორბედს?!.. ვინ იცის... გამამასხრებენ, მაგრამ თუ ჩემმა გამოგონებამ მათ მუშაობა შეუმსუბუქა, ოო... ჩემზე უკეთესი ქვეყნად არავინ იქნება! ხედავ? ყველა თავის სარგებლობიდან გამოდის. თუ ისეთი რამ გააკეთო, რაც მათთვის სასარგებლოა, კარგი კაცი ხარ, თუ მხოლოდ საკუთარი სარგებლობისათვის იზრუნე, — ცუდი, ეგოისტი. აი, ელემენტარული ჭეშმარიტება... რა არის ახლა კარგი — ყანის ნაპირ-ნაპირ გავლა, თუ ოდნავ უფრო გრილი ნიავი, ცა მსუბუქი და გამჭვირვალე, ოდნავადაც



არ განვიცდიდე, რა ხდება ჩემს გარშემო, მხოლოდ ვერთობში დუშაკების
რი სულის ხეეულებით, ვიყო ასე დიდხანს, მზის ჩასვლამდე... მერე? მა-
მაჩემი საღამოს შინ არ გამაჩერებს: აი, შე ზარმატო... და ვინ იცის, რა
მოჰყება ჩემს ლანძღვა-ვინებს, გაიგებს მოელი სოფელი... უღირსი
შვილი...

ვთოხნი, ნაპირს თაგში ჩავუდექი. სიმინდის ძირს ბალახი შემოვაცა-
ლე, მიწა შემოვწმინდე და კვლავ შემოვყარე, მხოლოდ ასე, თორემ სი-
მინდი ვერ იხარებს. შუადღემდე გამქონდა ნაპირი... ერთი-ორი საათი შე-
სვენება... სადილი... მზის ჩასვლამდე მეორე ნაპირი გავიტანე. ერთი დღის
სამუშაო მაინც დამრჩა. მამაჩემმა უკმაყოფილოდ თავი გააქნია, ერთი
დღის სამუშაო არ უნდა დაგრჩენოდათ. დაირღვა მუშაობის საშუალო
რიტმი, თორემ... მეორე დღეს აღარ მომიწვევდა ყანაში ჭავლა. ვფიქრობ,
რა გავაკეთო, რომ თავი დავითხსნა!.. ყანის თოხნა სადილობამდე მოვათავე,
თოხი მოვისროლე, ხელები თეძოებზე შემოვიწყვე და თვალმოხუჭულა
გავყურებდი სივრცეს. უცებ აღგილიდან დავიძარი. ჩევნი ყანიდან ჭალის
პირს გაივლი და ტყე იწყება ფერდობზე შეფენილი. ტყისა არასოდეს არ
შშინებია, ტოლებთან ერთად ხშირად ჭამოვსულვარ სოკოსათვის. ხშირი
ტყე ძლიერ მოქმედებს, მისი სიჩუმე თითქოს მესაუბრებოდეს, ისე გან-
ვიცდი. ტყემ ფაქრი იცის, მშვიდი, დაუვიწყარი... თავალერილი მივაბიჯებ
ტყის იღუმალებაში, ხშირ ტოტებში მზე ვერ ატანდა, აშოლტილი ხეები
მარმარილოს სვეტებივით იღგნენ თავისივე ჩრდილში, ალაგ-ალაგ კუნე-
ლისა და შეერის ბუჩქებს ჭამოეყო თავი. რა შესაბრალია, გრისაც არ გაუ-
გლია ტყეში, არ გაუგია, არ უგრძვნია მისი საიდუმლოების დიალი ძალა.

მე მიყვარს ტყე, თუნდაც იძიტომ, რომ ტყის მიღმა რა ხდება, ვერ
გრძნობ, თავისუფლად სუნთქავ. წიფლის ვეებერთელა ფესვზე ჩამოვკე-
ქი, მერე ზურგით ხის ტანს მივეყრდენი, რა სიწყნარეა.. ჭარად აზი-
დული ხეები, თითქოს ერთმანეთს ერიდებიანო, ისე გარინდულან. აქ რომ
ვინჩემ დამინახოს, დამცინებს, ან გვერდს შემიგლის და შორიდან დამიწ-
ყებს თვალთვალს. ასე იყო მაშინ, როცა მეექვსეკლასელები მოცის საკ-
რეფად ჭამოვედით. შუადღისას ცაცხის ჩრდილში შევისვენეთ... ბაგშ-
ვებშიც არის შუღლი. თმახუჭუჭა, ოდნავ ჩემზე მაღალ ბიჭს თვალში არ
მოვდიოდი. და რატომ? არასოდეს თამაშები არ ავყვებოდი, არც მის ნათ-
ქვამს ვიზიარებდი .. მარტოკა ტყეში შევედი. მაღალ ხეებს ვათვალიერე-
ბდი ცნობისმოყვარეობით... ის ბიჭი ამღევნებია... ამხანაგების ხარხარი
ჩამესმა — ყველა ჩემსკენ იშვერდა ხელს და ხარხარებდნენ. მე ხის გა-
დანაჭერზე ჩამოვჭექი და ტყეს გავყურებდი. მერე შევნიშნე იმ ბიჭის მო-
ცვით სავსე კალათზე ციყვი აცოცებულიყო და შევძახე: გადაბრუნდება
კალათი-მეთქი... რა მენაღვლებოდა, გადაბრუნდებულიყო, განა ის მე გა-
მაფრთხილებდა?!



დრო ძალზე ნელა გადის, მაგრამ მგონია, დიდი დრო გავიდა, ალბათ,
დაღამდება კიდევ. ხმელი ტოტების უცარმა მტვრევამ გამომარკვია, ყრუ
კვნესაც ჩამოვხტი. ქალის მაღლა აშვერილ ხელს მოვკარი თვა-
ლი ბუჩქებს მიღმა, მივგარდი... ოქვესშეტ-წვიდმეტიოდე წლის ქერათმია-
ნი გოვონა წელამდე ჩაგარდნილიყო კბოდეს პირას ხმელ ტოტებში. პა-
ტარა მრგვალ სახეზე შიშისგან ნაკვთები უთრობდა, აცრემლებული თვა-
ლები გაღმოცვენზე ჰქონდა. შემომხედა, კინაღამ აფტირდი, იღლიებში
დავავლე ორივე ხელი და ამოვზიდე. ერთხანად გარინდებული, მუხლმო-
კეცილი იჯდა ხმელ წიწვზე, ხელი შუბლზე ჰქონდა შემოდებული, ვერ
მიყურებდა, მერე კანკალმა გაუარა... ვიდექი ქანდაკებასავით და დავტე-
როდი — შავგვრემან კეფაზე ღინდლს ქარი ათამაშებდა, მერე თმაც აი-
ყოლია და აუწეშა. მცერდამოჭრილი ვარდისფერი კოფტა ეცვა, მოკლე
სახელობიანი, წითელ ფეხსაცმელებიანი პატარა ფეხები გვერდით ისე
ეწყო, თითქოს მუხლებზე მჯდარიყოს. კარგა ხნის შემდეგ შეაქანა თვი,
შემოხედვა ვერ შემძედა... ტყე ღუმდა.

— აქ რა გინდოდა, შენ? — ვეკითხები შემკრთალი.

შუბლზე ჩამოყრილი თმა ხელის ნელი მოძრაობით გაისწორა, თვი
შეაქანა და თითქოს უნდა შემომხედოსო, ოდნავ გასწორდა წელში. რა პა-
ტარა თითებია, თეთრი, რბილი, ალბათ, კაცმა ხელი რომ ჩამოართვას,
მაშინაც კი დაიმსხვრევიან ძვლები-მეთქი, გავიფიქრე.

— მარტო ხარ?

თავს აქნევს, კიო... ჩავიმუხლე და სახეზე შევაცემდი, თვალს ვერ
ვაშორებ — რა ლამაზია... სული მეკმის, თუნდაც იმიტომ, რაც მე ახლა
ვიპილე, რა კარგი არის ტყე!

— ნუ გეშინია, აწი აღარაფერი შეგემთხვევა, — ხელი მინდა მოვცი-
დო, წამინდა მისინია არ გამიბრაზდეს. თვალები მიციმუიმებს. ბაგე-
ები მითროის. მე რა მაშინებს?! — ადექი, მიწა სველია. ტყეს რატომ მი-
ენდე მარტომ?

— ტყე მიყვარს! — რა მთრთოლვარე ხმა ჰქონდა, საოცარი.

— ტყე გიყვარს?

— ჰმ! — თავს აქნევს.

— ადექი, ნუ გეშინია!

ხელი დაუშვა, კაბის კალთაში გადააჭდო თითები ერთმანეთს. სახე
დაეჭმინდა. შევატყვე, ცოტა შეთამამდა კიდევ. ვადროვე. გვერდზე და-
წყობილი პატარა ფეხები შეარხსია, გასწორა — მუხლისთავებამდე ჩამო-
ეწია კბა: — სახე მზეს მოუგავდა, მუხლისთავები — მთვარეს... შემომ-
ხედა, ოჯ, რა ლამაზი მეტყველი თვალებით, წამოიწია და ადგა... იგი იდგა
ჩემს წინ, მოკრძალებული, მშვენიერი და წმინდა, ვით ჩვილის უმანკო
ტუჩები... მე არასოდეს მინახავს იგი, საიდან მოვიდა?

— აქ ნუ ვდგავართ კბოდეს პირას! — ვეუბნები.

ნელა შებრუნდა, კაბის კალთა აუღელდა მუხლებზე, ნაქსოვი კოფტი
დაეღარა წელზე. გავყევი. ტყის სიღრმე თავისკენ გვიზიდავს. მეტადღაც
დაცურებულა ხშირ ფოთლებში და წინ სიცოცხლის სიხარულივით შე-
მოგვევდა. ტყის მდუმარება გვატყვევებს. პო, რაღაც უნდა თქვა, თუნდაც
იმიტომ, ქალიშვილთან რომ ვარ... მერე გავაცინო კიდეც. მე მინდა მხო-
ლოდ მას ვუყურო ტყის ამ სილამაზეში, ცაში აჭრილ ხეებს შორის... ცა-
ლი ხელი იღლიაში აქვს ამოდებული, ცალი ხელის თითო ლოყაზე მიუ-
დევს და იქვე, ლოყაზე ფოსო გასჩენია...

— ვისთან იყავი? — ვეკითხები მას.

— მამიდასთან ვისვენებ გაღმა სოფელში!

ჩვენს წინ, ამ ტყის განაპირას დაბლობში მეზობელი სოფელია. მას
უყვარს ტყე, ტყემ წამოიყვანა ამ სიშორეზე და ახლა შეშინებული თრთის,
იქნებ გზაც ვერ გაიკვლიოს... გვერდით მივყვები, ვუყურებ — მშვენიე-
რებაა, შევახო ხელი? ეს ხომ წარმოუდგენელი ბედნიერება... თავისკენ
მივიზიდო? გაინაბება. ისევ დავინახავ მის აწყლიანებულ თვალებს. არ
გაბრაზდება? გაიგებს მთელი სოფელი, მე უწმინდური გავხდები და
სოფელში თავი მომეჭრება. მაქვს მხოლოდ უფლება, იგი შევიყვარო, და
თუ მანაც შემიყვარა, პირობა მივცეთ ერთმანეთს. ჩვენი სიყვარულის
ამბავი უნდა გაიგონ ჩვენმა მშობლებმა და მოკეთებმა. იქნება ქორწილი,
ლხინი... ახლა?! დაირღვა წეს-ჩვეულება. არა და, რა სიცოცხლეა, მთელი
სიცოცხლე... ლამის ვიტირო... ვინ შემოიღო ეს წეს-ჩვეულება, რომ ამ
უსაზღვრო ბედნიერებას მიკრძალავს?! მასაც ხომ უნდა, ხელი შევახო,
მივიხტო. ხომ უნდა? დავუკოცნო. ლამაზი ტუჩები, სველი თვალები.
ხომ უნდა? მაშ... ჩემი გულწრფელობა ამაო. უნდა ვთქვა ტყუილი, შევ-
პირდე ერთგულება, რომ მან საკუთარი მოქმედება გაამართლოს. ახლა
იგი თანახმა იქნება, თანახმა, მაგრამ რა თქვას ხვალ?..

— მე დავიღალე! — ვთქვი.

— დაისვენე!

— არა, სიარული არ მიჭირს, დავიღალე!

— მეტს ნუღარ მოდიხარ, საცაა ტყე დამთავრდება და სოფელში გა-
ვალ. აღარ მეშინია... გმადლობთ!

— გმადლობთ?

ხელი უნდა მოვხვიო. უწესოებაა. ხელი არ ვახლო, ვაჲ, ასეთო ჩიტი
ხელიდან როგორ გაუშვიო, სოფელი დამცინებს — ზოგი პირდაპირ მე-
ტყვის, ზოგი ჩაიცინებს, ზოგიც გუნებაში დამძრახავს. განა მხოლოდ კა-
ცები? ქალებიც! აი ის ქალები, კაცის ხელს რომ არ იყარებენ. ისინიც და-
მძრახავენ გუნებაში. ორ უკიდურესობას შორის თამაშობს კაცი, ვიდრე
გონება არ დაუბნელდება, ანდა პირიქით, არ გაუნათლდება. ჩემმა დუმი-
ლმა მგონი შეაკრთო, შიშით შემომხედა. მე მშვიდი თვალებით ვუყურებ-
ტყის ნაპირას გავედით.

— იი, შენი სოფელი.

— ვიცი!

ახლა ის იდგა როგორც გამარჯვებული, თავისუფალი, ამაღლებული, და უცებ, სახეზე ირონია შევატყვე.

— ნახვამდის! — მითხრა მან.

— ნახვამდის!

მაგრამ რას ამბობს მისი წელანდელი შიში და ახლა ირონია? ტყის ნაპირს დავჭევი და ჩვენი სოფლის გზაზე გავედი. მზე უკვე გადასხრილი იყო. ათასი გამართლება აქვს იმ დადგენილ წეს-ჩეულებებს, ბევრი რამ ადამიანებმა ბრძან შეიმუშავეს, ბევრი კი აუცილებლობითაა ნაკარნაზევი. რატომ უნდა ვიარო გზაზე?! — გავითიქრე და გზის პირს გავყევი ბალა-ხებში. ალაგ-ალაგ ბუჩქების ტოტები იყო გაბლანდული და ტანსაცმელს მიზოკავდა. ასე ვივლი ჩემს გემოზე, როგორც მესიამოვნება. არსებობს მოვალეობა, რომელსაც ვერ გაექცევი, მაგრამ ხომ არის ამ მოვალეობის გარდა ბევრი რამ?! ვერ ვიტყვი, რამ მაიძულა, ასე მეაზროვნა, ან საკუთარი შეხედულებები მქონოდა.

ფური დამიცურდა და შარგლის ტოტი ეკლის ბუჩქს წაშოვდევი... ჰა, დავისახე, ახალთახალი შარგალი დაგხიერ. მამაქემი მეტყვის: ასეა, კაცს რომ არ დაუჭერებ, ვინ გაიგონა, ასეთი ფართხუნა შარვლით ყანაში წას-ვლაო. სოფლის გზაზე გოგო-ბიჭები სიცილს დამაყრიან. გავგულისდი, თავი მაღლა ავწიე. მე ასე მსურს, დახეული შარვლით ჩავიკლი სოფლის გზაზე.

ისინი იღიმებიან, მე?!

სოფელში ერთი ბულალტერი გვყავს, ასე, ორმოცდაათ წელს გადაცილებული იქნება. ტანად მაღალია, გამხდარი, გრძელი ცხვირი აქვს, მხოლოდ საფეხულებზე შემორჩენია ჭალარა თმა — გვერდებიდან გადაიგარცხნ-გადმოივარცხნის და შუბლის კოფოზე გარღივით დაიჭენს კულულს. ამბობენ: ორ საათს ტრიალებს სარკესთანო. გასაკვირი არაფერია, ასე სურს მას. ორმოცდაათ წელს გადაცილებული კაცია, ეპატიება. მნაცველს სიამოვნებას გვრის ის ერთადერთი ვარღივით კულული. ორაგის არ ეხამუშება თვალში. მე მოვაგლეჭდი იმ კულულს და თვალებში მივაყრიდი, მძულს — საკუთარი მე არ გააჩნია. ჩვეულებრივ გამართული სიარული ჩვევია, თავი ამაყად უჭირავს, მაგრამ ეს ხდება თავმჯდომარის კაბინეტის კარებამდე. მერე წელში მოიხრება, სახე მოესაწყლება, თვალები ამოუნალვლიანდება და ხმა დაურბილდება. თვალებაციცინებული ელაპარაკება თავმჯდომარეს, ყველაფერზე თავს უქნევს, ეთანხმება. ყოველი ორი-სამი ფრაზის შემდეგ საუბარში ჩაურთავს: „თქვენ შესანიშნავი ადამიანი ბრძანდებით!“, „თქვენ ნიჭიერი ხართ!“, „თქვენ რომ არ გვყავდეთ, საქმე არ გაყეთდება!“ და არ იცის, როგორ ასიამოვნოს... მერე დადგენილება გამოვიდა: „ბრძოლა გამოეცხადოს მლიქვნელობას!“ საერთო კრებაზე თავ-

მჯდომარეობ წაიკითხა მოხსენება, ქვა-ქვაზე არ დატოვა, მოგვარულია ამას
ტიყი ბრძოლა გამოვუცხადოთ მლიქვნელებსა და მლიქვნელობას... ბუღა-
ლტერს ხელის გულები დაუსკდა, ისეთი ძალით უკრავდა ტაშს! და თავ-
მჯდომარეს მარჯვენა კვლავაც ბუღალტერი იყო. არა, ხელმძღვანელს
მლიქვნელი არ უყვარს, მაგრამ ვერც მის გარეშე შეძლებს ყოფნას. ავ-
ტორიტეტი სწორედ სუსტებისაგან და მლიქვნელებისაგან იშუება...

სოფლის ორლობეში შევეღი, დახეულ შარვლის ტოტს მივათაროსუ-
ნებდი. გოგო-ბიჭები მოადგნენ ლობეს, ფხუკუნი იუტყდათ, ერთმა ქვაც
კი მესროლა. ჰა, ქვას მესვრიან! ნაბიჯი არ ამიჩქარებია. მათ უკვირთ.
რა უკვირთ?! ხვალ შეიძლება მათაც საკუთარი შეხედულებები ჰქონდეთ.
თავისუფლებას ვგრძნობ, რომ ასე ლაღად მივაბიჯებ ორლობეში. ქვა ისევ
დაეცა ჩემს ფეხთან. ადგილს მოვწყდი, მივრბივარ. რატომ? მივრბივარ
გახელებულა. ჰო, სირბილი ახლა შევებას მგვრის, ასე მგონია ვიღაცის გა-
ურბივარ. ხარხარი დამეღევნა, მერე შთაინთქა საღლაც და... მე ჭიშკარ-
თან ვიდექი.

— მოათავე? — დამიძახა მამაჩემმა.

— კი!

ეზოში ჩავედი.

— ძროხა გაიბნა, დედაშენია წასული, წადი, გადახედე, — მითხრა
მამაჩემმა.

ოდაში შევეღი. ბიოლოგის სახელმძღვანელო იღლიაში ამოვიდე,
ეზოში გავედი. უცებ ვერ მოვიაზრე, სად დამჯდარიყიყავი. მამაჩემი თვალს
მატანდა. ძროხის შორეული ბლავილი მომესმა, ეტყობოდა, დედაჩემს
ძროხა ენახა. მამაჩემს აღარ უთქვამს წადიო. სასიმინდეზე კიბე მივაყუ-
დე და ავედი. ჩალის ლერებზე წამოვწევი, მზე ჩაღიოდა და სასიმინდეში
ოდნავ ბნელოდა, ასოებს კარგად ვერც ვარჩევდი. მე მაინც გავშალე წი-
გნი, თუმცა წიგნის კითხვის თავი არც მქონდა. არც ერთი საგანი ისე არ
მიზიდავს, როგორც ბიოლოგია. აღამიანი ცხოველთა საოცარ სამყაროს
ეცნობი. თევზი წყალში ცურავს, ფრინველი ცაში ფრინავს, აღამიანი მი-
წაზე დადის...

დედაჩემმა ძროხა სასიმინდეს ბოძზე მიაბა, სამზარეულოდან ქოთანი
გამოიტანა და ღობეზე მიბმული ხბო იუშვა. ხბო კუნტრუშით გაემართა
ძროხისაკენ, სველი დრუნჩით დაეტაკა ცურზე, აჟრა რამდენიმეჯერ და
მოწოვა... მივიდა დედაჩემი, ხბო ძუძუს მოაშორა, ჩაქუქდა ძროხის ფე-
ხებთან, ქოთანი წინ დაიდგა და ძროხა ჩამოწველა. გულჩაღმა ჩავემხე,
წიგნს მკლავები მოგხვივ და ნიკაპით ჩამოვეყრდენი. ხბო ძროხისკენ გაი-
წია, დედაჩემმა ფეხი მოუქნია და გააგდო. ხბოს ძალა აღარ შეწწევს და
სველი დრუნჩი ენით მოილოკა. — იცის, მეტი რე არ ერგება... მგონი,
ზედმეტად გამოლეჭა ძროხა, რადგან დედაჩემს შეწუხებული სახე აქვს,
ქოთანი რძით არ იგსება, თორემ ხბოს ასე მოძულებით არ გააგდებდა.

ახლა მან აჰერა მჯიღი ცურს, შესრისა და წველა განაგრძო... ჩელიშიც
ჩამობნელდა სიბნელეში თვალი ამიჭყიტა წითელმა ვარდმა, ჟირკართან
რომ გვერდია. დავაკერდი. ვარდს ვხედავ მე — ვარდი არსებობს. არ ვი-
ქნები მე — ვარდი მაინც იარსებებს, მაგრამ ვარდი რომ გაქრეს?! —
მე მაინც ვიარსებებ... თვალი დავხუჭე.

— მიხეილ!

მამაჩემი წალდს ლესავდა ჩირკვზე ჩამომჯდარი, თავი ასწია.
— მობრძანდით!

ჩვენი ცეცხლის მეზობელი იყო, მუქი-ლურჯი მაუდის გალიფე, უძი-
როები და გვერდზე აღილული შავი ბლუზი ეცვა, თავზე კარაკულის
ბოხოხი ეხურა. ვიცი, მამაჩემი დიდი ხანია ოცნებობს, ასეთი გალიფე და
უძიროები შეიკვერს. მას რომ უყურებს, ეხარბება. ასე, განსაკუთრებით
ტირილსა და ქორწილში იცვამენ... სტუმარმა შავ, ჩამოფოფხილ ულვაშ-
ზე ხელი დაისვა, წარბი აწევია და ჭიშკარი გააღო.

— გაიგე, — უთხრა მან, — ჩვენი ჯიმშერის ქალიშვილი თხოვდება!

მამაჩემი წამოდგა, სახეზე წყენამ გადაურბინა, ჯიმშერის გოვო მამა-
ჩემს მოსწონდა. ჩვენ საშუალო სკოლა ერთად დავამთავრეთ, შინ უთქ-
ვამთ კიდეც: ასეთი ქალი ოჯახში დიდი ბედნიერებაა. ჩემს გასაგონად
ამბობდნენ... ბევრს მოსწონდა ჯიმშერის გოვო.

— თხოვდება?

— ჰო, კარგ ბიჭს მიჰყავს, მამა დიდი კაცი პყოლია!

მამაჩემს ფერი ეცვალა სახეზე, როგორც ჩანდა, იგრძნო, შვილის ბე-
დი ბევრადაა დამოკიდებული მშობელზე. აბა, ვინ იტყვის ამას; პირს მო-
იწმენდს თითოეული, სიყვარულიაო მთავარი, მაგრამ სარგებელს ეი დაე-
ძებენ... ხმახალლა რომ ვთქვა, მხოლოდ მდიდარ ქალს მოვიყან-მეთქი,
შეიქმნება ერთი ვაი-ვიში, ფული ნდომებია და არა ქალიო. გოვონები
გვერდს შემაქცევენ. იგივე გოგონები კი მდიდარ ბიჭზე იოცნებებენ.

— ქორწილი როდის აქვთ? — პყითხა მამაჩემმა.

— მომავალ შაბათს!

— ოპ, საქმე გადაშევეტილი პქნიათ.

— კი, ბიჭის მშობლები წუხელ იყვნენ! შენი ბიჭი სადაა?

— სასიმინდეში!

— სად?... იქ რას აკეთებს?

— გაიგება?

სასიმინდეს კარი დავხურე. არ მინდა მესმოდეს მათი ხმა. ძნელია
გაიგო, რატომ წევს კაცი სასიმინდეში, ბელა, მერე ვგრძნობ, სული
მესუთება, ჰაერი არ მყოფნის, მაგრამ ვიცი, ეზიში კაცები ლაპარაკობენ
და არ მაინტერესებს გავიგო რას ლაპარაკობენ. მე შევცერი ჭერს და
ვხედავ, ტრიალებს ჰერი, ტრიალებს სასიმინდე, ვტრიალებ მე. ყველა-
ფერი ტრიალებს. წამის მემილიარდედი ნაწილი და... სამყარო საოცარი

სიზუსტითაა მოწყობილი. რა ძნელი წარმოსადგენია, რომ მთელი შენი ცხოვრება ტრიალებ, ხარ სადღაც უსასრულობაში და ტრიალებ. ეს მხოლოდ წარმოდგენაა, თორემ რომ ვიგრძნოთ ვტრიალებთ, ალბათ, ისევ წამის მემილიარდედი ნაწილი... ძალების ღრიალმა გამომარკვია, სასიმინდეს ქვეშ ბურღლაობდნენ. ჩავიჭრიტე, გახრულ ქვალს წატანებოდნენ. ახლა გვერდზე ეგდო და ისინი დასიებული თვალებით კბენდნენ ერთმანეთს. დედახემმა კეტს წარმოავლო ხელი და ძალებს გამოენთო. მე სასიმინდეს კარი შევაღე, გრილი ნიავი შემოიჭრა და მესიამოვნა. მამახემი და მეზობელი კაცი ეზოში ლაპარაკობდნენ. ახლა არ მესმოდა მათი ხმა, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, თითქოს სიყვარულზე ჩურჩულებენო, ისეთი კმაყოფილი სახეები ჰქონდათ.

მახსოვს, იმ კაცის მამამ ბაბუახემი კინაღამ მოკლა. მერე-და, რა ჰქონდათ გასაყოფი?! ჩვენი საყანე მიწები გვერდი-გვერდზეა. ბაბუახემმა შუაზე მესერის ღობე გაავლო, ერთგან სადაც ჭონჭყო იდგა, ნახევარი მეტრი მის მხარეს შეიწია. ატყდა ერთი უბეღურება. ერთ გოჭა მიწასაც არ დავთმობო, სოფელი შეჰყარა, თოფიც გამოიტანა. არა, ბაბუახემისათვის არ უსვრია, მაგრამ მას გულმა უმტყუნა და მეორე დღეს გარდაიცვალა. ჩვენი ოჯახები ძაღლსა და კატასავით გადაეკიდნენ ერთმანეთს. დაკრძალვას მხოლოდ მე დავესწარი. აუარება ხალხი იყო. შიგადაშიგ გაიგონებდი: როგორ გადაყვა კაცი იმ დამპალ მიწას; უკვირდათ, დიახ, უკვირდათ... კუბო საფლავში არ ჩაეტია, მესაფლავეებმა კიდეები ჩაასწორეს და ხამუშ-ხამუშ ჩაუშვეს, მიწა მოაყარეს და... დამთავრდა... თითქოს კაცი არც არსებულიყოს. ათი წელი გავიდა, ჩვენი ოჯახები კარგა ხანია შერიგდნენ, იმ საფლავზე კი კაციშვილი არ დადის. დაავიწყდათ. ასეთი.

ჰო, ასეთ.

მთელი ცხოვრება იბრძვის ადამიანი და... კვდება... წამოვდექი, დაველოდე, ვიღრე ის კაცი წავიღოდა. დედახემმა ოდაში სინათლე აანთო — ეზოში გამოდიოდა მოყვითალო ფერი. სიმარტოვე გულს მაჭლაჯუნსავით შემომაწვა, კიბეზე ჩამოვცოცდი და ოდაში უკანა მხრიდან შევედი. შვება ვიგრძენი, რომ ჩემთვის ვიყავი. მომაგონდა ტყე — მშვენიერ ქალიშვილს გვერდით მივყვები, მინდა ხელი შევახო, ჩაგიშუტო... ახლა ვიგრძენი, რომ დავაშვე. რას იტყვის ის მშვენიერი ქალიშვილი?! ხელები თავში წავიშინე და საწოლზე მივეგდე. სამყარო ტრიალებს, ადამიანი იბრძვის. სიცოცხლე აიძულებს ადამიანს, გააკეთოს ყველაფერი, რისი უნარიც კი გონებას შესწევს. უკვარობის გრძნობა ამოძრავებს... დედა მეძახის, ხმას არ ვიღებ, მერე მეორე ოთახში მამხემი წვება...

სრული სიჩუმეა. უცნაური ხმები მესმის, თითქოს ღამე მელაპარაკებოდეს, თითქოს სამყარო მეძახდეს... ოთახში დავდივარ, თვალწინ ტყე

და შევენიერი ქალიშვილი მესახება. ქალიშვილს ცისკენ მიყენება, ქვე
მოთ — ბაბუაჩემი მესერის ღობეს ავლებს ჭონჭყოს ნაპირს. თვალებს
ვხუჭავ. ახალ სივრცესა და ქვეყნიერებას ვხედავ...

ქალალდი და საწერკალამი ავიღე. თავზე დამათენდა, მამაჩემმა ოთა-
ხის კარები ჯიქურ შემოალო.

— აქ რას აკეთებ?! — დამიყვირა მან.

— ლექსი დავწერე!

— ლექსი?

— ჰო!

— გაგიუდა... გაგიუდა...

ყუმბარასავით გავარდა მამაჩემის ხმა. მთელი სოფელი მოგროვდა
ეზოში. მე გამოვვარდი გარეთ, ხელში ლექსი მიჭირავს და ჰერში ვაფრი-
ალებ, კიბეზე დავეშვი, მოულოდნელობისგან ხალხი შეირხა, მერე ჭიშ-
კართან რომ მივეღი, ვილაცამ დაიძახა:

— გიუი!..

— გიუია, გიუია! — მას სხვებიც აჰყვნენ.

გავრბივარ... ხალხი მომდევი... რაც შეიძლება ჩქარა უნდა გავიწევი,
თორემ... დამიჭირავენ და საავადმყოფოში შემაგდებენ, ვიღას დავუმტკი-
ცებ, რომ გიუი არა ვარ! ორლობის ბოლოში აღმართია, აი, ის აღმართი უნ-
და ავირბინო, უკანასკნელ ძალას ვიკრებ, ხალხის ჩოჩქოლი, შეძახილები
თანდათან მიახლოვდება. ნაბიჯიც რომ შევანელო, დამთავრდა... დამთავ-
რდა... ავიარე აღმართი... საშინელი უფსკრულია... შევკრთი — ნაბიჯი
მარცხნივ, ნაბიჯი მარცხნივ და...

— შეჩერდით ხალხო! — ყვირის ვიღაცა.

ნერი გუმბები

ლერო ასათიანის ყავნილქაცობის შეკიდვები

ლადო ასათიანის¹ ეპისტოლური შემტკიდრეობიდან მისი პოეზიის მოყვარულთ ჩვენი სტუდენტიბის პირველი წლის ნაწერები უკვე გავაცანით.¹ ახლა გთავაზობთ მომდევნო წერილებს, რომლებსაც ახასიათებს ნაცნობი ინტინკაციები, ლადოსეული „ლელვა-დულილი“, განცდის სიმძაფრე — ასათიანური სულისკეთება და ბუნებრივი, უპრეტენზიო ფორმები.

1936 წლის 21 ივნისით არის დათარილებული „ლექსალიცეული კაცის“ (როგორც თვითონ ამბობს) წერილი-ლექსი, ლადოს სულიერი ცხოვრების დრამატიზმს ასე ნათლად რომ ზატავს. იგი დაწერილია საზაფხულო არდადე-გების დასაწყისში, სავსეა სიწმინდის წყურვილით, სიჭაბუქისა და

მეგობრობის ამაღლებული სიყვარულით.

„ნეტარ იყუნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ“.

(სახარება, მათე, გვ. 13.)

* * *

თითქოს დაშვერა გულზე ისრებად ამ განშორების დრო და წუთები, როგორც გიჟავი, ესლაც ისე ვარ, ისევ ვწუხვარ და უიქრებს ვუნდები. ურვა დამაწვა გულზე ლოდვებალ, საფლავებისეკნ ჭმუნვის გზა ადის, სიჭაბუქე ხომ არ მეორდება, როგორც განვლილი დღე და საათი. რად დამივიწყე, მითხარი უკეთ, დაო კეთილო, რად არ ვრცხვებია, ხომ არ გამერალა ეს სიჭაბუქე?.. ვარდებს ფოთლები არ დასცვენია. შენ ახლა, ალბათ, ზიხარ და დედას უყვები სხვაგვარ ჭაბუქის ამბავს. აინის განწვრივ ხეები სხელან, ღრუბელი ზეცის კაბადონს ლაშპავს. და დედაც წყნარი, როგორც თითონ შენ,

1 დასასრული. იხ. „ჭოროხი“ № 4, 1974.

ପାର୍ଶ୍ଵର୍କରେ ତୁମେଲୁଏ, ଯାହାଲୋ ଶ୍ରେଣୀରେ
 କି କି କାହାରେ ଓ ଶ୍ରେଣୀ କିମ୍ବା ମନ୍ଦିରରେ
 ଯେବେଳେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କରୁଥିଲୁବୋ.
 ଅଶ୍ରୁ କାହାରେମିଳା, ଅଶ୍ରୁ କାହାରେ
 ମେଳାଇ, କାହାରେ ଶ୍ରେଣୀରେ, ମେଳାଇ,
 ମନ୍ଦିରରେ ମେଳାଇ କି କି କରୁଥିଲୁବୋ
 ଏବେ ପାର୍ଶ୍ଵର୍କରେ ଯୁକ୍ତାନ୍ତକୁଣ୍ଡଳି,
 ମାଗରାମ ରା ଉପୁର, ପାର୍ଶ୍ଵର୍କରେ ପାର୍ଶ୍ଵର,
 ତୁ ଗ୍ରେଶକର୍ମ, ମେଳାଇରେ ଏହାର କିମ୍ବନ୍ତବେଳ,
 କରୁଥାଇବ କାହାରେ ଏବେ କାହାରେ
 ଅଶ୍ରୁରେ, ଗର୍ଭବନ୍ତିରେ ଏବେ ମିଳିବିଲା ଉପ୍ରେର୍ଣ୍ଣିତ,
 ତୁ କି କାହାରେ, ଶାର୍ଦୁ ଲିଙ୍ଗକୁଣ୍ଡଳ
 କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ
 ଶ୍ରେଣୀରେ, କିମ୍ବିତାକ ଏହା, ପରିଷ୍ଠା, ମେଳାଇ,
 ଶ୍ରେଣୀ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ ଏହା:

„... ნეტარ იყუნენ გლაბაკის
სულითა, რამე თუ მათი არს სა-
სუფეველი ცათა“.

შენი მეგობარი და პატივისმცემელი
ლაში ასათიანი.

ମୋହରୀଙ୍ଗେବୁଣ୍ଡି ଓ ଶୋର୍ବୁଣ୍ଡି ବାଲ୍ମୀ
ମି ଡେଲାଟକ୍ଵେନ୍ସ, ମିଉକ୍ରେଲାପାଇ ପ୍ରକଳ୍ପନ
ଦିବ୍ସ.

მარტინის ასე უთხარი ჩემს მაგივრ, თა-
ხარების ენო:

„ପୁନର୍ବୋଧମାଦ ଶ୍ରେଷ୍ଠାନ, କୁମରାଜ୍ୟରେ ତଥା କୃତିକାରୀ
ମନୋଦୟରେ ନାୟକଙ୍କୁ କୃତିଲ୍ଲାପ, ମନ୍ଦର୍ମତ୍ତାରେ
ରୂପଚକ୍ରଙ୍କଳା ହାୟକ୍ରତ୍ତାରେ“.

డి. ప్రాణరామ.

ଲୋକିରୁ ପାଇଁ ମନ୍ଦିରରେ ଥିଲା.

— „სიცოცხლე ამოძრავებს ჩატორიებს, — წერს ლადა დღიურში, — სიცოცხლე მოგრის ხმაძარლვაან ხიმდერას, სიცოცხლე წილება საუკუნიდან საუკუნეზე, სიცოცხლე დარბის პლანეტიდან პლანეტაზე...“

ლადოს სწამდა ლამაზი, შინაა-
რსიანი სიცოცხლის მარადიულო-
ბა. სწამდა სიცოცხლე პოვზისა-
თვის, სიყვარულისათვას, მეგობ-
რობისათვის. ლადოს მთელი პო-
ვზია და ოვითონ ლადო იმ სიცო-
ცხლით გამოიჩევა, რასაც დი-
დი გალაკტიონი - „სიცოცხლეზე
უტკბოესს“ უწოდებს. მიუხედა-
ვად აებედითი ჭინათვრძნობისა,
ლადომ შესძლო „სიკვდილის ლე-
ქსად გარდაქმნა“ და სიცოცხლის
შეუპოვარი რწმენით უმღერა გა-
ჩენის დღეს:

ରାଜ୍ଯାବଳୀ କିମ୍ବା ରାଜ୍ୟର ପରିଷଦରେ ଏହା ନାମରେ ଉପରେ ଅଧିକାର କରିଛି।

დღიურის საერთო ინტენსუცია
მძაფრი, და მტკიცნეულია. შინაგა-
ნი სულიერი განცდის დრამატიზ-
მი ხომ ლადოს პიროვნებისა და
პოეზიის საერთო თვისებაა. დღი-
ურში ნათლად ჩანს მღელვარე
სულის რომანტიკული იდეალები,
ინტერესების სფერო, თვალსაწი-
ერი.

30 თ ი ლ ი დ ა ო!

იცი... რა.

რაღაც სიცარიელესა ვგრძნობ, თითქოს რაღაც დავკარგვე, თითქოს, ოდესაც შემძღვია აღამინების სიტვებით დალექტჩონება და დაღს აღარ შემიძლია... თითქოს ეს გული ამომგლიკეს, წადლეს სადღაც და მერე, ვვან დამიბრუნეს — გაძარცული და გაკაშრული. ამიტომ მაპატიე, თუ ეს წერილი ერთფეროვანი გამოლენებს; არასოდეს არ მყარებია განმეორება, მე და ტრაფარეტი მუდამ მოსისხარები ვიყავით და მარადუამ ის იყო ჩემი მიზანი განუმეორებელი განმეორება დამეწერა ოდესმე.

სამხრობის უამს რომ ეძახიან, ის დროა... საყვარველად ტრატმანებენ ჩრდილები მწვანეში და გოგირდისფერი ღრუბლები საწიგმარ შეხედულებას აძლევენ შემოგარენს.

ნისლებით... რძისცერი ნისლები...

ეშმაკსაც წულდა ნისლებიც და მზით გამდნარი ნისლების წვიმაც, გულშეზარებულის ცრემლებს რომ მაგონებს.

სიცოცხლე ეძახის აღამინებს, სიცოცხლე ამოძრავებს მატერიებს, სიცოცხლე მდერის გამარჯვების ხმაძარღვიან სიმღრას, სიცოცხლე წვდება საუკუნეებიდან საუკუნეებზე, სიცოცხლე დარბის პლანეტებიდან პლანეტებზე...

სიცოცხლე, სიცოცხლე და ისევ სიცოცხლე.

მაინც, რა უნდა იყოს ეს სიცოცხლე?

სადღაც, ოდესაც (მგონი კოლხიდაში) ნოვის პირას, ერთი უხეირო ნისლით დახურული ქონი იღვა თურმე — ღლითა და შამბნარით შემორკალული. ცხოვრობდა აქ ადამიისხანის ღდეაბერი მზეთვალება ქალიშვილით. შებინდედონდა თუ არა, გამოიტანდა მზეთვალება ჩინგურს (უსაყარლეს და უტკბილეს საკრავს დედამიწაზე) და ჩამოკრავდა ოქროს თითებს ანაზღეულად:

შოუ ნანა... შოუ შვილო...

შოუ, ცისეკნ ფრთაგაშვდილო...

ლეგენდარული ფრინველივით გაიშ-

რიალებდა ეს სიმღერა, ისე ტებილი, როგორც დედის ძუძუ-რძე და უძველე შეყვარებულის ცრემლები.

მეგობარი ვინმე ჰყავდა თურმე მზეთვალებას და ენაბლუობა ისევ სტეოდა მას, როგორც ენამზეობა. პორტკაცს ეძახდნენ თურმე ჭაბუქს — მუდამ მოღუშულსა და წარბგადაუხსნელს.

შოუ ნანა, შოუ შვილო... გაიშრიალებდა რა ჭაბიის ფუნქცე ეს სიმღერა, მოსკვდებოდა პორტკაცის გამახვილებულ სმენას. მოვიდოდა მზეთვალებასთან, დასხედებოდნენ ორთავენი და მღერიდნენ ას საუკუნეს — ათიათასი ვარდის ფურცლობას. ურთიერთისათვის მზესაც დასთმოდნენ. პირს შპანდათ თურმე დილის ცვარი ცერცხლისა დარი, მდინარის პირი სარეკ იყო მათთვის დილის-უამს. მეგობრები იყვნენ თურმე მზეთვალება და ჭაბუქი პორტკაცი. სწამდათ ასე: სიცოცხლე მეგობრობისათვის.

ერთ საღამოს ჩვეულებრივად ჩამოკვრა ჩინგურუზე მზეთვალებამ და ჭაბუქმაც დამღერა ღლევის სიმღერა.

— ტკბილია, შვილო! ჩინგური, ტკბილი! — შეესიტყვა დედაბერი მოსიმღერებებს.

— ტკბილია, დედი! — უპასუხა ქალვაუმა.

— ტკბილია, დედი, სიცოცხლეც, — დაუმატა მზეთვალებამ.

— სიცოცხლე რაია, შვილო? — აზარდა დედაბერი.

— სიცოცხლე ჩვენ ვართ, დედი, — წარმოსთვევა ქალმა და ხელი ჭაბუქისაკენ გაიშვირა.

ლასლასით წამოდგა ადამისხანის დედაბერი. მოხვია თავისი გამხმარი ხელები ქალ-ვაჟს და მეუვესულად გადაკოცნა ორთავენი. მერე აცრემლდა მოხუცი თურმე და ცრემლი მისი იქცა მდინარედ. მდინარემ წაიღო სიმღებდამზრალი ჩინგური ქალ-ვაჟისა და მდინარეც მოტომ მღერის ხმარეულად თურმე პარა-ლეამ.

მერე გაშალა თურმე თმაი და თმაი მისი იქცა ტუედ, მერე გაიძრო თურმე სამოსი და ტანი მისი იქცა ხედ, სამოსი



კი უვაც-ყორნად, ტყეს შეერიცნენ თუ-
რმე ყვანი და ყორანი.

და ჩევა თურმე მერე მშეოვალებას
დედამან ხემან — ჩემი შვილი ხარ, იქმ-
ცი ჩემები — და იქცა მშეოვალებაც
ხედ, ცრემლი მისი მღინარედ, თმაი მისი
რჩედ.

— ჩემი გულის მენახევრე ხარ, იქცია
ჩემები — ჩევა თურმე ქალმან ხემან —
ჭაბუქს პოეტაც. და იქცა ჭაბუქი ხედ,
თმაი მისი ტყედ, ცრემლი მისი მღინა-
რედ.

მას შემდევ დადუმძა თურმე პოეტკა-
ცი — ენაბლუ შეიქმნა. ახლა სამი ზურ-
დგას იმ ნოუს პირას. ერთი — ბებე-
რი და კანდამსედარი, ორი უფრო ყრმა. ბებერი მუხა — დედაბერია (სტირის
და ცრემლების ხდის თურმე ამ მუხას). ყრმა მუხა მშეოვალებაა (მდერის თუ-
რმე ეს მუხა).

მესამე, ყრმა მუხა — პოეტკაცია (თა-
ვის ფოთლებზე სიცილ-ტრირილის წიგნს
სწერს თურმე ეს მუხა) და მერე ამ წიგნს
კითხულობს მთელი ქვეყანა დღენადაგ.

ბებერი მუხის ცრემლში ასეველებას
იგი თავის ფეხებზე ამონაყარ ყლორ-
ტებს და იმით სწერს თურმე. ყვაცყო-
რანი ხელს უშლიანო მას ონავარნი.

— რაითვის შეთხა ამ „გირუამ“ ეს
დევნება რამ, — წარმოსტევამ უცემ,
მაგრამ უმაღ დაწესარდები, რადგან გო-
ნება გზას გაიკვლევს სიტუაციის ტერ-
ში. მეტი რა გითხრა, კეთილი დაო! მე
ექლა რიყებულ დარჩენილ თევზევითა
ვარ, მაგრამ მაინც გიტუვი, გიტუვი და
არ დაიღიწყო: მიქელანჯელოს ჰეითხეს
თურმე: — როგორ მუშაობო? — მან
უბასუსა: — ვილებ ნაქერს შარმარისას,
ვაშორებ ზედმეტის და ვტოვებ აუცილე-
ბელო.

— კი მაგრამ, როგორ უნდა გამოარ-
კეონოთ ნამუშევრის ლირსებაო, — კვლავ
შევითხნენ მას.

— სრულიად უბრალოდ, — უპასუხა
მან, — დაგორეთ ქანდაკება შთიდან და
რაც ზედმეტია, თითონ მოშორდება.

რად დამჭირდა აქ ამის მოტანა? ალ-

ბათ, იმისოთვის, რომ შეიტევა: ჭრულება
— მეცნიერობისათვის, იმისათვის, რომ
თუ ჭედშეტი (თუ კი ასეთი) მოსცილ-
დება ჩევნენ შეცნიერობას (და მეცნიერო-
ბა ხომ ივივე ხელოვნებაა, იგი ივივე:
მარტინის ნაქერია, ხოლო ჩვენ მოქან-
დავენი ვართ) იგი მთიდან კი არა, მარ-
ხედან ჭროსებისაკენ რომ დააგორო,
ისე უცნებლად დაეშვება დედამიწაზე,
რომ არაცერი დააკლდება. წელიწადებს
გაუძლება.

ისურეკოთ ასე ყოფილიყოს.

P. S. ვეცდები შევასრულო შენი
თხოვნა, ვეცდები. მსაყვედურობ. საყვე-
დურები ხანგადასულ ქალებს ჩვევიათ.
შენ კა... მაგრამ საყვედურები მეც საყ-
მაოდ მქონდა; ასე რომ, ეს ვერ გამომი-
ვიდ მთლიად მოქნეული ნოტებამ.

კარგად ვარ. 20-დან ქუთაისში ვიქნე-
ბი. ამ ზატკულში ვმუშაობდი, ვწერდი,
ვწერდი. ვთარებმნ ერთი საბავშვო მოთ-
ხოვბა რუსულიდან, ბუშვინის ლექსები,
მისივე მოთხოვბა „მეტელი“. ძალიან კა-
რგა. მცირია, რაღაც ბედისწერით არ
მითხოვბის ერთ-ერთი გმირის სიცოცხ-
ლის ხასიათი ჩენსას დამსხავსოს. თუ
ჩამოვედი, წაგაკითხებ.

ისე „სამუდაბოდ გამოთხვებაზე“,
თუ „ქალი“ ხარ, ნუ გიყვარს ლაპარაკი,
მე და სხვებს რომ ეწყინება იმიტომ კი
არა, არა ეს კარგი, არა. მე ვთხოვ დე-
დათვეენს ამ სტრიქონებიდან: ამიშა-
ლოს ეს აზრი შენი ცნობიერებიდან.
ჭაბუქარინი, მე მგონია, შევასრულებს
ამას.

შენ ახლა, ალბათ, პონტოს ზღვის პი-
რას ხარ. ამორძალების დედოფალი ხომ
არ გაგონდება. მართლაც, რაოდენი პო-
ეტური ფანტაზია უნდა გქონდეს ადა-
მიანს, რომ სავსებით წარმოიდგინო ხა-
დაცა, ლეგებაც დათის რისხვად მოვ-
ლენილი ამორძალების დადასული დე-
დოფალი. ნეტაც მენახა ხოროშ სილაზე,
ზღვის ნაპირას წამოწოლით, ქებას 80-
ტყოდი დეგრენდარულ მარგენას მისას.

ამორძალების დედოფალადი... პონტოს
ზღვა... ქობულეთი... ჰაი, ჰაი, რომ ჩარ-

თლაც „დეთის ჩისხვა“ — ამორჩალების
დედოფალი.

ეშმაქმაც წაიღოს, რამ მომავონა აქ ეს
უცნაური ქალაბიჭა.

სხვა რაღა ფოქვა: საცვარელ ადამიანს
ნახავო, — მწერ. ეს, ჩემო და...

ჰოდა ასე, კარგად იყავი, თავს მოუა-
რე, რომ სექტომბერში აუცილებლად
ჩამოხვილე ქუთასში.

შენი ბარათი ნ აგვისტოს მივიღე-
მწერ: დაჩქარებით მიპასუხეო და მეც,
მიუხედვად იმისა, რომ აღარ შემიძლია,
აღარ — დავწერე ეს წერილი იმავე
დღესვე.

გულწრფელი და მოკრძალებული სა-
ლამი დედათქვენს და ძმას.

უკეთესი სურვილებით შენი, მარად
შენი მეგობარი

დედო ასათიანი.

სალამი ნაცნობ-, „მეგობარებს“, თუ ვი-
ნე ნახო.

1936.5.8.

ს. ბარდნალა.

1936 წლით არის დათარიღე-
ბული ლექსი „დამავიწყდა... უნ-
და მეთქვა...“ იგი საინტერესოა
მიმართვის ფორმით, ფერით და
კილევ მეტად — აზრით. აქ პოე-
ტის სათქმელი ახშობს ჭუჭყანი
სულის ყოველგვარ ზრახვას, პო-
ეტი კი ჩანს ამაღლებული, ქვეყ-
ნად იმისთვის მოვლენილი, რომ
რწმენა და სიხარული მიაგებოს
ადამიანს, როგორც ბუნების სრუ-
ლემნილებას, ბედნიერებისათვის
გაჩენილს.

ლადოს პოეზიის ერთ-ერთი
დასაბამი მოტივი ადამიანის სიყ-
ვარულია:

ადამიანი, — ეს მშის ამოსტრის გადა-
უამს სიამავით საცხე ულერის გადა-
ადამიანი — მილიონ მგლენის —
მილიონი ხმა და სიმღერაა.

ამ ლექსის, ადამიანზე ამ პიმნის
აკორდად უნდა მივიჩნიოთ ლექსი
„დამავიწყდა... უნდა მეთქვა...“

დამავიწყდა... უნდა მეთქვა...

თეთრი ღამე, მთვარის თენთვა,

ჩრდება ჩუმად ჩრდილოან — ჩრდილი.

მესმის შენი გულის ფეთქვა,

როგორც ახლა, ისე დილით.

დამავიწყდა, უნდა მეთქვა,

მზეა, წყნარი დარ არი,

ვერ დაადნობს შენს სინათლეს

შევი ღამე დარიალის.

ბევრჯერ უთქვამთ სხვებს წინათ ეს,

დამავიწყდა, ვერ გითხარი,

რომ ქარი ღროვებს ატკაცუნებს

და იჩხვა ხე ვით ქალი.

კვლავ გაისმის ვაუკაცური

შენი ხმა და ხმებს კრიალას

მოაქვს ვარდის სურნელებით,

პარდებით და ეკლიანად.

ამ დროს სხელან სულელები

და ცის თალზე პკრეფენ მთვარეს,

დამავიწყდა და ვერ გითხარ,

მზე ვერ დასწვავს, დავ, შენს თვალებს

და იელვებს იგი დიდანას.

დამავიწყდა, უნდა მეთქვა,

როგორც ახლა, ისე დილით

მესმის შენი გულის ფეთქვა,

მიმზერს შენი სახლის ჩრდილი.

1937 წელი ლადოსათვის ხიფა-
თიანი აღმოჩნდა. მაშინდელ თვი-
ონებობასა და უკანონობას ემსხ-
ვერპლა ლადოს დედა, იგი დაპა-
ტიმჩეს და გადასახლეს, აღარც
დაბრუნებულა (ლადოს მშობლე-
ბი: დედა — ლიდა ბათლომეს ასუ-
ლი ცეიტიშვილი, მამა — მელქისე-
დექ გუჯუს ძე ასათიანი პედაგო-

ვები იყვნენ). ინსტიტუტიდან ხალხის მტრის შვილის ყალბი საბაზით გარიცხეს ლადო. რაღა თქმა უნდა, ამ ორ დიდ უბედურებას ლადოს მერჩნობიარე კული საშინლად განიცდიდა. მიუხედავად იმისა, რომ მეგობრებს ერთი წუთითაც არ მიუტოვებიათ, კიდევ უფრო გააძლიერეს ურთიერთობა და ეხმარებოდნენ ყოველმხრივ, ლადო მწუხარებამ შეიპყრო, არღადადეგები ქუთაისში გაატარა, ღვინოს მიერალა და ნაწერებშიც გამოირჩეოდა სულიერი წყლულის ახალი კვალი:

და შე ფიქრებით შენთან მოვედი, დამწუხებული, დადაბლებული, ძმა, მეგობარი, მუჟა, პოეტი, ცხოვრებაში კი გზადაბნეული...

ლადოს დიდ სიყვარულთან ერთად მწუხარებისა და სევდის ღრმა განცდა ახსიათებდა, მაგრამ თავშეუკავებლობის სახითაო ზღვარს არასოდეს გადაცდებოდა. ასე მოხდა მაშინაც.

ერთი წლის შემდეგ ლადო სტუდენტად აღადგინეს, ნება დართეს ჩაებარებინა საქართველოს სესიები და ჩვენს, № 33 ჯგუფს გაპყოლოდა. მან უმოკლეს დროში დაფარა ყველა დავალიანება და შეუდგა სწავლას. ლადო ბევრს კითხულობდა. განსაკუთრებით იტაცებდა ძველი საისტორიო წიგნები და უურნალები, კლასიკოსთა ნაწერები. წიგნს, რომლითაც განსაკუთრებით ააინტერესდებოდა, თან ატარებდა.

ერთ-ერთ გამოცდაზე ლა-

დომ უურნალი H_2SO_4 შეიჭრა და გამომცდელი — ლექტორი ფუტურისტ-ლეფელთა თანამერჩნობი აღმოჩენილიყო და ლადოც ნასიამოვნები ყვებოდა, უურნალმა მექვლეობა გამიშვიაო.

ლადოს ყმაშვილქაცობის ერთეულთ დღიურს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, მომეტებული სევდანარევი განწყობილებები ახასიათებს, მაგრამ მასში მაინც ღვივის სიცოცხლისა და პოეზიის დიდი სიყვარული. პოეტი პირდაპირ ამბობს სათქმელს, ნაფიქრსა და ნაგრძნობს, ამხელს საკუთარ ფიზიკურ და სულიერ ტკივილებს, ეძებს მეგობარს, ნატრობს მასთან მაღლე შეხვედრას. სიმპტომატურია ლადოს სწრაფვა, მაღლე დამტკბარიყო ყველა ამაღლებული სიამით: „...ნეტავ მისოდენა გავზრდილიყავ, — ჭანდრის ხეზე ამბობს, — ქვეყანას გადახვედრავდი და შეიძლება უფრო ადრე მენახა მეგობარი... უბირ ზრახვების თანაზიარიო“. მიუხედავად მოძალებული უამური განწყობილებისა დღიურში „ისევ სიცოცხლეა და სიხარული. სინათლის ჩქერივით ჩამოღვარული“.

სალაში...

რა მოგწერო არ ვიცი...
ეხლა სადამოა...

ვზივარ ჩემს ოთახში (თუ საკანში)... თამბაქოს ვეწევი... ქალაქში ავლისდარი იანგრის ნისლი წევს და უნდა გამიგირდე — ჩემს სულშიაც ნისლია ახლა.

ფოთლებდაცენილი, ტანტიტველა ხეები გულისძმევლელი მარტობით დგანან. დგანან და იმღერიან საბურავშემოხულ ბუნების ჰიმნს. ტანგაძარცული

ნაცრისფერი ხეები, ნაცრისფერი ნისლი, ნაცრისფერი მარტონბა. აი ილუსტრაცია გარემოსა, რომელიც მარტყა ირჩვლოვ.

ჰოდა... ამ ნისლიან გარემოცვაში, კეთილო დაო, მეცხადება აბალონ უფსკრულების შავი ანგელონი.

მეცხადება და მიკიუინებს, დასწერე ჰიმინი ხეებისა, ნისლისა, მარტონბისა.

მიკიუინებს, მაგრამ მე ვერ ვშერ...

დარღისაგან წელმოცვლილს გველის მართვეს დარი კლაკვნა დამტენია და ვწუშვარ, იხე, ვით აქვარიუმში დამტუვ-დეული ოვეზი.

— შენ კარგად იცი, კეთილო დაო, რომ მე არ ვეკუთვნი ახალგაზრდების იმ პლეადას, პირველი შეახილის შემდეგ რომ შეესიტევებიან მეგობარს, თუ სხვას...

ასეთი „უპრინციპო პრინციპიანობა“ არ მჩვევია და არც მყვარებია. ამიტომ არ გაგივირდეს ეს წერილი.

შემია მეგობარმა (მ-იამ) ერთხელ კი-დევ გამანალგურა, მაგრამ... სხვა არა-ვერი.

ისევ სიცოცხლეა და სიხარული.

სინათლის ჩერივით ჩამოლვარული.

რა ვქნა, არ ვიცი... რა მოგწერო, არ ვიცი.

მელანქოლიამ დაიბუდა ჩემს სულში... სიცოცხლისა და სიხარულის ნახევარი გაფრინდა საღღაც.

ღმერთო, რად გამაჩინე ურვიანი და მეოცნები, ვამბობ მე და მარტვილობა შენტრება.

საგართველოში, წინდა ეკლესია რომ არსებობდეს შევევედრებოდი სუკუნის წმინდა გიორგის ჩემი სული წმინდანებთან წაეღო ზეცაში, დაერღვია მათოვის მყუდროება.. ჩემი მძორი კი ლუციურ-რისოვის ეჩუქებია... მაგრამ არ არის.

მეზმანება: შენი ეზოს ვაშლის მაპაგნი და „წითელი მთის“ ეკლესია.

იქნებ შავ საყარაში ღებულობდნენ სულით მარტვილებს, უბირ ზრახვების, მარჩინი სულის თანაზიარებს.

სან მიზანტროპებს, გაუტერიულები ჭრის ბრელეთში.

სან უაზროებს, უბედოებს, სან აზრიანებს.

ა ა ა?

გათავდა...

უკვე გაფრინდა შავი აბალონ-უფსკრულების ანგელონი... და ჩემთან ისევ შემოფრინდა სიცოცხლის მტრედი... მზე ცხელოვალება და სიხარული.

ახლაც არ ვიცი რა მოგწერო, რაც განარო.

ვფიქრობ: დღიურის ნაწილიდან გაგაცნო ერთო.

იანვრის 4. ტრთი თავი დღიურიდან).

ქალაქის ბალი ვინახულე. ჭანდარების ხერვანში ვეკირობა.

უგრი საქართველოს მიწაზე ეცემა-ფიქრი უცხოეთის კაცე-შანტანებში და ხეტიალობა.

ვამბობ: ღმერთო, რაც გამაჩინე უგრებიუ და ავანტგურების მოუვარული, ქვეყნის კიდევმდე რომ მარებიონ სიარული არ მომწყინებლება. მიუვარს ხილუთი და მოულონელი შემთხვევები.

საყვარელ ჭანდართან მივაღწიო. მომწონდა ეგ ადგილი. ადრე სიჭაბუკიდან აქ მიუვარდა დასვენება.

სულს მიმშვიდებდა ქარისაგან ატკე-ბული ჭანდარების რიტმული ქანაობა.

ეხლაც ვინახულე სიჭაბუკის ჩემის ტკბილი თენების სავანე. დასვენება შეწალა.

სის საგარეულთან თეთრად მოელვარე საგანს შევალებ თვალი.

დავიზარე...

ვერცხლით მოხირმული თივთივის ხელთაომანი...

შევჩევითდა...

უყოფანოდ ავიღე და საგარეულო ჩამოვჭერი.

ვჰივარ ჭანდარების ბურვილის ქვეშ და ვფიქრობ: ნეტავ ვინ დაჭიარგა ეს თეთრი ხელისპერანგი. სანთელივით ჩამოქ-

ნილი მარჯვენის პატრონი უნდა ყოფილიყო მისი შესაკუთრება.

ხელოთმანგზე დაღვრილმა ნელსაცხებლის სურნელებამ თავი მატკინა. კვლავ ხავარელულზე ვჰივარ. ვუმზერ ფილქანზე მოლაშლაშე მამაკაცთა და დიაცთა უცნობ სილუტებს და მაინც ამ ხელთათმანის პატრონზე ვფიქრობ:

საცოდავი... ეს იხერი ყინვა და ქარი მაინც არ იყოს... რა ეშველება აბლა მის ფაფუკ ხელს... სიციისაგან დალიბრებულს. უმასლ საკუთარი თავის შემჩრევა, რა ბეღდნა ასეთ წვრილმანებზე ფიქრი. გულახდილად უნდა ვალიარო: არაოდეს, დაბადების დღიდან, მსხვილმანებზე იმდენი არ მიიღიქია, რამდენიც წვრილმანებზე. მუდამ წვრილმანები მაძლევდნენ შთავონებას, წვრილმანები მახელებლნენ...

ახლაც.

შეცხეულად კურადლება ბალის ჭიშკრისაკენ გაიხარა.

საკუთარელ ჭანდარივით აშლოტილმა ჭალწულმა ფრთხილად შემოალო კარეზი. და ჩემი სამყოფლისაკენ გამოემართა.

იქნებ ესაა ამ ხელთათმანის პატრონი, გაფიციქრე უმალ... ცონბისმოყვარეობა რომ არ უშმეჩნეოდა, განდრების წვეროკინებს გავაყოლე თვალი.

— უცნობი ახალგაზრდავ... იქნებ ხელთათმანი?

არეულად შემტერთხა და საქმაოდ მომიახლოდა.

მე თვალი ვეიდე მის ჩამოქნილ ხელებს... სპილენძისებურ აღნავობას და თვალებთან რომ მივაღწიო... პო, სიძალუნევ... რეტდასხმულივით ავბარბაცდი.

თამარ დედოფლის გიშრის თვალები ულაგა წარბებს ქვეშ, კოცონივით მოგიზაზე და მწველი...

ჭალმა შემატუო აღელვება და ლიმილი ვერ შეიყვავა... ბავე გააპო (ასე გასკდება მწიფებ ბრძეული გვიან შემოდგომაზე)... თეთრ კბილებს გამოაჩინს).

— დიახ, მე ვიპოვვ იქვენი ხელის პერანგი, ლამაზო ჭალო. — ვუპასუხე შე და ხელთათმანი გავუშოდე...

სიხარულისაგან ლოყები შეუჭავლდა... ვინაობა მკითხა...

— პოეტი ღეონ ონიანი — პოეზიისა და ხელოვნების მოტრიულიდე... სიყვარულისა და მეგობრობის მაძებარი... ნისლის პერანგივით მოხეტიალე.

— თქვენ?

— მიცნობდეთ, მარგარიტა-მარია-ტორელია, — ტბილად შემეტმიანა და ვასაოცარი ელვარებით მომანათა ბადროს-ოდენა თვალები... მე ჩავიკეცე...

— დავმეგობრდეთ...

— დავმეგობრდეთ, კეთილო მარგარიტა... დავმეგობრდეთ. — ვუპასუხე შე დაწამოდექი.

— ებლა დამე მშვიდობისა, დიდედასას მიმეჩქარის, მადლობა გულთულილი... შეგიძლიათ მნახოთ... ტბის № 2... განმეორებით შემესიტყვა და გამშორდა...

კვლავ საკუთარელზე ჩამოვკექი... სიხარულისაგან არ ვიცოდი რა მექნა. ჭალმა მეგობრობა მთხოვა... მეგობრობა შემომუციცა, მერე რა დროს! ორთქლისა და მანქანების საუკუნეში... როცა ადამიანებს, ჩეცულებრივ, ჭლევთან ერთად სულიერი ჭლევი დრონის, სულიერი ჭლევი ანადგურებს.

მიხაროდა...

იგი საქმაოდ დამშორდა.

ვხედავდი: ირხეოდა მისი ტანი ჭაბის ლერწმის დარად. იგი უკვე თვალს მიეცარა...

უგუნწოდ შევიქენ... უნიასი ფიქრები ამეცვიატა...

— ჭვეუანა ჭაობია, კეთილო ჭალწულო... მე და შენ ლერწმის დერები, ჭაბისაგან ამდერებულნი... აწ სულ შენზე ვიფურებ, კეთილო ჭალმა. — ვლოდლუდებ მე... უსაზომოდ ვეწევი თამბაქოს...

ჩემი საყვარელი ჭანდრის ხე ირხევა.

კვლავ ტანკენარობს.

მე მიყვარს იგი...

ო... ძლიერ მიყვარს...

ნეტავ მისოდენა გაგზრდილიყავი... ჭვეუანას გადავხედვდი და შეიძლება უფრო აღრე მენახე მეგობარი... უბირზრახვების თანაბარი...

და დღემდე თუ მხოლოდ ეს ჭანდარი

მიუვარდა, დღეს მეორე „ქანდარი“ შევიყვარე.

გაიხარე, ჩემო გულო... იფარუატე, სულო ჩემო...

ქანდრები კვლავ ქანაობენ...
ზესინდღა...

შელანქოლიამ დაივანა ჩემს სულში და
არ ვიცი რა ვქნა...

ახ, მარ გალ ით ა!.. მარგალიტა!..

P. S. ხომ უყურებ, აღარც წერა შემიძლია და აღარც ფიქრი. სიმებდამქრალ ჭიანურივით ვსტირი ჩუმად... ეს წერილი რომ დავიწევ, მაშინ ნისლი იყო ქალაქში. ენდა კი თოვლია... ზამთარია... ჩემს სულშიც ზამთარია, ძვირფასო!

კარგად დატოვე ქუთაისი... ახეთი წასვლა ყოველთვის მართებულია. მე მეზარება საუვარელ აღამიანებთან გამოთხვება და ამ შემთხვევაში შეც გაპარვას ვარჩევ.

თუ ვინმებ* წაიკითხოს ეს წერილი, გემუდარები სხვანაირად არ გაიგოს. უნ კარგად მიცნობ... და უნ იყავი ილუსტრატორი...

სხვა რა მოგწერო. ქუთაისში შხოლოდ მე და ბესარიონი ვართ. ჩვენია ახლა ჰეგემონია... ცალკე ამის „აღბათებმა“ მოქლა... ცალკე შუალიისას გამოჩენილმა ყვითურმა მზემ, სიკვდილის ფერები რომ მოაქვს ქვეყნად... ამაზე საშინელი და ამაზრზენი არაფერი მიხილავს ჩემი დაბადების დღიდან... ამ თხუთმეტ დღეს თუ გადავურჩი, მერე აღარ მოვკვდები, აღბათ...

შოთა² წავიდა... გურ არ შევიტყვებივარ...

* ვულგარული „გამოთქმა“, მაგრამ მაპატეებ, გამოთქმა მხოლოდ ვულგარული.

1 ბესარიონ ზონენაშვილი.

2 შოთა ქურიძე.

3 მარიამ ტრაპაძე.

ქ-ნი მარიამი ხომ ჭამისტები და იყო...

მართლა, ეს წერილი გადაეცი მარუსიას... (წასვლის შემდეგ მოვიდა აქ, ინსტრუმეტში). მისამართი არ ვიცი თორები არ „შეგაწუხებდი“. უნ გააგვი მაგის მისამართს?

გოგომ (მ-ამ) მომიქრა მოკლელ „პრიპ დავზური“: „კარგი ბატონ-თქო“ — ასე უთხარი...

მაშ ასე, ნახვამდის... სალაში ყველას, ნაცნობ-მეგობრებს, ვისაც მისწვდეს-თვალი უნი... იყავი კარგად...

მაპატიე, რამეთუ მოსაწყენი შეიქმნა ბარათი ჩემი... მაპატიე...

სალაშით უნი კარგის მსურველი მე-გობარი

ლადო არასოდეს ყოფილა

გრძნობების ტყეობაში, როგორადაც არ უნდა აღზევებულიყო მისი გულისტქმა, გონება მაინც გაიკვლევდა იმედიან, ნათელ გზას. მშვენივრად ამბობს გურამ ასათიანი ლადოს პოეზიაზე: „სრულიად სხვაა განცდა, რომელსაც ჩვენში საკუთარი მწუხარების დათრგუნვით მიღწეული სიცოცხლის, სიხარულის, მარადიული ბრძოლისადა განახლების რწმენა აღძრავს. ასეთი პოეზია სიმხნევის მომნიჭებელია.“

ლადოს პოეზიის ამ საერთო განწყობილებას გამოხატავს მისი ყმაწვილებულის თითქმის ყველა ფურცელი და ესეც „ფრაგმენტე-

ბი რვეულიდან“. ამ გალექსილი წერილით ლადომ 1938 ახალი წელი ძველი სტილით მოგვილოცა.

ეს მოლოცვა ლადოს სტუდენტობის სულის სარკეა. ამ განშეობილებებით წავიდა ლადო ქუთაისიდან თბილისში, წავიდა სიყვარულითა და პოეზიით ანთებუ-

ლი, წავიდა უცოდველი მგოსნის სახელით, კაცი — „მარტოდენ გული და ბაგალლო პატიოსნება“. აქ დაგვივავ წერტილს. ჯერჯერობით რისი პუბლიკაციაც გადავწყვიტე, ეს არის. დარჩა რამდენიმე ლექსი და დღიური, რომლებიც მოგონებასთან ერთად გამოქვეყნდება.

ფრაგმენტები რვეულიდან

ჩემი ალალი სიჭიაბუქის მეგობრებს:
 ნელის, მარის, მარიუსის და სხვებს, თუ
 კი არიან საღმე.

ოქვენ შემაყვარეთ მე სიცოცხლე მზის ბრწყინვალებით,
 არ მიმატოვეთ მასთან და მიუსაფარი,
 ოქვენ შემომხედვეთ ბიბლიური მტრედის თვალებით,
 და მომაგონეთ დედის მიერ ოქმული ჰლაპარი...
 ოქვენ მომაგონეთ დედა ტკბილი, დედა მშობელი,
 ჩემს სასოუმალთან დაჩიქილი გარიურავისას,
 სტიროდა იგი, — თვალზე ცრემლებ შეუშროებელი...
 რა ატირებდა? — ალბათ ბედი თავის ვაუისა.
 გავიდა ხანი, გავიზარდე, და უბედური...
 გავიშერ ქარში, გახარება არვინ მადროვა,
 ჩამიქრა ცეცხლი, მგზნებარება ახალგაზრდული,
 დედაც წავიდა, დაიყარგა და მიმატოვა.
 რა გამოვიდა ოცნებიდან და სიკეთიდან,
 ისევ ისე ვარ, მწუხარებით განახელები
 და მეძახიან შორეული ჩრდილოეთიდან
 სანუგეშებლად გამოწვდილი დედის ხელები.
 მ... მაბატიეთ, მეგობრები, დიდ სიყვარულით
 მისი ხსენება, ვისაც სხვაზე უფრო ვახსოვარ,
 ვისაც აკვნესებს ჩრდილოეთის ცა გაბზარული...
 და ეველრება ჩემს სიცოცხლეს ღმერთს და მაცხოვარს.

* * *

რამდენჯერ, როცა მეგობარს და მოძმეს ვეძებდი...
 სარდაფის კართან, ან სარდაფში დამთენებია,
 ვტიროდი, ვძრწოდი და თავს იმით ვინუგეშებდი
 საქართველოა და ჩემს ირგვლივ ქართველებია.

ლვინის ს შეისაგან და ბედისგან განაწამები...
 ამდევნებია ფიროსმანის ლანდი მოსეტე,
 ოქვენც შეგხვედრივარო, შეგიხედავთ მტრედის თვალებით,
 გიოვამთ: მოხედვე ასათიანს ღმერთო მოხელე.
 მრავალი ვნახვ ამ ქვეყნად და ბევრიც ვიარე,
 აჩვინ გამიღო სამეგობროდ ვულის კარები.
 ვზივარ შავს რაშე მარტოსული და მგლოვიარე,
 უფსკრულებიდან უფსკრულებში მივეჭანები.
 პოეტის ბედი ასეთია: მზე სხივოსნი
 სიცოცხლეშივე ვის აღირსებს ქება-დიდებას,
 სიღუსჭირეში, ოძლობაში კვდება მოსანი,
 სიყვდილის შემდეგ ოქროებზე გაიყიდება.
 ისევ აქა ვარ, საქართველოს ცოდვილ მიწაზე,
 ცრემლების თქვშით დავასველე ლექსთა რვეული,
 როდემდის უნდა ვიყო ჩემი ქვეყანავ ახე!..
 თვალცრემლიანი, უბირი და ვულამლერეული.
 ვიცი: ოცნება ცრემლებსა და წუხილს ვერ მოშლის,
 ოცნება წმინდა, უანგარო, ბევრის მზრახველი,
 მე მაინც მინდა ვიყო თქვენთან, საქართველოში
 და მერქვას ერთი უცოლევლა მვისნის სახელი.
 თუმცა დაზამთრდა ჩემს სულშიც და ველურ ჭენებით,
 ჩემს სიყმაწვილეს შავი რაში წამოეწია,
 მე მაინც არ ვარ ცხოვრებაზე განაწყენები,
 მე მაინც მინდა სიყვარული და პოეზია.

* * *

ნება მომეცით მეგობრებო ჩემი ოცნების,
 მამაპაპურად მოგილოცოთ ახალი წელი,
 იცოცხლეთ დებო, სიყვარულით და საოცრებით,
 აგიძდეთ იგი, რასაც ნატრობთ და რასაც ელით.

ლალო ასათიანი.

1938 წელი, 1/14 იანვარი.

ՀՅԱՅԻ ԵՐԵՎԱՆԻ ԿՐՈ

დიდი მნიშვნელი ს კომპ

წლეულს ქართველი ხალხი აღნიშნავს
ქართული კულტურის გამოჩენილი მოძ-
ვაწის, თავდადებული მამულიშვილის,
დიდი მეცნატის, მწიგნობრისა და პოე-
ტის, ქართლის მეფის ვახტანგ მევეგისს
დაბადების სამასი წლისთაგს. იგი იყო
ქვეყნის არა მარტო პოლიტიკური მესვე-
ური, არამედ მთელი კულტურული საქ-
მიანობის ხელმძღვანელი, მაღალი ინტე-
ლექტის პიროვნება.

ვახტანგ მეუქვესეს ქართლის გამგებ-
ლობა მოუხდა მაშინ, როცა გარეშე
მტრებთან უთანასწორო ბრძოლებში სამ-
სამეფოდ და სამთავროებად დაჭუცმაცე-
ბულ პატარა საქართველოს გამუღმებით
უტევდა ორი უზარმაზარი მაჰმადიანური
სახელმწიფოს — ირანისა და ოსმალეთის
კარები. ამას ემატებოდა შიგაფეოდალუ-
რი აშლილობა და ლეგთა გამუღმებული
უმოსევები.

မိုးကြော်သွားလေ အမိန္ဒ၊ ဒာသံတုန္လာ မြှေ့ချိုးစီး
ဝါယာပြုရှိခိုင်တဲ့ နဲ့ ဖြူမြှောက် နေ့တွင် ဖြူမြှောက်-
လုပောက် အမြှေ့ဆုံးလေ ဆုံးကြတော် လေ စီးပွား
ရေး၊ ဆာမာရေးတော် နဲ့ အလိမ်းပို့ရာ ပြုလုပ်-
စာမျော်ရေး၊ မြေးလွှာပျော်ရေး၊ ရုန်းလုပ်မှု
ဖော်လွှာစိုက် ရုန်းလုပ်မှု ဆုံးကြတော် လေ ဆုံးကြတော်-

ლოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვ-
რებაში.

ვახტანგ მეექვსე ქართლის მეფის ვახტანგ მებუთის (შავანაზის) შვილიშვილი იყო. მამამისს ლევანს ჰყავდა კიდევ ორი შვილი — ქათხოსრო, რომელმაც ორი წელი იშეფა, და რენეგატი იასე (ალიყულიხანი), რომლის ირანოფილურმა პოლიტიკამ დიდი ზიანი მიიყენა საქართველოს, კერძოდ ქართლის სამეფოს.

1703 წელს ქართლის გამგებლად (მე-
ფის მთავრობილები), „კანიშვილის“ წოდე-
ბით, ირანის შაჰმა დანიშვნა ვახტანგ მეე-
ქეს, რომელიც დიდი ენერგიით შეუდ-
გა გარეშე მტრებისაგან, ქსნისა და არა-
გვის ერისთავებისაგან შევიწროებული
ქართლის სამეფო კარის მართვას. სამ-
შობლის ბეღძებ დაფიქრებული და უნ-
რიანი გამგებლის ხელი ცხოვრების ყო-
ველ სფეროს დაეტყო. განსაკუთრებული
ურადღება მიატყო ქვეყნის კულტუ-
რულ საქმიანობასა და შენებლობას. ამ
შენით თავის გარშემო შემოიკრიბა მა-
შინდელი ქართლის პროგრესულად მთა-
ზროვნე საზოგადოების წარმომადგენ-
ლები. ყოველ უნარიან და ნიჭიერ კაცს
შესაფერის საქმეს ავალებდა. მიძინებუ-
ლმა ქართულმა კულტურამ სულ მოკლე

დროში გამოიღვიძა, გაჩალდა შემოქმედებითი მუშაობა, რომელსაც სათავეში ედგა ვახტანგის გამზრდელი, ქართველი ერის მამად წოდებული საბა-სულხან ორბელიანი.

ვახტანგ მეექვსე ყოველმხრივ ხელს უწყობდა გავერანგებული სოფლების აღ-დგენისა და გაშენებას, უდაბურ აღგო-ლებში სარწყავი არხების გაუყანას; მე-ვენახების, მეაბრეშუმებობისა და მესა-ქონლეობის განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას, ქართველი გლეხის მტკაცედ დაუზუდებას მიწაზე. „ოდეს ვაზულმოდგინეთ ხელყავით გამოღმა ხიდურის ბოლოს, ავლავრის სათავეში წყალი შევმატეთ, მერე იქედან გარდა-ვაქივნეთ და სხვა ახალი მოუგონარი და უცილობელი რუ გამოვიდევით და ყიზიყალას ჩაიტანეთ, აქა და მას ზე-ვით, ჩვენი სახასო დიდი ურწყავი მნი-ვრები სარწყავალ გავხადეთ, იმაში შე-ნობა მოვინდუმეთ“, — წერს ისტორიკოსი.

ფასლაულებელია ვახტანგის ღვაწლი ქართული სტამბის გახსნის საქმეში. ქვეყნის მომავალზე მზრუნველმა მეფემ რუმინეთის მმართველს კონსტანტინე ბრინჯოვანუსს და წარმოშობით ქარ-თველს — ანთიმოზ ივერიელს სთხოვა დახმარებოდნენ სტამბის მოწყობაში. მართლაც 1708 წელს რუმინეთიდან თბილიში გამოგზავნეს სტამბის საქმის მცო-დნე, ანთიმოზ ივერიელის მოწავე მიხე-ილ იშტვანვიჩი თავისი მოწავეებით. მი-ხეილ იშტვანვიჩის, ანუ როგორც შემ-დეგ დაერქვა, მიხეილ სტეფანიშვილის — უნგროვლახელის დახმარებით და ვა-ხტანგ მეექვსის თაოსნობით 1709 წელს თბილიში გახსნა სტამბა, რომელშიც დაიბეჭდა „სახარება“, „დავითინი“ და „ბიბლია“. 1711 წელს დაიბეჭდა სასკო-ლო სახელმძღვანელო და 1712 წელს „ვეზნისტყაოსანი“, რომლის რედაქცია გააკეთა თვით ვახტანგ მეექვსემ.

ქვეყნის მოღალატე ფეოდალები, რო-მელთა მიმართ ვახტანგი შემზღვდება პოლიტიკას ატარებდა, ვახტანგის ძმა-თან ერთად ფარულ ინტრიგებს აწყობ-

დნენ და ყოველმხრივ ეპროდნენ, მე-ფინანსების და სამართლის მიმდევად მომზრდებას. იასეს

გახტანგის ძმა იასე (ალიულინანი) ყევთან აბეზლებდა ვახტანგს და სწამე-ბდა ანტიისარსულ მომზრდებას. იასეს გვერდში ედგნენ ქსნისა და არავის ერისთავები. ყავნიაც ვახტანგ შეექვსეს ტახტი ჩამოართვა და იასეს გადასცა. თვით ვახტანგი სპარსეთში წაიყვანეს, ისაპანში გააჩერეს და სჭულის დატო-ვება მოთხოვეს. ვახტანგმა ეს წინადა-დება უარყო, ამისთვის იგი შეურაცხ-უეს და ქირმანში გადასახლეს. გადასა-ხლებაში ვახტანგს ახლდა თვითი აღმზ-რდელი და მასწავლებელი სულხან-საბა-ორბელიანი, რომელიც მან ფარულად, დიპლომატიური დავალებით ევროპაში გამგზავრა.

როგორც ცნობილია, საბას ევროპაში მოგზაურობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ტყვედქმნილი ვახტანგი ნალ-ველს ლიტერატურული საქმიანობით იქ-არგებდა. „სხვა საქმე არა მექნდა რა, ამის შექცევას გამოვეკიდე... თუმცა და-მექლოს რამე, ნუ დამგმობთ, ჩემი ჰირი ქვს ჰერნებოდა, დადგნებოდა, ჩემი ფი-ქრი და ნალველი ზღვის ალაგს აავსებ-დაო“.

დანაღვლიანებულ მეფეს საშობლო-დან ძალიან ცუდი ამბები მოსდიოდა. მან სწორად შეაფასა შექმნილი მდგო-მარეობა, ფორმალურად მიიღო მაპმა-დიანობა, რისთვისაც მას უბოძეს ქარ-თლი, ერანის სბასალარობა, თიგრიზი და ბარდა. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავ-და შაპის ნდობას, სამი წელი კვლავ ირანში დატოვეს ვახტანგი. 1719 წელს ვახტანგმა დაბრუნა ქართლის ტახტი და ახალი ენერგიით შეუდგა საქმიან-ობას. 1722 წელს გარდაიცვალა კახეთის მეფე დავითი, რომელთან კარგ ურთიერ-თობაში იმყოფებოდა ვახტანგ შეექვსე. ორივე მეფე შეთანხმებით მოქმედებდნენ ლეკთა შემოსევების წინააღმდეგ.

კახეთის მეფედ შაპმა დავითის ძმა, სპარსეთში აღზრდილი, ერეკლე პირვე-ლის ბუში კონსტანტინე დანიშნა. კონს-

တိန်ခြင်း လိပ်စာင်း ရွှေ ဆာဒါဝီ တုရှုံးလာလ
နဲ့ ဖျော်လွှာ ချုပ်ကြိုင်း သာနာလ၊ အဂါ လိပ်စာ
ဘဏ်လျော်စာ စာရွေ့ပဲလော်စာ ပျော်ကြိုင်း ပုံစံ့,
ရုက္ခဏာရပါ သာဒါဝီ မိုးကြီး „သွေ့ပိုလိုကြား ဘန်-
လိုင်း“ နဲ့ စိတ် ကိုယ်ကြိုင်း ဆာဒါဝီစာ၏။

სპარსულფილ კონსტანტინესა და ვახტანგ მეგებასეს შორის არასძროს არ ყოფილა კარგი დამკიცებულება, რაც კარგად იცოდნენ შაპის კარზე, საიდანაც ყოველთვის მზადდებოდა შუღლი და ინტრიკები.

ମାଲ୍ଯ, କାର୍ତ୍ତକେଲ ଉୟଦାଳିତା ମୁହକାନ-
ତୁରୀ ସାମିନାନ୍ଦିବ ଫ୍ରାଙ୍କଲିଂଡିତ, ଏହ ମେ-
ଘ୍ୟେ ଶନିରୀ ମେତ୍ରନନ୍ଦ ହିମୋହାରିଲା. ଶୁଲ୍-
ଲୀର ଗମିତ୍ତାବ୍ୟବର ଗାନ୍ଧାରିନ୍ଦ୍ର ସାଧାରଣୀତିର
ସମ୍ବନ୍ଧରେ କାରୀର ନିନ୍ଦିରିଗ୍ରହିଲେ ଅଧିକାରୀଙ୍କ-
ଲା: “ହୀନ୍ଦିଲାହାରିତା ହିମ୍ବନ୍ଦା ଲା କାନ୍ଦେତିଲେ
ଶ୍ରୀ ହିନ୍ଦେବି ଲା ମେତ୍ରନନ୍ଦ ମନୋଦି-
ର୍ଦ୍ଦିଶ୍ଵର”. ମାଲ୍ଯ ଜିନିବ ହରିସତ୍ତାରେ ଶାର୍ମିର,
ଅରାଗବିଲ ହରିସତ୍ତାରେ ଗିନରଙ୍ଗିର, ଏହିଲୀନ-
ନ୍ଦବିମା, ପ୍ରାଚୀଶ୍ଵରିଲୀନ୍ଦବିମା ଲା ଗାନ୍ଧାରିନ୍ଦ୍ରିଲୀନ୍ଦବି-
ମାନ୍ଦିଶ ଶୈତନ୍ତମୁଲୀନ୍ଦବିମା ମନୁଷ୍ୟରେ ଗାନ୍ଧାରିନ୍ଦ୍ର.
କିମ୍ବା ଲାକ୍ଷମିନ୍ଦବିମା ଗାନ୍ଧିଶ୍ଵରିନ୍ଦବିମା ତାଙ୍କ-
ଦିଲୁକ୍ଷିତମାତ୍ର କାର୍ତ୍ତକାନ୍ଦ୍ରାଜିତିଲେ
କାର୍ତ୍ତକାନ୍ଦ୍ରା, ଯାହାଦାଲୀ, ଶାର୍ଜା, ଶିରଙ୍ଗାନି ଲା ଏହ-
ଦାର୍ଯ୍ୟଲୀପ ଶୈତନ୍ତମିଶରା. ଏହ ଶୈତନ୍ତକ୍ଷେତ୍ରିମି, ଏହ-
କାନ୍ଦ୍ରା ସାଙ୍ଗକାନ୍ଦ୍ରା ମେତ୍ରନୀ ଫିନାଲାମନ୍ଦିରରେ କରନ୍ତିରା-
ନ୍ଦିନ୍ଦେଶା ଲା ଗାନ୍ଧାରିନ୍ଦ୍ର ସାଙ୍ଗକାନ୍ଦ୍ରା ମେଘିଶ୍ଵର-
କାନ୍ଦ୍ରା ପିମ୍ବ ସାଙ୍ଗକାନ୍ଦ୍ରା, କ୍ଷେତ୍ରିନ୍ଦ୍ର ପିମ୍ବକାନ୍ଦ୍ରା.

ვახტანგ მეექვსე ერთადედრო გამოსა-
ვალს რუსეთთან კავშირში ექცბდა. სპა-
რსეთში ყოფნის დროს 1715 წელს თავი-
სი ბიძაშვილის დარეკანის (არჩილ მეფის
ქალიშვილის) მეშვეობით იგი შუამდ-
გომლობდა რუსეთის სამეფო კარის წი-
ნაშვე, რომ გაენთავისუფლებიათ იგი
შაპის ტყევეობიდან და რუსეთში მიე-
ღოთ. ცველაფერი ეს იცოდნენ ყავნის
კარზე და ვახტანგს უნდო თვალით უც-
ქროლნენ.

ମାଲ୍ଯ ଶାୟରତେ କୋଣାର୍କୀୟାଶ୍ଵର ଗୋଟାର୍ଗେଦା-
ଶୀ ମନୀଶ୍ଵର୍ବିଲ୍ଲଙ୍ଗାର୍ଜି ପ୍ରେଲିଲ୍ଲେବ୍ରେଡି ମନ୍ଦିର,
ଶେର୍ର୍କ୍ଷ ବିର୍ଜିନ୍ନମା ଶ୍ଵେତାଶତର୍କ ମନୀ ମନ୍ଦି-
ର୍ମ. ଦାଲ୍ରୁଳୀ ଖଲ୍ଗେ ସାନାକିରଣ୍ଗେ ଶେମ-
ନ୍ଧରତା ଏବଂ ତଥାଲି ଅନ୍ଧମାସଗଲ୍ଲେତେ ମାନପ୍ରୀ-
ର୍ଣ୍ଣ. କାଶିନୀ ଖଲ୍ଗେ ସାନାକିରଣ୍ଗେଦି କ୍ଷେତ୍ରଶି-
ହିଂସାଗଲ୍ଲେବାଦ ଶେର୍ର୍କ୍ଷ ଅନ୍ଧମାସଗଲ୍ଲେତ୍ତିଶି କିନ୍ତୁ

რდებოდა ერთგული მოკავშირე და ვახტანგ მეექვეზე უცეოთს ვერავის ნახავდა. სპარსეთის ძლიერების შემსურებას ორივე ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა. პეტრესა და ვახტანგს შორის მოლაპარაკება 1721 წელს წარმატებით დამთავრდა. რუსეთისა და ქართლის ლაშქარი ქალაქ შამხიათან უნდა შეერთებულიყო. მა დროს რუსეთის ჯარი წარმატებით მიიწვევდა სამხრეთით. პეტრემ იერიშით აღო დარუბანდის ციხე-სიმაგრე. მაღლ რუსი და ქართველი მებრძოლები უნდა შეერთებულიყვნენ. მაგრამ რუსეთის წარმატებას ჩრდილო კავკასიაში მეორე მაკმადიანური სახელმწიფო — ოსმალეთი მელის თვალით უცემროდა. ის ამბოხებას აწყობდა ჩრდილო კავკასიაში და ცდილობდა რუსეთის ექსპანსიის შეჩერებას. სპარსეთმა და თურქეთმა სასტიკი მუქარა შემოუთვალეს საქართველოს. ვახტანგმა დარბაზი მოიწვია და ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გადაწყდა საქართველოს ზურგი ექცია მაკმადიანური სამყაროსათვის. ქართლის სამეფო დარბაზის მაშინდედ გადაწყვეტილებას პეტრე და უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, კახტანგი 40 ათასი მეომრით შამქორს დაგვა და პეტრე პირველის მებრძოლების გამოხენის ელოდა. მაგრამ ამავე 722 წლის ოქტომბერში ვახტანგს აცილებს, რომ პეტრე პირველის ლაშქრონი მომავალ წლამდე გადადებული არიო. ამაზე მძიმე და თავზარდამცემი ამავე საქართველოს არასოდეს განუცია. ვახტანგ მეექვეს სასოწარკეთილების ჩავარდა. იგი ორმატებდა ყაენს, იომ „ჩემი კასპიის ბირეთში ლაშქრობა აკანხევი იყო შაპისადმი დახმარების ურვილით და თურქეთის აგრესის აღვეთის ცდილო“, მაგრამ ამან ნაყოფი რ გამოილო. შაპმა ვახტანგი გადააყენა ქართლის ტახტი მამად-ული ხანს კონსტანტინეს) გადასცა. ამ დროს თურქეთის სერასკირი იბრამ-ფუშა ქართში შემოსაჭრელად ემზადებოდა, თითო ვახტანგის დასახმარებლად, სინამდილეში რუსეთთან კავშირისათვის მის ასახველად და ქვეყნის ასახხებლად

მოდიოდა. ლტოლვილი ვახტანგ მეექვსე 1724 წლის ივნისში, თავისი ამალით, 1200 კაცით, გორ-ცინვალ-რაჭის გზით რუსეთში გადავიდა.

თურქი დამპყრობლები თბილის მიუ-ახლოვდნენ. ჭართლის სამეფოს სახლის უკილები შეეყვანენ კუველაფერი ვახტანგისათვის გადაეხმარებიათ და სამეფო კარზე ვახტანგის მორალატე ძმა იასე აღედგინათ. მაგრამ მამად-ყული ხანმა (კონსტანტინემ) 1723 წლის ივნისში თბილისი თურქებს უბრძოლველად ჩააბარა და ქართლში ოსმალთა განკუთხევი ბატონობა დამყარდა. „მოისრა ხშირი ქვეყანა, განდა ვერანად და ტრამალად“. აობრება, დატყვევება, სახლ-კარის გადაბუვება, ნატუსის ახდა, გამცემლობა, მუხანათობა, შური, შავი კირი და ლეკების გამუდმებული შემოსევები იქნებდა ქვეყანას. „საწყალი და დაღუპული საქართველო“, — ეუპნებოდა შემდგომ რუსეთის სამეფოს მესვეურებს ვახტანგ მეექვსე, რომლის ამალაში შედიოდნენ საქართველოს ყოველი კუთხის წარმომადგენლები და მათ შორის 67 წლის საბასულხან რჩდელიანი.

1724 წლის 24 აგვისტოს ვახტანგ მეექვსე ჩავიდა სოლაძის ცხეს, საღაც მას მიეგება რუსეთის სარდალ გაბრიელ კრიპორივი, რომელმაც დიდი პატივით მიიღო მეფე და მისი ამალი. აქედან ვახტანგ მეექვსეს პირდაპირ პეტერბურგში უნდოდა გამგზავრება, მაგრამ იმპერატორის ნებართვა არ დახვდა და ვეღარ გაბედა. სოლაძის ციხიდან მეფემ საჭიროდ ჩათვალა საბა-სულხან იმპერატორთან. საბა პირადად შერილი უნდა ჩაეტანა მოსკოვში დარეკან ბატონიშვილისათვის, რომელიც რუსეთის კარზე ითვლებოდა საქართველოს საქმების საუკეთესო მცოდნედ. საბა-სულხან იმპერატორთან თავისი ძმის ზოსიმესა და სხვა თანმხლები პირებით 1724 წლის 2 სექტემბერს გამგზავრა ასტრახანის გზით მოსკოვში. იგი მოსკოვში ჩავიდა 1724 წლის 6 ნოემბერს და გამოცხადდა საგარეო საქმეთა

კოლეგიის კანტორაში ასტრახანში გუბერნატორის ვოლინსკის ბრძანებულების კოვში საბა და მისი თანმხლები პირები ცხოვრობდნენ ვესევიატსკოეში, დარეზანის სასახლეში.

როგორც ცნობილია, საბა-სულხან ორბელიანი დარეჯანის სასახლეში გარდაიცვალა 1725 წლის 26 იანვარს. მა დღოს ვახტანგ მეექვსე ასტრახანში იმყოფებოდა და საბას ცოცხალს ვერ მიუსწრო. ვახტანგი თავისი ამალით მოსკოვში ჩავიდა 1725 წლის 2 თებერვალს. მან ცოცხალს ვერ მიუსწრო პეტრე პირველსაც, რომელიც საბას სიკვდილის შემდევ ორ დღეში გარდაიცვალა.

მოსკოვში ვახტანგსა და მის ამალას ერთხანს კარგად ეპყრობოდნენ, მაგრამ პეტრე პირველის სიკვდილის შემდევ იმპერატორის კარზე აღმოსავლეთის საკითხი სავსებით მოიხსნა, ვახტანგის იმედები მთლად გაღიაწურა. ვახტანგს მოსთხოვეს ხელი აეღო სამშობლოში დაბრუნებაზე და თავისი ამალით რუსეთის ქეშევრდომობა მიეღო. ვახტანგმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

„მთხოვენ და მიგსცემ ვერავის, მე ვერ ვიტეირთავ ამასა: მე შავუხდინე ქვეყანა, შვილიც გაუცე მამასა?“

უღონოდ ქმნილმა ვახტანგმა მოსკოვი დატოვა. „სჭობს უჭიშელობით სიკვდილი საყვედურითა ჭამასაო“ — თქვა მეფემ და როგორც კერძო პარი ასტრახანში გადასახლდა. ამის შემდეგ ვახტანგ მეექვსეს დიდხანს აღარ უცოცხლია, იგი გარდაიცვალა 1737 წლის 26 მარტს.

დავით გურამიშვილმა, რომელიც არ იყო ქმაყოფილი ვახტანგის პოლიტიკური ხაზით და სამშობლოს დაკარგვით, დადი მწუხარებით გამოიტირა პატრიოტი და ქვეყნის სიკეთისათვის თავდაღებული მფარველი და პატრიონი.

„ვაი, რა ბოძი შაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო“.

მიუხედავად პოლიტიკური მარცხისა, მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო ვახტანგ მეექესის ღვაწლი თავისი ერის წინაშე, როგორც პოეტის, მწიგნობრის, მთარგმნელის, კომენტატორისა და რედაქტორისა. ფასდაუდებელია ის ურომა და გარჯო, რომელიც მან „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემასა და „ქილილა და დამანას“ თარგმნის მოანდომა. მისივე მითოთებით შეიძმია ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორიცაა მამუკა ბარათაშვილის „ჭარია“, ანუ „სწავლა ლექსთა თქმისა“.

ვახტანგ მეექესემ თავისი ლექსებისა და თარგმანების უმეტესი ნაწილი სპარსეთისა და რუსეთში დაწერა, პატივიყრილი, დამკირგბული, გულმოკლული მეცებოების საშინელი სიმწარით იტანდა ბეღის უკურმა ტრიალს და გულზე მოწოდილ კაშანს თავის ლექსებში აქსოვდა.

„დამიმონა კაშანშა,
სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
ნიღველს ვტმარობ მუდამ მელნად,
გულსა ვაწვევ მისად კალმად“.
(„კაშანი“)

ისპაპანში პოეტი დიდი სიყვარულით იკონებდა სამშობლის, ქართლის მომხატლავ მიღმოვებს და თბილის, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა უმდერა.

„რა სჯობს მაისში ტფილისსა,
ცარდი ვარსკვლავებს ესხასა...“
(„სალბუნად გულისა“)

მძიმე სულიერი ტრაგედიის ვითარება-ში პოეტს გულწარმტაც სატრფოლ ეხა-ტებოდა მშობლიური მხარე, რომელსაც მტრები, გამცემლები და მედროვეები მიწასთან ასწორებდნენ. ყველივე ეს შესანიშნავად გამოხატა ლექსში: „რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და“.

სოულის გატუანლობა, სიგლახე, შიმშილი და სიშიშვლე ვახტანგმა ოსტატურად გადმოსცა ელეგიურ ლექსში „ვაი,

სიკვდილ, მწარე სუვლილუ“ უკმობდა შთაგონებით დავით გურამიშვილმა დაწერა ლექსი „გოდება“:

ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლეს ვახტანგი რუსეთის ხანმოკლე ზაფხულს ადარებს, მაგრამ პოეტი პესიმიზმი არ ვარღება და ადამიანებს მოუწოდებს ქეყნად სასაჩვებლო შრომისა და მოლვაშვილისაკენ.

„კაცმან უნდა თავის საქმე ზევლა დეთითა მოივარეოს, ამ სოფელს ხელი ჰყაოს, იქაც ბარგი დაიბარეოს, მოყვარეო და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს, სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა საღმე დარგოს“.
(„შეგონება“)

ამ შემთხვევაში ვახტანგი ნიკოლოზ ბარათაშვილის აფორისტული შეგონების წინამორბედად გვევლინება და მათი პოეტური ნათესაობა აქვარა ხდება. ვახტანგმა თავის პოეზიური ძალიან დიდი ადგილი დაუთმო სამიჯნურო-სატრფიალო მორიგებს და ნათელი პოეტური ფერუბით შეამკო ქალის სხეულის მოხდენილობა და ეთეროვნება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინება მისი „სატრფიალონი“, რომელშიაც იგრძნობა რტაველის გავლენა.

„ღაწვი ვარდად, პირი შროშნად, ტუჩებია გასალალად.
ოვალმელანი, წარბი სათი,
თმა სუმბული, კბილი სრალად,
ყელი ვერცხლი, ძუძუები
ბროლისაგან განათალად,
ტანი ალვად, ხელ-მკლავები
უოლტებია დასაკრძალად“.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში საყველთაოდ ცნობილია ვახტანგის დიდაქტიკური მოტივები. მას ეკუთხნის ბევრი აფორიზმი და საინტერესო აზრები. ვახტანგისეულია ცნობილი აფორიზმები: „თუ ენას კლიტე არა აქვს, ჭი-



შენ ვერ გიცნობდი,

თუმცა მიხმობდი, ვაი...“

სახულისი მომავალი

რია ულხინებელი”; „ვინც მოწაფედ არ ყოფილა, ის მოძღვარი არ იქნების” და „უნაყოფობა ბევრით სჭობს, ბოროტი შვილის ყოლასა“. და სხვა მრავალი.

ვახტანგმა თავისი დიდაქტიკური პოეზიით დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო თაობის პოეტებშე და პირველ რიგში დავით გურამიშვილზე. ვახტანგმა დაამკიდრა ქართულ პოეზიაში ელეგიური ლექსის ჟანრი, რომლისათვის მან გამოიყენა ჩახრუხაული ოცმარცლიანი ლექსის ტიპი, რომლის მაგალითია „ვაი სიკვდილო“.

„მოვჰყევ სოფელსა,
აფის მყოფელსა, ვაი...
განვცხერ, ვიშვებდი,
ვერ გავიშვებდი, ვაი...
მატებო, მაგემა,
არად სარგემა, ვაი..

როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ვახტანგის შემოქმედება და კულტურული მოღვაწეობა ჯერ კიდევ საქმაოდ არ არის შესწავლილი, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაფასებული ის დაუზიარელი, მცლავმოულელი შრომა, რომელიც მან გასწია შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საქმეში.

მოსკოვის ქართულ კოლონია, რომელიც შე-17 საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს დაარსდა ერეკლე პირველის დროს, ვახტანგ მეექვსის დროს კიდევ უფრო გაიზარდა, განმტკიცდა და ნამდვილ კულტურულ ცენტრად იქცა. ამ კოლინიამ დაიდი როლი შეასრულა რუსეთისა და საქართველოს კულტურული და პოლიტიკური დაახლოების საქმეში.

მესამ გეგიძე

ფოლკლორული ტრადიციები რომან „თუთარჩელაში“

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნება და ესთეტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტრადიციისა და ნოვატორობის განუყრელ კავშირს, ტრადიციის როლს რეალისტურ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ნოვატორობასა და ტრადიციას განიხილავს როგორც განვითარების ერთიანი პროცესის ორ მხარეს.

მაგრამ ხშირად გაისმის სკეპტიკური აზრიც, თავს იჩენს ტრადიციისა და ნოვატორობის დაპირისისარების ტენდენცია. ამასთან ივიწყებენ შესანიშნავი ხალხური ზეპირალეტური სიტყვერების ტრადიციას, მაშინ როცა მისი როლი დიდია მხატვრული ლიტერატურის წინაპირობის შექმნაში.

მხატვრულ ლიტერატურაში ფოლკლორული ტრადიცია ვლინდება არა მარტო იმაში, რომ საბჭოთა მწერლები თავიანთ შემოქმედებაში მხატვრულ-გამომსახულობით საშუალებად იყენებენ ცალკეულ ფორმებსა და ხერხებს სატუაციებისა და ხასიათების შექმნისათვის, არამედ იმაშიც, რომ ზოგჯერ ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი ავებულია ფოლკლორულ მასალაშე. ხშირია მავალითები, როცა მხატვრულ ნაწარმოებს საფუძვლად ედება ფოლკლორული მო-

ტივი, ლეგენდა, თქმულება, იგავი და სხვა. ამ მხრივ საინტერესოა ნოდარ წულეისკირის რომანი „თუთარჩელა“.

არ შევუდგებით ამ ნაწარმოების დეტალურ იღეულ-მხატვრულ ანალიზს. ეს არ წარმოადგენს ჩვენს ამოცანას. ჩვენ პირველ ყოვლისა ღავძებნით მასში ლიტერატურულ-ფოლკლორულ პარალელებს, რათა მოვიშველოთ ისინი იმის დასამტკიცებლად, რომ მწერალი თვის შემოქმედებაში უშუალოდ მიმართავს ხალხურ ზეპირსიტყვიერ ტრადიციებს, ესესხება მათ.

ნოდარ წულეისკირის რომანში უხვად არის წარმოადგენილი მითიური თქმულება-გადმოცემები. ეს განსაკუთრებით შეინიშნება ნაწარმოების დასაწყისში. სიმპტომატურია, რომ ავტორი ხშირად ხმარობს სიტყვას „ამბიბენ“. რომანის პირველ ოც გვერდზე ხუთხერ გვევდება ეს სიტყვა და როგორც თვით ნაწარმოების ლიტერატურული ფაქტურა გვარწმუნებს, მას თავისი გარკვეული იდეურ-მხატვრული, სიუჟეტურ-კომპოზიციური გამართლება აქვს.

1 ნ. წულეისკირი, „თუთარჩელა“, „მერანი“, თბ., 1973.

ଓঽৰଣରୀକୁସ୍ତଳି „ଅନ୍ଧେବି“ ମିଗିଲ୍ଲୁପ୍ତାବୁଲି
କି ଏହି ଅନ୍ଧାରା, କି ଏହି ଗମିଜ୍ଞାନାରା, ଏହି କିବା-
ର୍ଥେବାନ ସମ୍ପର୍କରୀବା, ଫାର୍ମସ୍ଯଲି, ଆରାମ୍ଭେଦ
ଏଲ୍ଲାପ ଉପକ୍ରମନବେଙ୍କ ବ୍ୟାଳିବି ମେଖିଶୋଇଗ୍-
ଦାଶି, ହୋଗନ୍ତର ଉଦ୍‌ବେଗେସି ଫଳ୍ପାଲାନର୍ଥୁ-
ଲି ନିମ୍ନମୁଶେବି, ହୋମ୍ବେଲାତା ଗ୍ରେନ୍ଡିସ ଫାର-
ତୁଲି ମିତରଲାଗ୍ନିରୁରୀ ଏହିରୁଗ୍ରେବିଦି ଉପ-
ବେଗେସି ସାଫ୍ଟ୍‌କ୍ଷୁରିଲାଦିନ ବିଷ୍ୟବି, ଡାମାକବିନା-
ଟେକ୍ସେଲାର ଦିନିପ, ହୋମ ମିଶ୍ରହାଲି ତାଙ୍ଗିବ
ହୋମନ୍ଦି ତଥାନବାସ „ଅନ୍ଧିତ“ — କ୍ଷେତ୍ରି
ଦାମାଗଲ୍ପାର-ଫାରତୁଲି, କାନ୍ଦିଶ୍ଵର-ଶ୍ଵାବନ୍ଦୁରି
ମିତରଲାଗ୍ନିରୁରୀ ମନ୍ତ୍ରିଜ୍ଞବିତ ବିଷ୍ୟବି,
ହୋମଲ୍ଲେବିର ମନ୍ତ୍ରିତ୍ଵରୁଲାଭ ଫାରମନଗ୍ରେହିବେନ
ଫାରତୁଲି-ମିତରଲାଗ୍ନିରୁରୀ ବାନ୍ଦନ୍ଦନି.

ქართული მითოლოგიური პანთეონი
ისტორიულ და ფოლკლორულ მეცნიე-
რულ ლიტერატურაში საემაოდ შეწავ-
ლილია ჩვენი გამოჩენილი და სასიქა-
ღულო მეცნიერებაში. ი. ჯავახიშვილის,
ს. ყაზბეგიშვილის, გ. ბარდვევლიძის,
ნ. ხიზანიშვილის, თ. ოჩიაურის, ა. შანი-
ძის, პ. უმიკაშვილის, გ. ჩიქვაცანის,
ე. ვირსალაძის, ს. მაკალათიას და სხვათა
მიერ, დადგენილია მისი ფოლკლორული
ხასიათი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის სე-
რიოზულად შესწავლილი როგორ მოხდა
მისი ტრანსფორმაცია ხალხური პოეზი-
დან ლიტერატურულ დამწერლობაში
და რა გვალენა მოახდინა ამ უკანასკნე-
ლის მხატვრულ-ესთეტიკურ სტული-
ფაზე. ჩვენ ვერ დავასახელებთ ნაშ-
რობის, რომელიც ეძღვნებოდეს ამ სა-
კითხების გამჭუქრებას. აღმათ, ამას ობიე-
ქტური მიზეზებიც აქვთ: დღემდე ქარ-
თული მითოლოგიის სახეები ნაკლებად
იყო ასახულ მხატვრულ ლიტერატურა-
ში, თანამედროვე ქართული სიტუაციაშ-
მული ლიტერატურა არ იძლეოდა დაკ-
ვირცების სამისო მასალას. ნოდარ ჭუ-
ლევისკირის „თუთარჩელა“ ამ მხრივ სა-
სისტარულო გამონაცლისს წარმოადგენს.

ეს „ამბები“ — ეპიზოდებია კოლხურ
მითოლოგიურ ღვთაებათა ისტორიიდან
და გვიხატავენ მითიურ პერსონაჟთა შე-
სახიშვნა სახეებს: მოვარეს, ნათელ ღე-
ღლამერთს, ბეას, თავისუფლებისა და
ომის ღმერთს, მრისხანე თაჩხონს, ბედის-
წერის ღმერთს, ბრძენ მირსს, ტაროსის

მეტერთს — მხარულ ვობს, მწყვეტების
მფარველს, საკვირველ ჭუმას, ნაღიძებთა
და ფრინველთა პატრონს ცოლებმას
მესეფებს, დედამიწის ღმერთს — მო-
რბელ და მოწყალე ნერჩს, სილამაზის
ქალღმერთს, მთვარის ქალშვილს ნანას,
ყვავილთა და იათა ქალღმერთს, ოქროს-
თმიან გრძელებულს ციას. ამთ ერთსინონში
თავთავიანთი ადგილი აქვთ, მაგრამ მათ
შორის ზეცის მშრალნებელი, უზენაესი,
დემიურები მთვარეა, თუთაშია, რომლის
ირგვლივ დანარჩენები იყრიბებიან და
მის ნებასურვილისამებრ იქცევიან.

ისტორიული და ფოლკლორული ქეგ-
ლები გვაჩრმუნებენ, რომ მთვარის კუ-
ლტი საქართველოს კულტებსა და
ტრებებში უძველეს დროიდან, მეტადარე
პატრიარქატის ეპოქიდან მოყოლებული
ფრიად პიბულარული და მიღებული
კოფილა. მთვარის კულტი არანაკლებ
გავრცელებულია კოლხეთში, ამზე
მიგვითოთებენ ხალხში ღღესაც შემორ-
ჩენილი მეგრული ფოლკლორულ-ეთნო-
გრაფიული ტელლარებელი მასალები. მათ
არ შევწლოთ გავლენა არ მოესდინათ
ნ. წულებისკირის შემოქმედებაზე. მშობ-
ლებული ხალხის მეხსიერებაში შემონა-
ხულმა მითოლოგიურ-ფოლკლორულმა
ბარაჟიანმა მასალამ „თუთაჩელაში“
თავისებური, ორიგინალური მხატვრუ-
ლი განზოგადება და ასახვა ჰპოვა.

მთვარის კულტონ დაქაესირებით სა-
მეგრელოში, აღბათ, თავის დროშე
მრავალი რიტუალი, ტერმინი, ცნება და
ზეპირპლოეტური ნაწილოები წარინიშ-
ვა. ახალმა, ძალით დანერგილმა ქრის-
ტიანობამ მათ დაუნდობელი ბრძოლა-
გავრცელებულა კოლხეთში, ამაზე
მათვანი განიდევნა, დაიკარგა, გაერა.
მაგრამ ბევრიც შემორჩა ხალხის მეცნი-
ერებას. ამის შესახებ მოგვითხრობს თა-
ვის რომანში 5. წულეისკირი.

სამეცნიერო მთვარის დაგახშმებას, გაბარენებას, მთვარიან ღამეს თუთარჩელას უწოდებენ. ოუთა ჩელა — ოთრი მთვარეა. „ამბობენ, კალინდარიები „მთვარის კაცები“ იყვნენო. თურმე ოთრი მთვარის ფერდობზე საქართველოში

მთვარის ყველაზე დიდი ტაძარი იდგა. კალანდარიების წინაპრები აქვე, მთის ძირის ცხოვრობდნენ და ტაძარს ემსახურებოდნენ... კალანდარიების წინაპრალი ქადაგები განთქმული იყვნენ თავიანთი მოღაწეობით. სულითა და ხორცით ტაძრისათვის გადაგებული ღამეებს თეთრად ათენებოდნენ და ზეცისკენ ხელაპყრობით, ფანატიკური ექსტაზით წინასწარმეტყველებოდნენ, ცდილობდნენ ყოველგარი განსაცდელი წინასწარ განეჭვრიტათ და ხალხისათვის ეუწყებინათ. ზოგჯერ ამას ახერხებდნენ კიდეც. ტაძრის მსახურთა შორის შეტანა პატივცემული იყვნენ „თუთაშები“. თუთაშს მთვარის მოგდეს ეძახდნენ².

მთვარის დღე — თუთაშია — ოშაბათია. იქ სადაც ხდებოდა მთვარის პატივსაცემად ხალხის შეკრება და რიტუალის შესრულება, „თუთას ტყესა“ და „თუთას მთის“ უწოდებლნენ. „როცა მთვარე თეთრი მთის ერისონს გაუწოდებოდა, თუთაში ტაძრის მრედიდან ხალხს წინ გაუძლევებოდა და თეთრი მთის ფერდობებისაკენ გაემართებოდა. ამ დროს ციდან თეთრ მთაზე გაღმობრძნებოდოდა მთავარი ღვთაება, ზეცის მჩრდებელი — თუთა. ხალხი თუთაშის წინამძღვრობით, ანთებული ჩირალდნებით თეთრი მთის ტყაინ ფერდობებს შეესევოდა... ტყეში ყველაზე დიდ მუხას — ჰყონდიდს ამორჩევდნენ, ხის ძირში თავს მოიყრიდნენ და თუთას შესწირავდნენ მთვარის ფრინველს — მამალს. მამალს მთვარის ფრინველს იმიტომ ეძახდნენ, რომ ისიც თუთაშივით ღამეს ედგა დარაჭად, თუთაშივით მაცნე იყო...“

ჩირალდნებითა და მთვარის სხივებით განათებულ ტყეში მამალს დაკლავდნენ, ბუმბულიანად გაატყავებდნენ, მამლის ფიტულს წითელი ბაფთებით მოკზმავდნენ და ჰყონდიდის კენწეროზე დაკიდებდნენ. ამის შემდეგ კი, ვისაც რა სახოვარი ჰქონდა, ვისაც რა უჭირდა, თუთას მოახსენებდა და შესთხოვდა³.

მთვარისა და სხვა ღმერთებისათვის ლამისოვებს, ოწებას — თავის დებდნენ. როგორც მწერალი გვამცნობს, თანაფა დიდი ღღესასწაული ყოფილა, ის წელიწადში ერთხელ იმართებოდა. ამ ღღესასწაულმა ქრისტიანობაც გამოიარა, ახალი შინაარსით აიგო, მაგრამ სახელი ძეველი შეინარჩუნა. სამეგრელოში ღღეს თანაფა აღდგომაა.

6. წულეისკირის რომანში მოტანილი მითოლოგიური სიუჟეტები და სახეები ქართული მითოლოგიის პირველყოფილი თემური საზოგადოების დარგობრივი ანუ პოლიტიკური პერიოდისანი (ფინი, ამთარი, ოჩოკოჩი და ტყაშმაცა) არიან.

მიუხედავად იმისა, რომ მითოლოგიაში ღვთაებაზე და სასწაულებრივ მოვლენებზე უპირატესად, საუბარი, მანც ამ ფანტასტიკური საყიაროს უთაგულში ჩვეულებრივი ადამიანი დგას და მის გარშემო იყრის თავს ყოველივე. ასეთ მითოლოგიურ-ფოკლორული ნაწარმოების მიზანია რეალური ცხოვრების ამოცნობა და გაუმჯობესება.

წულეისკირისეულ „ამბებშიც“ რეალური ადამიანები და ციური ღვთაებანი ერთად მოქმედებენ და სიტუაციის მიხედვით ან შეელინ ერთმანეთს, ან საწინააღმდეგო საქმეებს ეწევიან. ასეთია რომანში მოთარობილი მწყემსი ბიჭის ოდინასა და სილამაზის ქალღმერთის, შევენიერი ნანას ტრაგიული სიყვარულის ისტორია.

იმ დროს, როცა კოლხები თაყვანს სცემდნენ სხვადასხვა კერპებს, თურმექალმერთ ნანაზე შეევარებული მწყემსი ბიჭი იღონია დაბურულ ტყეში მარტოკა დაეხეტებოდა. „ამბობენ, სიყვარული ადამიანს აბრმავებს. როცა სიყვარული ადამიანს „დაბარმავებს, სწორედ მაშინ იხილავს იგი დიდ სინათლეს.“

სიყვარულით „დაბარმავებული“ ოდინა იმ სინათლეს ეძებდა, მთვარიან ღმევებს დაუმევებოდა, თუთარჩელაში საკუთარი სული გაათიმომა და რა დარწმუნდა, იგი იყო წმინდა, როგორც ბიჭა ბატეანის სული, სუფთა, როგორც მაღალი მთის წყარო, მოინდომა, შერთვოდა მა-

2 იქვე. გვ. 8.

3 იქვე, გვ. 11.

ლალსა და დიდს. დათმო ყოველი მიწიერი, ლანდად, აჩრდილად იქცა და, როგორც მომზარული, თეთრ ღამეებს აეღვანა.

სიყვარულმა თვალი აუხილა თურქე
მეუღლაბნოეს. მან პირველმა გაიგო დაიდი
საიდუმლო, მიაგნო მფარველსა და წი-
ნამძიროლს, ჰეშმარიტ ღმერთს—თუთას
და იგი ორიარა, წავიდა უდაბნოში და
მისთვის ილოცა, აცაკახახებული მიწაზე
წამოწვა და ცას მიუგდო გულისყური.
ციდან ხმა შემოესმა. ეს ღმერთის ხმა
იყო. ოდოიას ზეცის მბრძნებელი ელა-
პარაյებოდა. მბრძნებელმა ასწავლა,
როგორ ეხსნა საკუთარი თავი და მშრო-
მელი ხალხი დაღუპვისაგან, მხოლოდ
მოქმედება, მოძრაობა, ბრძოლა გაუქა-
რებდა გულს ოდოიძს. თუთმ გზა უჩ-
ვენა, გზა გაინათა. ოდოიამ დააგდო
უდაბნო და პიტოსის ჭალებს დაუბრუნ-
და... ოდოიამ ხალხს უამბო თავისი თავ-
გადასავალი, უბრძანა, დაეწვათ კერპები
და ამიტოდან ელოცა მამალმერთისათ-
ვის — თუთმათვის.

მაღლიერმა ხალხმა ახალი ღმერთი —
თუთა იწამა და თეოზ მთაზე... დიდი
ტაძარი ააგო".⁴

ოდინამ ამ ტაძარში განაგრძო თუთას
სამსახური და ღლენიადაგ „ციური ჭეშ-
მარიტების“ ძებნაში იყო“. მის გამო
თურმე მას ხალხმ „თუთაში“ უწოდა. მა-
გრამ ოდინა ადამიანი იყო და მას ამ-
ჟევენიური, მიწიერი გრძნობა და სიყა-
რული არ ასვენებდა და იქით მიისწრა-
ფოდა მისი გული და გონება, საღაც
საყარელი ნანა ეგულებოდა. ოდინამ
მიატოვა თაგისი ხალხი და გადაწყვიტა
მესამე ციდან სატრფოს მოტაცება. თუ-
თას იკარა. „თუთას მოიწონა პოვანი

მწყებსი გიკი და მესაქონლეობრისა და
მოსაცლის ღმერთად — ანთარად აუცილებელი
თხა. ამიტიდან ოდიოს ეჭილებოდა
„ფინი ანთარი“. თუთაში ოდიოა ღმერ-
თად იქცა“.

მაშასადამე, „ქინი ანთარი“, ვნახოთ,
რა როლი ენიჭებოდა მას ქართველ ხა-
ლხთა უძეველეს წარმოლენაში.

օ. Քաղաքնեցվողն ըստ ու թ. ռիհաւրն ուղղական, համ անդարձն հռոլո հայունա-
լուրն ար պատուլս, հռմելում յըրտո
գրամուն մոյշ մոլցելուն. Ցորոյշու, ուս
ձամակասուացելու պատուլս յարտցելուրն
գրամեծն ստացու, պայման մըրտու, անդարձ
առա մարդու Շնուրն, առամեջ գարելուն
և յշուն մուրացելու պատուլս. օ. Քաղա-
քնեցվողն „անդարձն“ պայմանը եղած է ս-
րուլ, „անգարուկս“ դա պահանջն „անդարձն“.
Ես թարմարութան ըստացեցի սայշուն մուրացելունքան. Հայունա-
լուրն ար պատուլս յըրտու յարտցելուրն”.

ზოგი მკლევარი არ ეთანხმება ი. ჯა-
ვაძის ვილიას და თ. ოჩიაურის ვერსიას
და „მოთარის“ ფუნქციას განიხილავს
როგორც მეტისმეტად რეგიონალურსა
და ლიკალურს.

မိပ္ပာဒုလောဒ မျက္လာဒာရတာ အနီရတာ စန္ဒာ-
ဝိပါဝါ အနောရင် မြန်မူလွှာပါ အရာဘဏ်ပါ
သူဆာတော်၊ နာတော်၊ ရာမ မပါ စုရံရာရတွေလ
ပါရတွေခြားပါ ပါရတွေလ အလွှဲလို

5 օց. ջայականման վերաբերյալ, յարությունը յրած
ուժում է, թիզեն 1, թյ-4 գամուց. տեսլու-
սում և առ. Մունիցիպալ տեսլու գամուցը լուծարված,
1951, թիզ. 83.

6. თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმო-
ცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთა-
ანეთში, 1967, გვ. 133-134.

ასლა კი მივმართოთ მშერლის სეულ
აღდიანთა ას და გვახოთ რა ბედი
ეწია მას შემდეგ, რაც ჩვენ ის მივა-
ტოვეთ.

„ლიდქანს იტანჯებოდა სიყვარულის
არაინდა ჟინი ანთარი, დიდქანს ებრძო-
და მიწიერ ვნებებს და ბოლოს გულის
დარღი გრძნეულ ციას გადაუშალა. ციას
მოწონა ახალი ღმერთი — თამაში და
ფიცხი, ღონიერი და თავისი უფალი. ციას
დახმარებით თუთარჩელა ღამეს ოდი-
ნაშ ნანა მესამე ციდან მოიტაცა და მი-
წაზე წამოიყვანა... თუთაშ სწრაფად იხ-
მო ყველა ღმერთი, ერისონშე გაღმობ-
რჩნდა, თავის ოქროს ტახტზე განრის-
ხებული შედგა, ოქროს კვერთი და ქ-
რა მიწას და ბრძანა: „ეინი ანთარი იქ-
ცეს ოჩოქანად, მაცური ცია ტყაშმა-
ფად, ნანა კი მესამე ცია აუბრუნდესო.

საბრალო აღდია ახორციად იქცა და
თეთრი მთის ტყებს მოედო, თუთარჩე-
ლაში დაწყო და თუთარჩელაში დას-
რულდა ოდინას სიყვარული. მას შემ-
დეგ ოდინა — ოჩოქანი ტყაშმაფა ციას
დასდევს. ოქროსთმანი ტყაშმაფა შე-
მაძრჭუნებელი კივილით გაუბრის. ოჩო-
ქანი საშიშია მთვარის მოქცევის ღა-
მეს. როცა მთვარე ციდან გაბრძანდება
და თავის მეუღლეს ბჟას ლოგინში ჩა-
უშვება, ოჩოქანი გაშმაგებული დაეკებს
ტყაშმაფას, თურმე ტყაშმაფა ახორცის
თავის სიყვარულს აგონებს. ცნობაწართ-
ებულს ტყაშმაფა ნანა ჰეგნია. ოქროს-
თმაში წვდება და ყვირილით და კივი-
ლით ტყესა და ველს იკლებენ. ზოგჯერ
მთელი ღამე გრძელდება ორთაბრძოლა.
იტერევა და ილერება ტოტები, ითელე-
ბა ბალაბი, ველური წივილ-კივილი,
ზღლარტნი და ვნებათა ლელვა სოფელ-
საც გამოაღიძებს. სოფლიდან ატყდება
სროლა, შეძახილები, მაგრამ თუ ოჩოქა-
ნია ტყაშმაფას თმაში ხელი წაატანა,
გრძნეული თავს ველარ დააღწევს... თუ
ოჩოქანია საწადელს მიაღწია და დაიმო-
რჩილა, ტყაშმაფას დარღი და მწუხარე-
ბა აიტანს. მთვარიან ღამით სასოწარვე-
ოლი დაბორიალებს ტყეში, დაკდება
მდინარის პირას, ცერის სიმსხო ცრემლ-

სა ღვრის და ჩამოშლილ თმას ვერცხ-
ლის საგრაცელით იყარცხნის. ...მწარედ
პელოვობს, — მას სხეულში ბოროტი
სულია ჩასაფრებული. მოლოგინების
შემდეგ კი მოძებნის მაღალ კლდეს...
სასოწარვეო უკანასკნელად საზარ-
ლად შეჰქივლებს ქვეყნიერებას და ხრა-
მში გადაიჩეხება.“⁷

როგორც ვნახეთ, ნ. წულესკირის
რომაში ფოლკლორული მეტამორფო-
ზის შედეგად გაჩნდა ძეველი ქართული
წარმართული მითოლოგიის კიდევ ორი
მხატვრული სახე, რომლებმაც ნაწარ-
მოებში ვითარეს ტრანსფორმაციის შემ-
დეგი გზა: ოდინა → ჟინი ანთარი →
ოჩოქანი; გრძნეული ცია → ტყაშმაფა.

ვნახოთ რა რიგად არიან ისინი ცნობი-
ლი ქართველ ტომთა წარმოდგენასა და
პოეზიაში.

ხეესურები ნადირთა მფარველ ღვთა-
ებას „ოჩოპინტეს“ ეძახიან. გარე კახე-
თში ამგვარ ღვთაებას „ნადირის ანგე-
ლოზი“ ეწოდება და მისი სახელი „ოჩო-
პინტერე“. სამეგრელოში „ოჩოკანი“
საქმაოდ ცნობილია. აქაური გაღმოცე-
მებით ის ძალიან გავს ჩვეულებრივ ადა-
მიანს, მაგრამ მისგან განსხვავდება
მსხვილი ძარღვებით, სიღილით, ფერით,
თმით, დადის შიშველი. აქც გრძელი და
ბასრი კლანშები.

ქართულ წარმართულ დარბობრივ პან-
ოენში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი
ტყაშმაფას ანუ ტყის მეფეს უკავია.
„ხალხს ეს ღვთაება მომხიბლავ გრძელ-
თმით ჰაეროვან არსებად ჰყავს წარმოდ-
გენილი: ტყის ნადირის მფლობელია და
მასზე დამოკიდებული მონადირის ბე-
დიანობა, თუ უბედობა: თუ უნდა, მო-
ნადირეს ნადირს მოაკვლევინებს, თუ
არა და — ბედს შეუკრავს“.⁸

„მეგრელების წარმოდგენით, ნადირთა
პატრონი „ტყაშმი-მაფა“, ტყის მეფე ღა-

7 6. წულესკირის თუთარჩელა, გვ. 21.

8 ი. ჭავახიშვილი, ქართველი ერის
ისტორია, წიგნი პირველი, მეხუთე გამო-
ცემა, გვ. 95.

მაზი ქალია, რომელსაც ორი გრძელი და ოქროსფერი ნაწნავი აქვს. მონაღირის ბედილბალი გასზეა დამოკიდებული“.⁹

ტყაშმაფა სვანური დალის სახეობაა,
რომელიც მონადირეობის მფარგელი
ღვთაების ფუნქციას ასრულებს. ტყაშ-
მაფა-დალზე ქართულ ზეპირისტყვერე-
ბას მრავალი სხვადასხვა უანრის ნიმუ-
ში შეუქმნია: ეპიკური სიმღერები, ლი-
როვანიკური ლექსები და ბალადები,
სიმღერა - მინიატურები, თქმულებანი,
ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, ლოც-
ვები.

დაკადგინეთ რა მთიური პერსონაჟების თუთას, ტყაშმაფასა და ოჩოქონის ადგილი და მნიშვნელობა ძველ წარმართულ ქართველთა წარმოდგენში, საჭიროა გავარცვიოთ ისიც, თუ რა ესთ-ტიკურ-ფილოსოფიური, იდეურ-კომპოზიციური მნიშვნელობა აქვს მწერლის მიერ გამოყენებულ მითიურ გამდოცემას, რისთვის დატირდა მას თავის ფრიად თანამედროვე მხატვრულ ნაწარმოებს წარუმდღაროს ეგზომ უჩვეულო და მორეული ექსპორტის.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშვნოს, რომ ნ. წულეისკირის მითიურ პერსონა-ებში არაფერია იმჯევენიურისა, არა-არსებულისა, რელიგიურისა. მწერალს არ უცდია „თუთარჩელაში“ რაღაც მისტიურის განვერტა. მისი მითიური ოლიმპი ესთეტიკური ხასიათისა და გამოყენებულია როგორც მხატვრული ხერხი, სინამდვილის, მშვენიერების, კე-თილისა და კაცომოვარების პოეტური ასახვის სამკაულად და უშუალოდ უკავ-შირდება მწერლის იღებულ ჩანაფიქრს. მწერალმა სიმბოლურად ფოლელორული, მითოლოგიური სახეები მიგნებულად გამოიყენა რეალური ტიპების დასახასი-ოთვებოა.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე
შართული ლიტერატურა ხასიათთაბა

ეთივე ური თემებისა და შემოწმებისა
დმი, ადამიანის შინაგანი სამყაროს, სუ-
ლის მოძრაობის დიალექტის ჩვენები-
სადმი შეუნდღებელი ყურადღებით.

ର୍ଗେବା ଶାତ୍ରାର୍ଥିକେ, ବ୍ରଦାର ଲୁପ୍ତବାନ୍ଧୀ, ଏହିଲେ
ଶ୍ଵରାମ ଉତ୍ସବାର୍ଥୀ, ଲାଦନ ମର୍ଯ୍ୟାଳ୍ସିଗୀଲୋ,
ଶୁରାମ ଉତ୍ସବାର୍ଥୀ ଓ ଶ୍ଵର. ଗନ୍ଧିକୋଲାଙ୍ଗେ
ଶାତ୍ରାର୍ଥିକେବିଳେ ଫିନିଶ୍‌ର ଅନ୍ତରୀଳରେ ମରା-
ଲୁପ୍ତ ତାତ୍ତ୍ଵବିଶ୍ଵାଗବ୍ରାନ୍ତିକା, ମିଳି ଶ୍ଵରାଙ୍ଗେ
ଶାତ୍ରାର୍ଥିକେ, ତାତ୍ତ୍ଵବିଶ୍ଵାଗବ୍ରାନ୍ତିକା, ତୁମାନିଠିମ୍ବୀ
ଦା କେଲୁ ଶୁଷ୍ପିଣ୍ଡେକ କ୍ରେଜି କାଳକେବି ଚନ୍ଦ୍ରବିନ୍ଦୁ
କ୍ରମ୍ଭନ୍ଦିଶ୍ଵରାଙ୍ଗେ ଅନ୍ତର୍ଦ୍ଦୟାଳୁ.

ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიული განვითარების მრავალსაჟუნოვან მანძილზე ბევრი შესანიშნავი ეროვნული მორალურ-ეთიკური პრინციპი და ტრადიცია გამოიმუშავა. ქართველი ოდითგანვე განირჩეოდა მაღალი ზნეობრივი, მორალური იდეალებისაჟენ სწრაფვით. ქართველი კაცი რაინდობის, ვაჟკაცობის განსახიერება იყო. ამით ამაყობდა ქართველი, თავი მოსწონდა მას.

ქართველები, სხვა მოძმე ერებთან
ერთად, ჩვენს ქვეყანაში აშენებენ კო-
მუნიციპალიტეტის მიზნების გა-
დასახლებელ და კარგ წარმატებებ-
საც აღწევენ. მაგრამ, ამ უკანასკნელი
ოცი წლის განმავლობაში ჩვენს რეს-
პუბლიკური აღმოცენდა და ჰიბრიტუროფი-
ცული ფორმები მიიღო უარყოფითა ტე-
ნცენტრიებმა, რომელებიც ეწინააღმდეგე-
ბიან ჩვენი ერის შინაგან ბუნებას, ფსი-
ქოლოგიას, მსოფლიმედიდელობას, იდეა-
ლებს.

ამჯერად, ჩვენ არ ვისახავთ ამიცანას, გავარჩიოთ ყველა ნეგატიური მოვლენა, შევეხებით მხოლოდ ადამიანთა ისეთ ურთიერთობას, როგორიცაა მეგობრობა და სიკარიული.

ამ ბოლო დროს ჩეცნის ირგვლივ მომ-
რავლდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც
ჰატიონსან ოჯახში არ შეიშვებიან. ისინი
მსუნავ კატებივით აცეცებენ თვალებს,
ასეისი აფი სულითა და ხორცით ბილ-
წევენ და შეურაცხყოფენ კველაფერს.
მათი დევიზია — სიძვა პირველყოვლი-
ან.

9 ელენე ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1964, გვ. 31.

ასეთი ადამიანები გახდნენ უაღრესად ვოპულარული და დაფასებულიც კი. მათ შესახებ მრავალი გაზირადებული ანგადოტი შეითხზა. ასეთ ადამიანებთან „ჰურის ჭამა“ და მეგობრობა სასახლო გახდა. ოჯახები, დიასახლისები თავს იწონებდნენ ასეთ მამაკაცებთან დასახლებით. და ბოლოს საქმე იქამდე მივიღა, რომ ასეთმა „ოჯახის მეგობრებმა“ გარყვნეს და გათახასირეს ოჯახის სიშინდე, სიპატიოსნე. ცოლი ქმარს ღოლატობდა, ქმარი — ცოლს. მეგობარი მეგობრის ცოლს ეპოტინებოდა, ის კიდევ — მის დას ან შვილს. და ყოველივე ამას „სვეტიკი ტონი“ ეწოდებოდა და არა ღოლატი, მრუშობა, დაცუმულობა. ვინც მათ კრედოს არ იჩიარებდა, ჭორებით სახელს უტეხდნენ, უკეთეს შემთხვევაში ჩამორჩენილის, უკულტუროს, პროგინტილის იარღიყს აერებდნენ და მეშჩანთა სიაში რიცხვდნენ.

ცნებებმა „სიყვარული“, „მეგობარი“, „ოჯახი“, „სამშობლო“ „საქართველო“ რამდენადმე დაკარგეს თავითონთი მნიშვნელობა და ღოზათი, გახდნენ ბანალური და არაფრის მთქმელი, რადგან ისინი მეტწილად ისეთ ადამიანთა შეტყველებაში გვხვდებოდა, ვისაც არაფრი სწამდა შეშმარიტი სიყვარულისა, მეგობრობისა, ერისა თუ ხალხისა.

ქართული ლიტერატურა ყოველთვის გამოიჩინოდა ანტიასახურ, ანტიეროვნულ გამოვლინებათა მიმართ შეურიგებლობით. მას არაერთი მსოფლიო მნიშვნელობის შედევრი შეუქმინა. განსაკუთრებით კი ზნეობის საკითხებზე. შორს რომ არ წავიდეთ, საქართვისია გავიხსნოთ ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“, აკაკის „გამზრდელი“, ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, რომლებმიც გამათრახახდული და შეჩვენებული არიან ძმობის, მეგობრობის ფიცის გამტეხნი. ამ მოტივს ახლებურად, თანამედროვე პოზიციებიდან ავითარებს თვის რომანში ნოდარ წულეისკირი.

ეს ფრიად სოციალური პრობლემა მწერალს მხატვრულად აქვს გახსნილი ერთი ოჯახის წევრთა ურთიერთობის ისტო-

რიაზე დაყრდნობით. რომანის მუსიკური კონფლიქტი აგებულია ცოლ-ქმარ გიორგისა და ანინას და მათი მეგობრის, გვაჩის ურთიერთობის კიდებულებაზე.

გიორგი (გუგუ) კალანდარია გაიზარდა მარტოხელა, ქერივი, გამრჯვე, უაღრესად მართალი და პატიოსანი ქალის ტატუს ხელში. დედის რექსთან ერთად მან შეითვისა პატიოსნება, შრომა, ადამიანისადმი სათუთა დამოკიდებულება. ასეთ საწყისებზე გაზრდილმა დამთარება სამედიცინი ინსტიტუტი, დავაუკაცია როგორც პიროვნება და ჩამოყალიბდა როგორც ექიმი. შეირთო სათნობითა და კდემმოსილებით სავსე ექიმი ქალი ანნა. ჩრდილონათა, ინტერესთა ერთინობის, უსაზღვრო სიყვარულის საფუძველზე შეიქმნა სამაგალითო ოჯახი.

ჩინებული პრაქტიკისა და დახელოვნების შემდეგ ბეღნიერი ცოლ-ქმარი პატარა პირმშოთი ბრუნდებიან შშობლიურ სოფელში. აქ თავდავიწყებით განაგრძობენ საყვარელ საქმეს, საექიმო დამარებას უწევენ ხალხს და უკომპრომისოდ ებრძევიან ჩამორჩენილობასა და უკამსობას.

მაგრამ, როგორც ზლაპარში იტყვიან ხოლმე, ბეღნიერებას ფეხდაფეხ დასდევს უბედურებაც, კეთილს ბოროტი ებრძვის. ამ რომანში უბედურება, ბოროტი ოჯახის ქველი მეგობრის, გვაჩის სახელით გვევლინება. ეს უკანასკნელი გიორგის თანასოფლელი და სიყრმის მეგობარია, მასთან ერთად შეზრდილი და ჭირობაზე. ისიც სწავლობს თბილისში და იურიდიულ სპეციალობას ლებულობს. მაგრამ გიორგისაგან განსხვავებით „ტებება სიცოცხლით“: ქვითობს, დადის ქალებში, ძალადობს და ტეხს აყალ-მაყალს. მას მოსწონს მეგობრის (გუგუს) ცოლი. ანინას სილამაზე არ აძლევს მოსვენებას და ქვენ გრძნობებსა და ინსტინქტებს ცყოლილი, კარგავს ნორმალური ადამიანის სახეს. მართალია, ყოველივე ეგზემურალს აქვს აღწერილი, თოთქვის წმინდა სიყვარულის გრძნობა ადგმევანებს გვაჩის საბედის-წერო ნაბიჯს, მაგრამ ყოველგვარი საქმე

შედევით იზომება და სწორედ გვაჩის
მიერ ჩადენილი დარაშეული იქცა ოჯა-
ხური ტრაგედიის მიზეზად.

იქცეან იქცება გიორგის სულიერი
წამება. მწერალი ხაზს უსვამს თავისი
გმირის, გიორგის ისეთ „ღვთაებრივ სუ-
ლიერ თვისებას“ როგორიცაა სიმშვიდე
და მოთმინება. „სიმშვიდე — მკურნალი,
სიმშვიდე — თილისმა“. მწერალი ამ-
ბობს:

„ღვთაებრივი მშვიდი სულით მოვ-
ლინა საყალანდარიოს გუგუ ექიმი. დიდ-
კალანდარიათაგან ბოძებული სისტემი
გმიგდარი სიმშვიდე სამკურნალო სხვე-
ბივოთ მიაშუქა განერვიანებულ, გაღიზი-
ანებულ კალანდარიებს, თოქოს სიცო-
ცხლის ელექტრი შეუშააუნა, გულში
იმედი ჩასახა“!¹⁰

მაგრამ მორალური ტრამვა იმდენად
დიდა და აუტენტილია, რომ ხორციელ
ადამიანს არ ძალუს მისი უგულვებელ-
ყოფა, გადავიწყება. იქცება გმოუთქმე-
ლი სულიერი ტანგვა უდანაშაულო, წმი-
ნდა, უბიწო ადამიანებისა — გიორგის
(გუგუს), ანინასა და ტატუსი. ისჯება
სიკეთო, მაღლი. გაიბზარი გული, მეგო-
ბარსა და ძმინდაფიცში გაცრუვდა იმედი,
დამსხერა რწევნა ადამიანში. აქტიური
ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდა ხა-
ლისისათვის, საზოგადოებისათვის საჭირო
ადამიანი.

* ბოროტი დარჩა დაუსჯელი, მან გააკე-
თა თავისი ბანძური, მუხანათური საქმე
და მიმიმალი. გვაჩის შერჩა თავისი მიუ-
ტევდებლი საქციელი.

* ჩვენის აზრით, ავტორი აქ დასცილდა
მხატვრულ სიმართლეს, გამოამჟღავნა
გარევეული იღეური ლიბერალიზმი, ვერ
გმოავლინა სათანადო გამბედაობა.

გიორგი ცოლის შეურაცხყოფას დალა-
ტიდ აღქვამს და გულგამოჭმული ჩა-
ქმება, მოეშვება, გაურბის ადამიანებს,
იმათ, ვისი სამსახურიც ყველაზე სასია-
მოვნოდ და სასახელოდ მიაჩნდა.

განმარტოებული გიორგი დავლახდება,

გაველურდება, დამსგავსება ტურქ ტე-
რიკონის, რომელიც (ხალხს გადატეკე-
ბით) მასავით ჰკუშაშლილი თუთა-
ხელაში დაედებს საყვარელ ნანას.

უინი ანთარი, ოჩოვნის, ტყაშმატა, ნა-
ნა, ცია — ფოლკლორული პარალელე-
ბია რომანისეულ ბერსონაჟებისა (ოჩო-
ვნის — გიორგი, ნანა — ანინა).
მათი სიმბოლოებია, რომელთა საშუა-
ლებით მწერალი ახდენს მხატვ-
რული სახეების გამოკვეთას, მოქმედე-
ბის მოტივირებას. მითიური არგი და
ოდიოი ისეთი მხატვრული სახეებია, რო-
მელთა საშუალებით ხდება გიორგის
სხვადასხვა დამახასიათებელი თვისებების
პროცესირება. მიმედ სულიერ განსაკლე-
ლში მყოფ გიორგის მწერალი ჭარმო-
ულგენს სახელოვან წინაპრებს, რომელ-
თა საშუალებით გასცემს პასუხს მის-
კითხვებსა და ეჭვებს. მათთან კამათსა
და დიალოგებში მოწმებება გიორგის აზ-
რებისა და შეხედულებების სიმართლე-
თუ სიყალბე, მისი ფილოსოფიური კრე-
დო.

„მშობლიურო ლანდებო!... მე თქვენ
უკველ ღამე სასოებით გელოდებით,
თქვენი დანახვა იმედს მაძლევს, ძალის
მმატებს, უთქვენოდ მე მტვერი ვარ-
არარაობა, დაზულია ჩემი გონება, დაუ-
ლილია ჩემი სცეული, უაზროდ დავფარ-
ფატებ მღვრიე სივრცეში და უსაზღვ-
როდ მივერი არარაობაში...“

ჩემი სულ სავსეა ეჭვითა და იმედით-
ეჭვით იმიტომ, რომ ურთულეს და უძნე-
ლეს გზებს ვეძებ, იმედით იმიტომ, რომ
ბუნება იძლევა ამ იმედს.

ეჭვით იმიტომ, რომ ვაითუ სიძულ-
ვილმა წალეოს დედაბუდიანად სიცოც-
ხლე და ყოველი მივიდეს იქ, საიდანაც-
მოვიდა.

იმედით იმიტომ, რომ გონება ყოვლის
შემძლეა. ეჭვი იმიტომ, რომ არ ვიცი,
საით მივყავაჩ გონებას, დასასრულისა-
კენ თუ დასაწყისისაკენ...“

როცა თქვენ ჩემთან ხართ, როცა
თქვენ გელაპარაჟებით, ვიღსები იმედით,
ვიღსები რწმენით, ვიღსები სიცოცხლით-



ბრძოლა მწაღიან, ურობა მწაღიან, სიყვარული მწაღიან!..

ღამით სტუმებს შორის კუთხეში არგი და ოდინა დგანან, ოდინა მშვიდად, დინჯად, დაძარწმუნებლად იშევს საუბარს:

სიყვარულმა აგვიზილა თვალები და სიყვარულმა დაგვაბრმავა, ჩვენი სიყვარული არ ყოფილი მხოლოდ ტრიფიალი, ჩვენი სიყვარული იყო ხილვა, წვა და ლტოლვა. როცა ჭეშმარიტი სიყვარულა, უნდა იტანჯოთ, ტანჯვის გზა არის ერთადერთი და სწორი გზა. ტანჯვის გზას მიყვავართ მზისაუკნ“.

ოდინას არგმა ჩამოართვა სიტყვა, წინ წამოდგა და განაგრძო:

„სიყვარული უმაღლესი შემოქმედებაა, ღმერთის სულის გმიროლენაა სიყვარული, აღამიანს ძალა არ შესწევს უარყოს ივი“.

„სიცრუეა! — შესძახა გუგუმ (გოორგიმ)…

„რა არის სიცრუე? — იყითხა მშვიდად არგმა.

„ღმერთიც და სიყვარულიც!“ არც ერთი არსებობს და არც მეორე! ჩვენ აღამიანებმა გამოვაგონეთ ისინი. არა-ფერი არსებობს ამქვეყნად. იყო არარაობა და ქაოსი, იქნება არარაობა და ქაოსი! იქ არაფერია! — შესძახა მან და ცალი ხელი მაღლა აღმართა, — იქ სიბნელეა, სიცარიელე, უწონადობა და სიკვდილი…“

„იქ მზეა! — შეაწევეტინა არგმა.

„მზე? — დაიბნა გუგუ.

„პო მზე, ქაოსიდან და არარაობიდან მზე ანათებს, — თქვა არგმა.“

„არარაობიდან მზე ანათებს?...“

ეს სიმართლეა! ეს სიცადეა! მაგრამ... მზეც ხომ ერთი დღის სიმართლეა... ერთი დღის სიცხადეა... სული კი მარა-დისობას დაექებს“.

„ურწმუნო სული უძლურია სიყვარულისათვის, — ჩაერთა საუბარში ოდინა, — სიყვარულს დიდი რწმენა ჭირდება, ურწმუნო სული მერყევია,

ცვალებადია, სიყვარული კი მწარებელი ერთგულებას მოითხოვს“... 11.

გუგუ შეცა, საყუთარი ნააზრევი, საყუთარი სიტყვები ოდინამ უთხრა, გაუსარდა, სახე გაუნათლა, თვალები აუცილებელდა.

მა შთამზეჭდავი და უსიქოლოგურად მჩაფრი დალოგით მწერალი ასამართლებს ფლიდობას, თვალმაქცობას, ობივატელობას, ადიდებს ადამიანის სულიერ სიმზინდეს, პატიოსნებას, სიყვარულს.

„თეთრი მთა“, „თუთას ტყე“, „თუთარჩელა“ ნაწარმოებში მარტო მითიური ცნებები და პერსონაჟები კი არ არიან, არამედ არალიც, გარემოცაც, ფონიც, საღაც ძირითადად იშლება რომანის მოქმედება.

როგორც გუგედავთ, ნოდარ წულეისკირის მითიურ ამბავს ფოლკლორულ-შემცნებითი ღირებულება და სიუზეტურ-კომპოზიციური ფუნქცია აქვს. უფრო მეტიც, მითი ნაწარმოების ისეთი სიუზეტგარეშე ულემენტია, რომელსაც ლიტერატურის მცოდნეობაში „გაჩარჩება“ (художественное обрамление) ეწოდება. თხრობა რომანში იწყება ზემოსხენებული მითიური ამბით და მთავრდება ანალოგიური რემინისცენცირებული ეპიზოდებით.

ამ მხატვრულ კომპონენტს, პოეტურ ხერხს მწერალი მიმართავს, რათა უფრო ნათელჰყოს ძირითადი კონფლიქტი, კოლიზია, ავესოს, დატვირთოს დიდი აზრით ის მოვლენები და ხასიათები, რომელბიც შემდგომ ნაჩვენები და განსილი იქნება. ამიტომ მითიური „ამბები“ მცირდრ კაშირში არიან ნაწარმოების დიდებულ ტენდენციებთან, რის გამო ნაწარმოების დედააზრი იძენს ლოგიურ სიმართლეს, მხატვრულ მთლიანობასა და დახვეწილობას.

„თუთარჩელაში“ მითიური ამბების გარდა წარმოდგენილია ხალხური ზეპირპოვტური სიტყვეერების სხვადასხვა უანრე-

ში: „შელოცვა,¹² წყელი¹³, ვედრება,¹⁴ მოთქმა,¹⁵ ანდზა,¹⁶ მეტსახელი,¹⁷ ტაბუ,¹⁸ თევზეჭერის წესი¹⁹ და სხვა.

მძაფრმა დრამატულმა კონფლიქტმა ვანაპირობა „თუთარჩელას“ მინორული ტონი, მოითხოვა მოთქმის, ზარის შემოტანა ნაწარმოებში. რომანის მიხედვით მოთქმა თან ახლავს მოქმედების განვითარებას. ასე, მაგალითად, ტანჩა თუ გულმა უგრძნო ტატუს მის ოჯახს მოსალოდნელი ტრაგედია და წინასწარ, მთელი სოფლის გასაგონად წამოიწყო გრძელი მოთქმა. თავისი ქმრის ჩემოდანში მთრთოლვარე ხელებს აფათურებდა, ნელ-ნელა მოქმენდა მისეული ბლუზა, ზარვალი, ქუდი, ქამარი, სათო-თაოდ გულში იხუტებდა, სათითაოდ კოცნიდა, კოცნიდა და ტახტზე აფენდა. „ვაი სკანი ცოდო, ალე! ვაი, ჩქიმი ცოდო, ალე!“²⁰

ასე ნელ-ნელა დაიწყო, თანდათონ აუწია სმას, ჯერ გარდაცვლილი მოიკითხა, როგორ ხარო, შე უბედურო, არც გწყურიაო, არც გშიაო? ვინ გვყავს უცხოობაში პატრიოტი. ეს სიტყვები და აზრები მუსიკალურ ფრაზებში მოაქცია. ყოველი ფრაზა რეფრენით „ვავათი“ დააბოლავა და შექმნა ერთი მთლიანი ნაღვლიანი მუსიკა. „გითქოჭვინსო, ვავა! გითქოთუნსო, ვავა!... მუ ვქიმინა, ვავა! სოვიდა ვავა!...²¹

შემდეგ ქმარს თავისი თავგადასახავალი მოკლედ უამბო. თანდათონ თავდავიწყებით მიყეცა ექსტაზი, წამოიჭრა, ორივე ხელი მაღლა აღმართა — ვაი ჩევენი ბრალი, ალეო! — უჟესა. გული დამწვარი მაქესო, ქვრივი, ძოლილი და უპა-

12 იქვე, გვ. 37, 38.

13 იქვე, გვ. 89.

14 იქვე, გვ. 160, 167, 263.

15 იქვე, გვ. 162, 163, 183, 184, 200.

16 იქვე, გვ. 123, 155, 203.

17 იქვე, გვ. 60, 76, 110.

18 იქვე, გვ. 43.

19 იქვე, გვ. 49.

20 იქვე, გვ. 162.

21 იქვე, გვ. 163.

ტრონო ვარო... შეუარსოში ტარები, ხელი გაშლილმა ჯერ ერთ მხარეს შესტანა დასახული ჩევენი ბრალი ალე! შემდეგ მეორე მხარეს, დაიკრიითა გულხელი და ნელ-ნელა გაუყვა ეზოს, თან გუგუს (გიორგის) ამბის მოყვალის შეუდგა. სასახელო შვილი გაგეზარდია, გენაცვალე, მთელი სოფელი კვირობსო მის საქმეს, გენაცვალე! შევენიერი რძალი გვყავსო, გენაცვალე, შევენიერი შვილის შვილი გვყავსო, გენაცვალე!.. გუგუს ამბავს განსაკუთრებით გულმომწვარი მოთქვამდა ტატუ, რაღაც ბურანში ახვევდა მისი ოჯახის მომავალს — კაცმა არ იცის რა მოვეელისო, გენაცვალე...

ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის თვალსაზრისით სანტერესო რომანში გიორგის თანასოფლელის გუჩის ცხელრის დატირება.

„ჭიშუარში შავებში ჩატული ქალი არადენიმე კაცის თანხლებით შემოვიდა. ქალმა კივილი ასტეხა, ზალიდანც კივილით უბასუხეს, ლაჟადიდან პარტყუს დისშვილი ჩამოვიდა. გუჩის სიკვდილი გვიან გაეგო. შაონანი ქალი დიდის ამბით, მოთქმითა და ზარით მოვიდა. ცალცალკე ცველას მიატირა ზალაში. ნელ-ნელა დაწყნარდნენ, დაცხნენ, წივილკივილიდან კვლავ მოთქმიშე გადაყიდნენ. კუბოს მიუსხდნენ და თავიანთი გულის დარდი ერთმანეთს გადაუშალეს. კი არ ტიროდნენ, გალობდნენ, რაღაც ახალ, მანამდე უცნობ სევდიან სიმღერას უგალობდნენ იმ კვეყნად მიმავალს.“²²

მნიშვნელოვან როლს რომანის ფსიქოლოგიური ანალიზისათვის ასრულებს ვედრება, რომელიც, როგორც მოთქმა ამძაფრებს ნაწარმოების კონფლიქტს, პერსონაჟთა ვნებათა ღელვას, მათ შინაგან, სულიერ განცდის.

შეიტყო რა შვილისა და რძლის თავზე დატეხილი უბედურება, ტატუს „სი-

22 იქვე, გვ. 184.

ნათლე არ აუნთია, ფათურ-ფათურით
მოძებნა ლოგინი და ჩაწვა. ვიღრე ბალი-
შზე თავს დაადებდა, ხელები ზევით აღ-
მართა, სამზადისს ჩაბნელებულ ჭერს მი-
აპყრო ცრემლით სავსე თვალები და
ჩურჩულით სთხოვა წმინდა გიორგის:

„ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი ქუჯი (შვი-
ლიშვილი) ობლობისაგან“.²³

უბედური ტატუ რას არ იზამს, რა
მსხვერპლს არ გაიღებს ოღონდ მისი
ერთადერთი შვილი კვლავ ბედნიერი ნა-
ხოს, ოჯახი აღდგეს. სასოწარკვეთილი

ტატუ ხავსს ეკიდება, შველას ეძებს
ახალ მთვარეს დაინახავს, იშეღი მშეცე-
ბა, შველას ჩესთხოვს: „თუთა ახალი, სი
გაახარი ჩემი სქუა დო მოთა“.²⁴

აღნიშნული ხალხური ზეპირპოეტური
სიტყვიერების ნიმუშების ხვედრითი
წონა ნაწარმოებში არაა ერთნაირი, ზო-
გი ფართოდ, ლალად არის შემოტანილი
თხრობაში, ზოგი — ნაკლებად, მაგრამ
მათი გამოყენების ფაქტი გვანიშნებს
„თუთარჩელას“ მჭიდრო კავშირს ფოლ-
კლორულ ტრადიციებთან.

ბენო ღობორიზონიძე

ს პ ა წ უ რ ა დ ღ მ ი ნ ა შ რ ი მ ი ს მ ი ს ტ ე ტ ი კ ი ს პ ა რ ი გ ლ ე ვ ე ბ ი ს

გამომცემლობა „საბჭოთა აქარამ“ ესთეტიკის პრობლემატიკით დაინტერესებულ მეითხელებს მიაწოდა მკვლევარ ლევან აბაშიძის ნაშრომი — „ესთეტიკური ეტიუდები“ (1975, გვ. 116; რედ. შ. ზოიძე). სარეცენზიო წიგნის დასტამბით გამომცემლობამ გაბეჭდული და მისასამართებელი ნაბიჯი გადადგა; ადგილზევე დაიბეჭდა ბათუმში მომუშავე მკვლევარის წიგნი, რომელიც მეცნიერული ლიტერატურების თვალსაზრისით არავითარ ულივას არ საჭიროებს. კიდევ მეტი, ნაშრომი მთლიანად და საესტებით დგას ესთეტიკის აქტუალური პრობლემების მეცნიერული შესწავლისა და გაშუქების თანამედროვე დონეზე. მართლია, ნაშრომში წმოქრილი ყველა საკითხი ერთნაირა სისრულითა და სილმით არ არის გაშუქებული, შესაძლებელია რიგი საკითხების ავტორისეული გაგება შენიშვნას, ზოგჯერ პრინციპულ კმათხაც იწვევდეს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ „ეტიუდები“ დაწერილია ესთეტიკის პრობლემატიკში საფუძვლიანად განსწავლული მკვლევარის მიერ; ავტორი არც ერთ შემთხვევაში არ მიღის იოლი წინააღმდეგობის გზით; პირიქით,

პრობლემების გარკვევის დროს იგი დაეჭის და პოულობს მთავარ სიძნელეებს, ცდილობს მის არგუმენტირებულყოფებს. ავტორი მეცნიერული კეთილსინდისიერებით აკრიტიკებს მცდარ თუ საეჭივი მოსაზრებებს; ნაშრომში განვითარებულ მოსაზრებათა კრიტიკული შეფასება ხშირად სახავს გზებს ახალი, უფრო გაღრმავებული დასკვნების გამოტანისათვის; ეს კი განსახილველი წიგნის მეცნიერულ ხასიათზე მეტყველებს.

რეცენზიის შესაძლებლობის ფარგლებში წამოქრილ საკითხებს განვითალავთ წიგნში წარმოდგენილი მიმდევრობის მიხედვით. ავტორი უწინარეს ყოვლისა იყვლევს ესთეტიკის საგანს. მართებულად არის აღნიშნული, რომ „ესთეტიკა ფილოსოფიური მეცნიერებაა“ (გვ. 3). მართლაც, ესთეტიკური აზროვნების ისტორიაზე თვალის მიდევნება გვიდასტურებს, რომ ესთეტიკური ოეორებით და სისტემები ყოველთვის ეფუძნებოდა ფილოსოფოს - ესთეტიკისთა მსოფლმხედველობას, გამომდინარეობდა გარკვეული ფილოსოფიური სისტემიდან. ამიტომ არის, რომ ესთეტიკაში, როგორც ფილოსოფიურ დისციპლინაში,

ყოველთვის აისახებოდა და ამჟამადაც
მკვეთრად აისახება მატერიალიზმისა და
იდეალიზმის თანარისტიკულება და ბრძოლა.

ପ୍ରୟେଣ୍ଟ ବସନ୍ତରୀଯିଲ୍ଲ କ୍ଷେତ୍ରଶାସିଲ୍ ଫଳକ-
ଶ୍ଵେତପୁଣ୍ୟଗୀଳିର ପ୍ରତ୍ୟେକିତମା ଏବଂ ସି-
ଦ୍ଧିତରଙ୍ଗେ ଗାନ୍ଧୀଶ୍ଵରରେହେବିଲା, ଖମଲିଲେ
ମିଥ୍ୟଭାବରେ ଉଚ୍ଚତରିକା ଏହିଲେ ମେଘରେହେବା
ଶାଲାପାଶିଲେ (ପ୍ରତ୍ୟେକିତମାରେହେବିଲା) ଶେଷକେ, ଏବଂ
ପରାମର୍ଶକୁ ପାଇଁ ଖମଲିଲେ କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷରେହେବିଲା ତୁଳାଦି-
ନୀ ପରାମର୍ଶକୁ ପାଇଁ ଶେଷକୁ ଲାଗିଲା. ମର-
ଜୀବଶ୍ରଦ୍ଧାରେ ଏହିଲେ ଅନିମିଶ୍ରଲ୍ଲି, ଖମ ଏବଂ
ଅନ୍ୟାନ୍ୟରେ ଶେଷକୁ ପାଇଁ କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷରେହେବିଲା ତୁଳାଦିନୀରେ
ପରାମର୍ଶକୁ ପାଇଁ ଶେଷକୁ ଲାଗିଲା” (୩୩-୩୪) ତୁମରୁ „ଏ ଖମଦି
ନିର୍ମାଣକୁ ଦିଲେ, ଖମ ଉଚ୍ଚତରିକା ଯୁଗେ ଖମଲିଲେ କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷରେହେବିଲା” (୩୫).

დღეალისტურ შექმნაულებათა საპირი-
სპიროდ ნაშროვში ხაზი ესმება ესთე-
ტრუქის ჩასხვისა და განვითარების
ინიციატურ-სოციალურ საფუძველს, მის
კლასობრივ ხასიათს ანტიგრინისტურ სა-
ზოგადოებაში. აცტორის საბოლოო დას-
კვნით „ესთეტიკა არის ფილოსოფიური
მოძღვრება სილამაზისა და გემოგნებას
წესახებ“ (ვგ. 20). თუმცა უნდა ჟეგნიშ-
ნოთ, რომ ჩატარებული კლევა ავტორს
საშუალებას მძლევდა ესთეტიკის საგნის
უფრო კონკრეტული, გაფართოებული და
დასრულებული გამასაზღვრება მოეცა.
მასთან, ესთეტიკის საგნის გარევევის
დროს, და სხვა შემთხვევებისაც, აყტორი,
როგორც წესი, მსჯელობს არა მშეგნიე-
რების, არამედ სილამაზის შესახებ; ალ-
ათ ამიტომ არის, რომ მთელი წიგნის
მანძილზე გვერდი აქვს ალილი ესთეტი-
კურისა და მშეგნიერის, მშეგნიერებისა
და სილამაზის. მიმართება-დამოკიდებუ-
ლების გარკვევას.

სპეციალური თავი ეძღვნება ესთეტიკურის ბუნების გამოკვლევას. მოცემულია ესთეტიკურის გაგებაში სუბიექტურ და ობიექტურ იდეალისტურ თეორიების კრიტიკა; ნაჩვენებია მექანისტური და მშევრტელობითი მატერიალიზმის შეხედულებათა შეზღუდულობანი. ავტორი მიმოიხილავს ესთეტიკურის შესახებ დისკუსიის შედეგებს და მიუთითობს „პრიორნიკებისა“ და „ობზესტრანგი-

ების” თვალსაზრისით ცალმერობაში
(გვ. 23-24); გამოტანილია დატვენი, რომ
„ესთეტიკური თვისებების შინაარსია
არის საზოგადოებრივი, ე. ი. შეიშვენე-
ლობა, შინაარსი, აზრი, — ხოლო ბუნე-
ბრივი თვისება არის ესთეტიკური თვი-
სების მატერიალურად არსებობის ფორ-
მა” (გვ. 25. ის. აგრძელე გვ. 51). უკვევ-
ლია, ავტორის მტკიცება, რომ ადამიანის
გარეშე თვისითავადი ბუნების სილამაზი-
სა და ესთეტიკურობის შესახებ მსჯე-
ლობა უწმობა, იგი სრულიადაც არ
უკვესაბამება მარქსისტული მატერიალი-
ზმის თვალსაზრისის; როგორც ამას ზო-
გიერთი ესთეტიკური ფიქრობს (გვ. 26);
მკლევარის ართებული დასკვნით „ეს-
თეტიკური თვისება... ეს არის ადამიანთა
საზოგადოების ისტორიული განვითარე-
ბის პროცესში, საზოგადოებრივი ცხოვ-
რების პირობებში წარმოშობილი თვისე-
ბა და ახასიათებს მატერიის მორჩაობის-
სოციალური ფორმას” (გვ. 28), რომ „არ
უყიდება ვიმსჯელოთ ობიექტის ესთე-
ტიკურ ღირებულებაზე ადამიანის პრაქ-
ტიკისაგან, სოციალური გარემოსაგან და-
წარსული გამოცდილებისაგან მოწყვე-
ტით” (გვ. 29). სწორედ საზოგადოებრი-
ვი პრაქტიკის პროცესში ხდება გარე-
მოს, საგნის გადამიანურება და ადამი-
ანის არსებითი ძალების გასავარება, რო-
გორც ეს კ. მარქსმა ნათელყო.

(!) მუსიკის გავლენის შესახებ მსჯელობა კურიოზული უცილობაა” (გვ. 36). ასეთ შემთხვევაში დავიწყებულია არსებითი და განმასტლებული თვისობრივი განსხვავება აღამიანის სმენასა და ცხოველის სმენას შორის; „პირველი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შედეგია, მეორე კი ბიოლოგიური განვითარებისა. პირველი სოციალური მოვლენაა, მეორე კი ბუნებრივი” (გვ. 40).

მდიდარი საილუსტრაციო მასალის მოშველიებით ანალოგიური განმაზოგადებელი დასკვნაა გამოტანილი ფერის ესთეტიკური გრძნობის შესახებ. ფერის ზემოქმედებას აღამიანზე აქვთ ფაზიკური და ბიოლოგიური საფუძველი, მაგრამ ფერთა პარმონია, ოფორტუ ესთეტიკური ფენომენი, აღამიანზე (ესთეტიკურ სუბიექტზე) მოქმედებს იმ შინაარსითა და მნიშვნელობით, რასაც იგი იძენს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში (გვ. 42); ასე რომ ბევრადა და ფერთა პარმონიას ესთეტიკურ-სემანტიკური, საკომუნიკაციო-სოციალური შინაარსი გააჩნია.

ორიგინალობით ხასიათდება ავტორის მსჯელობა ესთეტიკური გემონებისა და იდეალის სოციალურ-კლასობრივი შინაარსის, ასევე ეთიკურისა და ესთეტიკურის დამოკიდებულების შესახებ. ნაშრომის 54-ე გვერდზე ვაითხეულობთ: „როგორი ლამაზი სხეულიც არ უნდა ჰქონდეს იდამიანს, მასზე ვერ ვიტყვით ლამაზი აღამიანია, თუ იგი უზნეოდა ამორალურია... სხეულის ვერავითარი სილამაზე ასატანს და მოსათმენს ვერ გახდის ზნეობრივ სიმახინჯეს“. საქმეში ჩახედული მკითხველისათვის გასაგებია, რომ სხეულის სილამაზე, რაც ავტორის მართებული შენიშვნით არსებითად „ბუნების სილამაზეა“, გარინტიას არ იძლევა აღამიანის სულის მშვენიერებაზე; მშვენიერების მაქსიმა კი აღამიანის სულის მშვენიერებაში ვლინდება. ამიტომაც აუცილებელი იყო სილამაზისა და მშვენიერების ერთმანეთისაგან გარჩევა, ამას კი, როგორც მიუუთიერთ, მთელი წიგნის მანძილზე გვერდი აქვს ავლილი. ესთე-

ტიკისა და ესთეტიკურის დამოგვიფტულების აგტორისეული განსაზღვრება ასეთია: „ესთეტიკური იდეალი — იზივე ეთიკური, საზოგადოებრივი იდეალია, განსახიერებული ესთეტიკურ ფორმაში. ამიტომ არ არსებობს არაფიარი ესთეტიკური იდეალი დამოგვიფტული ეთიკური, მორალური, საზოგადოებრივი იდეალი იდეალუბისაგან. ესთეტიკური იდეალი იგვევ სილამაზის იდეალია, მისი შინაარსი ეთიკურია, ფორმა კი ესთეტიკური“ (გვ. 56). უდაოდ ეს განმარტებანი საინტერესო და ანგარიშგასაწევებია; იგი მართებულად უპირისპირდება ჩვენს ესთეტიკურ ლიტერატურაში ბოლო დროს მომძლველებულ მცდარ თვალსაზრისს, რომელიც ეთიკურსა და ესთეტიკურს გამომრიცხელად უპირისპირებს ერთმანეთს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ავტორისეული განმარტებანი შემდგომ გაშლასა და შინაარსობლივ დაზუსტებას საჭიროებდა.

ნაშრომის მესამე განყოფილებაში (გვ. 57-115) ხელოვნება განხილულია, როგორც შემოქმედების ესთეტიკური ფორმა. ტრადიციულ განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც მეცნიერებისა და ხელოვნების შინაარსი იგივეობრივია, განსხვავება მხოლოდ გამოსახვის ფორმაშია — დღეს მარქსისტ ესთეტიკოსთა შორის თითქმის აღარავინ იჩიარებს. თუმცა, როგორც ეს საუცემობის ნაშრომშია ნაჩერები, ერთიანი კრიტიკული თვალსაზრისი ჯერ კიდევ არ არის შემუზავებული, „ეტიულების“ ავტორი გადაჭრით ფიქრობს, რომ მეცნიერებასაგან განსხვავებით ხელოვნების (როგორც ესთეტიკური ფენომენის) საგნის გარჩევევისათვის აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ: „შემეცნების საგნი და ასახვის საგანი“ (გვ. 79); ხელოვნების საგნის ძიება დღემდე უშედეგოდ მთავრდება იმიტომ, რომ „გარევეული არ არის რომელი საგანია საძიებელი: შემეცნების საგანი საგანი თუ ასახვის საგანი“ (იქვე). აღნიშნული მიმართებით ავტორის მსჯელობის განვითარება ასეთია: „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია

ხელოვნებას განიხილავს როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმას და არა როგორც შემცნების ფორმას“ (იქვე). საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმათაგან სინამდგილეს ასახავს და შეიმუცნებს მეცნიერება, ხოლო ხელოვნება ასახვის ფორმას და არა შემცნების, მას გააჩნია ასახვის საგანი და არა შემცნების საგანი; „საზოგადოებრივი ცნობიერების ყოველ ფორმას მართლაც გააჩნია ასახვის საკუთარი საგანი, მაგრამ არა შემცნების საგანი“ (გვ. 80). ხელოვნება სწორედ ასეთი არისო.

ზემოთ ონიშენულიდან გამომდინარე ავტორი უფლებას იტოვებს კითხვა კატეგორიული წესით დასვას: „მაშ რის საფუძველზე აცხადებენ ხელოვნებას შემცნების ფორმად და თანაც მარქ-სიზმ-ლენინიზმის სახელით?“ (გვ. 80). „ეტიულების“ ავტორს უნდა შევვამათოთ თვით კ. მარქსის სახელისა და ავტორიტეტის მოშველიყბით. „პოლიტიკური ეკონომის კრიტიკისათვის“ განთქმულ „წინასიტყვაობაში“ კ. მარქსი კონდენსირებულად გადმოსცემს ისტორიის მატერიალისტურ გაებას (რაც უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივი ცნობიერების საზოგადოებრივი ყოფიერებით განსაზღვრულობაში მდგომარეობას), ჩამოთვლის საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებს (იურიდიული, პოლიტიკური, რელიგიური, ხელოვნებითი, ფილოსოფიური) — „რომელითაც ადამიანები შეიცნობენ ამ (საზოგადოებრივ, ბ. დ.) კონფლიქტს და იბრძვიან მის გადასაწყვეტად“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომისი კრიტიკისათვის, 1953, გვ. 10-11; ხაზგასმა ჩემია). დედანში „Worim sic! die Menschen dieses Konfliktes bewusst werden und ausfechten“ (K. Marx, Zur Kritik der Politischen Ökonomie, Berlin, 1924, გვ. LV-LVI). მარქსიადამ, თარგმანში სიზუსტე დაცულია. იმავე წიგნის „შესავალში“ კ. მარქსი მსჯელობს ცნობიერების სხვადასხვა ფორმებზე, როგორც სამყაროს ათვისების სხვადასხვა წესში (იხ. თასახ.

ქართული ტექსტი, გვ. 282; დას. დედან-ში, გვ. XXXVII). ეკვი არ არის, რომ მარქსიზმის კლასიკოსები ცნობიერები ფრენების ფორმათა დახასიათების დროს სიტყვებს: ასახავს, აითვისებს, შეიმზეცნებს — სინონიმური მნიშვნელობით მოიხმარენ.

ხელოვნება, როგორც ესთეტიკური
ფენომენი ცნობიერების ფორმა სწო-
რედ იძირდო, რომ იგი სინამდვილის
ასახვაზე მეტ ცნობა გა ას წარმოად-
გენს. რა ოქმა უნდა, ეს განსაზღვრება
ზოგადი ხასიათისა და იგი ჯერ კიდევ
არაცერს გვეუბნება ხელოვნების ესთე-
ტიკური არსის შესახებ, მაგრამ *diffe-
rentia specifica*-ს ძიებამ არც ერთ
შემთხვევაში არ უნდა მიგვიყვანოს გან-
საზღვრების ზოგადი მხარის უარყოფამ-
დე. სიძნელე სწორედ მხატვრული ასახ-
ვა-შემცირების საგნის, ამ ასახვის შედე-
გის — ხელოვნების შინაარსისა და ფო-
რმის სპეციფიკის გარევევაში მდგრამარე-
ობს.

ჩევნ საჯესბით მართებულად მიგვაჩინია ავტორის მხრივ საკითხის დასმი: „როდესაც ვინილავთ ხელოვნებას როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთეულთ ფორმას, მაშინ, გამომდინარე შინაარსისა და ფორმის დიალექტიცურ-მატერიალისტური გაგებიდან, უნდა მოიძებნოს ის სპეციფიკური შინაარსი, ის სპეციფიკური საგანი, რომელსაც სწორედ ხელოვნება ასახავს და არა ცნობიერების სხვა რომელიმე ფორმა, რომელიც მოითხოვს სახელდობრ ასახვის მხატვრულ (ესთეტიკურ) ფორმას და ამართლებას ამ უკანასკნელის აუცილებლობას“ (გვ. 78); რომ „სინამდვილის ასახვის“ ... მხატვრული ფორმა (ე. ი. მხატვრული სახე) გამოწვეულია სწორედ ხელოვნების სპეციფიკური ასახვის საგნით“ (გვ. 90). საყითხი სწორად არის დასმული, მაგრამ პრინციპების გარევევაში არევ-დარევა შეაქეს ხელოვნების მიმართ შემცენებისა და ასახვის ცნებების ერთმანეთისაგან პრინციპულ გათაშვას. ავტორი შეის: „ხელოვნება არის საქესბით აზროვნება... აღამინორი შემოქმიდიბის

ესთეტიკური ფორმა და ასახავს (და არა შეიძლება)... სინამდვილისადმი ადამიანის ემოციურ დამოკიდებულებას" (გვ. 81-82). ეს ლოგნებაში კი „ასახვის სავანს წარმოადგენს სინამდვილისადმი ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულება, რაც ფსიქიკური პროცესების ფორმით გვეძლევა გრძნობა-ემოციების სახით“ (გვ. 87). ემოციების, როგორც ფსიქიკური პროცესების შესახებ, გარკვევითა თქმული: „საერთოდ კი ემოციური პროცესები არ განეკუთვნებიან შემეცნებით პროცესებს...“ (გვ. 103). ნუ ვიტვით, რომ აქ კარი ღია რჩება ესთეტიკაში (კერძოდ ხელოვნების ზოგად თეორიაში) ფორმალიზმისათვის, მაგრამ ფსიქოლოგიზმის საფრთხე ხომ გარდუვალია?!

მაშინ როდესაც ხელოვნების ესთეტიკური არსი ემოციებზე დაიყვანება, ემოციები კი „არ განეკუთვნებიან შემეცნებით პროცესებს“ — ესთეტიკას ხელოვნების (როგორც ესთეტიკური ფენომენის) სპეციფიკის კვლევა გადაქვეს ემოციების სფეროში, სადაც კომპეტენტური შეიძლება იყოს და არის კიდევ ფსიქოლოგიის მეცნიერება. მაშასადამე, საკუთარი თვალსაზრისის განვითარებამ ავტორი ლოგიკური აუცილებლობით მიიყვანა ფსიქოლოგიზმის გარდუვალობამდე ესთეტიკში.

გაუგებრობა, როგორც ვთქვით, სათავეს იღებს შემეცნებისა და ასახვის პრინციპულ გათიშვაში. ხელოვნების მიმართ ამ გათიშვის გამართლებისათვის ავტორი მიმართავს ანალოგიას: „შემეცნებას წარმოადგენს არა რელიგია, არამედ მეცნიერება რელიგიური შეგნების წარმოშობა-განეითარების შესახებ; შემეცნებას წარმოადგენს არა ზნეობა (მორალი), არამედ ეთიკა, როგორც მეცნიერება ზნეობრივი შეგნების წარმოშობა-განეითარების შესახებ. შემეცნებას წარმოადგენს არა ხელოვნება, არამედ მეცნიერება ხელოვნების შესახებ“ (გვ. 80-81). აქ როგორ საკითხი, რომელიც ხელოვნების მიმართ უნდა გადაწყვეტილყო, გადატანილია სხვა სიბრ-

ტყეზე, სადაც იგი სრულიადაც პრიცენტულია თქმება იმ სიცხალითა და ერთმწიფებულოვანი გარკვეულობით, რომელიც „ეტიუდებში“ განვითარებულ თვალსაზრისს გაამაგრებდა. ცნობიერების ანიზნული ფორმების მიმართ ნაშრომში მარტივი წესით გაკეთებულია განმაზოგადებელი დასკვნა, რომ ისინი ასახვის ფორმებია და არა შემეცნების ფორმები.

არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ რელიგია არის სინამდვილის ყალბი, დამატინჯებული ასახვა — შემეცნება; ეს დებულება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მეცნიერული ათეიზმის არსებობის ფაქტს. ასევე, ეთიკის მეცნიერების არსებობა სრულიადაც არ უძირისპირდება ზნეობრივი შეგნებისა და ამ შეგნების გამომქმედ მსჯელობის შემეცნებით ხასიათს. ეთიკის ცნობილი სპეციალისტი პროფ. გ. ბანძელაძე მართებულად განმარტავს, რომ „ეთიკის საგანი — ზნეობა არა მეცნიერება“; „ვაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ზნეობრივი მსჯელობა მოკლებულია მეცნიერულ ლიტებულებას“. რამდენადაც „არსებობს ზნეობრივი შეგნების საგნობრივო-ობიექტური კრიტერიუმი... ზნეობას, ზნეობრივ შეგნებას მიეწოდება არა მატრიც პრივატულობა ან რეაქციულობა, არამედ ამიერეგიშვილი და სიყალბე“ (გ. ბანძელაძე, ეთიკა, 1966, გვ. 164, 167, 168). ნეოპოზიტივისტთა ეთიკური თვალსაზრისის (ე. ჭ. „ემოციებისტის“ პრინციპები მცდარობა მდგომარეობს ზნეობრივი შეგნების და მისი გამომქმედ მსჯელობის შემეცნებითი მნიშვნელობის უარყოფაში, იმის მტკიცებაში თითქოს „ისინი გამოხატავენ მხოლოდ ჩვენს ემოციებს“ (იბ. იქვე, გვ. 161).

მაშასადამე, ანალოგია, რომელსაც „ეტიუდების“ ავტორი მიმართავს, სრულიადაც არ მეტყველებს ხელოვნების შემეცნებითი ბუნების საწინააღმდეგოდ. რა თქმა უნდა, ხელოვნება არ არის მეცნიერება (ვთქვათ, მაგალითად, ხელოვნებათმცოდნეობა, ან ესთეტიკა); მაგრამ ხელოვნების მიმართ უნდა გადაწყვეტილყო, გადატანილია სხვა სიბრ-

ბელია გულისხმობდეს მი-
სი (ხელოვნების) შემცინე-
ბითი ბუნების ზარკვლით.

მასტერული ასახვის საგნის სპეციფიკის გარევებას გზა უნდა გაეხსნა ხელოვნების შინაარსისა და ფორმის დიალექტიკის გარევევისათვის. მაგრამ ქაც თავი იჩინა შინააღმდეგობა; ხელოვნების ესთეტიკური არსი მხატვრული ფორმის სცერონია შემოსაზღვრული; მაშიასდამე, შინაარსისა და ფორმის დიალექტიკის ზოგადმეთოდოლოგიური მოძღვრება არ არსი გათვალისწინებული და გამოყენებული ხელოვნების, მხატვრული სახის მიმართ. ნაშრომში ვყითხულობთ: ხელოვნების ესთეტიკური არსი მდგომარეობს არა მის საგანში... არამედ ასახვისა და გამოსახვის ფორმში, მხატვრული შინაარსის განსახიერების ფორმაში, მხატვრული სახის ფართურაში, მასალისა და ხერხების გამომსახველობაში” (გვ. 114). ავტორი მსჯელობს „ესთეტიკურ ფორმაში განსახიერებული შინაარსის” შესახებ (გვ. 106). თუკი ხელოვნების შინაარსი მხატვრული შინაარსია, მაშინ ხელოვნების ესთეტიკური არსი (ესთეტიკურობა ხომ ხელოვნების არსის განსაზღვრულობა) უნდა გამოვლინდეს ესთეტიკური შინაარსისა და ესთეტიკური ფორმის დიალექტიკის სახით, სადაც შინაარსი სწორედ განმსაზღვრული მხარე იქნება. ცხადია, მხატვრული ასახვის საგანი და მხატვრული შინაარსი (ე. ი. ხელოვნების შინაარსი) არ არსი იგივეობრივი (ასახვისა და ასახვის საგნის გაიგიგება ყველა შემთხვევაში უხეში შეცდომა); მაგრამ მხატვრული ასახვის საგნის სპეციფიკის გარევებას აზრი და მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი გზას გავინათებს ხელოვნების შინაარსისა და ფორმის დიალექტიკის, საბოლოო ანგარიშით, ხელოვნების ესთეტიკური არსის გარევევისათვის. სამწუხაროდ ნაშრომში ამ მიმართულებით არ განვითარდა ხელოვნების ესთეტიკური არსის შესახებ მართებულად დასმული საკითხის კვლევა-ძიება.

მკითხველში გაუგებრობას გადაწყვეტილი და დებულება: „მხატვრული სტუდია (ანტარ მოები) ფიზიკური საგნის სახით არსებობს, რომელიც გამზინულია, არსებითად, მხედველობისა და სმენის ორგანოებისათვის“ (გვ. 106). ხელოვნება და მისი არსებობის წესი — მხატვრული სახე ცნობიერებითი მოვლენაა და ამიტომ შეუძლებელია იგი არსებობდეს „ფიზიკური საგნის სახით“. ცნობიერება არც ერთ შემთხვევაში არ არსებობს „ფიზიკური საგნის სახით“; წინაღმდევ შემთხვევებაში ცნობიერება მოწყდებოდა ორგანოს, რომლის შინაგან მდგომარეობასაც იგი წარმოადგენს (გვიხსენოთ ვულგარული მატერიალისტების ძირითადი შეცდომა ამ საკითხში). მართალია, მხატვრული სახის განსურათების მასალა არსებობთად არის მხედველობისა და სმენის ფიზიკური მონაცემები, მაგრამ სახე (ცნობიერებითი ფენომენი) არავითარ შემთხვევაში არ დაიყვანება ფიზიკური საგნის მონაცემებზე. სწორედ ამიტომ არ ხერხდება ყოველთვის მხატვრული სახის თვალსაჩინო წარმოდგენა.

„ეტიუდების“ ავტორი ეყრდნობა არა
პროფ. დარეგან რამზეცილის კვლევის
საყურადღებო შედეგებს, ავითარებს სა-
ცემაობით სწორ თვალსაზრისს, რომ სახი-
სავის თვალსაჩინოება „აუცილებელი
ნიშანი არ არის“ (იბ. გვ. 94, 96-97, 105).
მაგრამ მხედველობისა და სმენის ფიზი-
კურ მონაცემებზე სახის დაკანით ხომ
შგულვებელყოფილია ამ შეგრძნებათა
მონაცემების გადატანით-მეტაფორული
მნიშვნელობა, რომელშიაც სახის განზო-
გადღება-შემეცნებით, ესთეტიკური არსი
კლინდება; სახის (ნაწარმოების)
შემცნებითი - ესთეტიკური
არსის თვალსაზრისი წარმოდგენა არა თუ
გვენა კი შეუძლებელია. თუ
„მხატვრული სახე (ნაწარმოები) ფიზი-
კური საგნის სახით არსებობს“, მაშინ
სახის თვალსაზრის წარმოდგენა არა თუ
მესაძლებელია, არამედ იგი, ყველა შემთ-
ვევევაში, გარდუვალ * აუცილებლობას
წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში სახის
(ნაწარმოების, საერთოდ ხელოვნების)

შე ე მ ე ც ნ ე ბ ი თ - ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი
არსი აშეარად ეჭვის ქვეშ დგება, რამც
განსახილველ ნაშრომში (როგორც ზე-
მოთ ვნახეთ) მკვეთრად იჩინა თავი.

მხატვრული სახე ხელოვნების არსებო-
ბის წესია; ამიტომ უდავრა ავტორის
დებულება: „ხელოვნების შინაარსისა და
ფორმის საკითხი არსებითად არის მხატ-
ვრული სახის შინაარსისა და ფორმის
საკითხი, ხელოვნების არსის საკითხი —
ეს იგივე მხატვრული სახის არსის სა-
კითხია“ (გვ. 104-105). მხატვრული სა-
ხის არსის კვლევას კი მრავალი ასპექტი
გააჩნია. მაგალითად, ერთ-ერთი ასპექ-
ტია სახისა და ცნების შედარებითი ან-
ალიზი, რომელიც მიზნად ისახავს მათი
საერთო და, რაც მთავარია, განმასხვავე-
ბელი (სპეციფიკური) ნიშნების დადგე-
ნას. რატომლაც ავტორი ასეთი ანალიზის
ჩატარებას ეჭვის თვალით უდევრის (გვ.
91). საყველთაოდ ცნობილია, რომ მე-
ცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპო-
ქაში განსაკუთრებით წინა პლანზე წამო-
იწიო მეცნიერებისა და ხელოვნების, შე-
საბამისად, ცნებისა და სახის შედარებო-
თმა ანალიზმა. ამ პრობლემაზე გამოქ-
ვიყნდა მრავალი წერილი და ცალკე მო-
ნოგრაფიული გამოკვლევები. შემთხვე-
ვითი არ არის, რომ „ეტიუდების“ ავ-
ტორი ფაქტორულ ხშირად მიმართავს
ასეთი ანალიზის ხერხს.

ნაშრომის ბოლო პარაგრაფში (გვ.
104-115) საკმაოდ მდიდარი და უსაკუ-
სად საინტერესო მასალაა მოხმობილი
მხატვრული გამოსახვის საშუალებებისა
და ხერხების ისტორიული ცვალებადო-
ბისა და განვითარების შესახებ. ავტორის
მსჯელობა გაცილებით უფრო სიღრმისე-
ული იქნებოდა, ხელოვნების ესთეტი-
კური არსის კვლევა მას „განსახიერების
ფორმით, მხატვრული სახის ფაქტურით,
მასალისა და ხერხების გამომსახველო-
ბით“ რომ არ შემოეფარგლა.

ჩენ გზადაგზა გამოვთქვით ზოგიერ-
თი არაარსებითი, ზოგჯერაც პრინციპუ-
ლი ხასიათის შენიშვნები. ნაშრომი ერთ-
გვარად პოლემიკური ხასიათისაა. ესთე-
ტიკის მთელი რიგი საკითხების დასმასა
და გაშუქებაში ავტორის მოსახრებანი
უდაოდ იმსახურებენ შეგნებული მკითხ-
ველის სრულ სოლიდარობას; კამათში
გამოწვევის შემთხვევაშიაც ავტორის
მსჯელობის ღრმა მეცნიერული დონე არ-
ავითარ ეჭვს არ ბადებს. ესთეტიკის
პრობლემატიკით დაინტერესებულმა მკი-
ოცეველთა ფართო წრემ ლ. აბაშიძის
„ესთეტიკური ეტიუდების“ სახით სასარ-
გებლო წიგნი მიიღო. ნაშრომი იმსახუ-
რებს შესაბამისი ინსტიტუტებისა და კა-
თედრების ყურადღებას, რომ იგი საგარო
განხილვის საგნად იქცეს.

6100/187

СОЮЗ СОВЕТСКИХ
ЗАРУБЕЖНЫХ ПИСАТЕЛЕЙ

ЗДЕЛ 40 ЗЗЗ.

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

«ЧОРОХИ»

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ**

ИНДЕКС 76118